

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი

№ 9, ოქტომბერი

Journal of Young Researchers

№ 9, October

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

2020

ISSN: 2346-7754

სამეცნიერი რედაქტორი:

კორნელი კაკაჩია – პროფესორი

ვალერიან მელიქიძე – ასოცირებული პროფესორი

აღმასრულებელი რედაქტორი:

თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი

ხათუნა მაისაშვილი – ასოცირებული პროფესორი

თორნიკე თურმანიძე – ასოცირებული პროფესორი

ზურაბ აბაშიძე – ასოცირებული პროფესორი

ტექნიკური ჯგუფი:

შოთა კაკაბაძე – სამეცნიერო რედაქტორის ასისტენტი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. კონსტანტინე შუბითიძე.
ნაციონალური იდენტობის საკითხი და მისი გავლენა საგარეო პოლიტიკურ
ორიენტაციაზე პოსტსაბჭოთა მოლდოვასა და ბელარუსში-----4

2. ნატა გარაყანიძე.
ევროკავშირის „პრინციპული პრაგმატიზმის“ პოლიტიკა პრაქტიკაში: რუსეთთან და
ჩინეთთან თანამშრომლობის მაგალითები-----34

3. ალექსანდრე სახეჩიძე, ქეთევან წულაძე.
კიბერბულინგი სტუდენტთა პერსპექტივიდან-----60

4. მიხეილ ოსიშვილი.
აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების სოციალურ-კულტურული
ინტეგრაცია არსებულ საზოგადოებაში და მათი თვითიდენტობა-----82

კონსტანტინე შუბითიძე.

ნაციონალური იდენტობის საკითხი და მისი გავლენა საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე
პოსტსაბჭოთა მოლდოვასა და ბელარუსში

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი სწავლობს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მოლდოვასა და ბელარუსში მიმდინარე ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესს და მის გავლენას ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე. კერძოდ, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია ენასა და რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ნაციონალურ იდენტობას.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია ერთი მხრივ ის ისტორიული წინაპირობები, რაც წინ უძღვოდა მოლდოვასა და ბელარუსის სახელმწიფოთა ჩამოყალიბებას და ამ სახელმწიფოებში ერების ფორმირებას, ხოლო მეორე მხრივ საბჭოთა კავშირის მიერ გატარებული ეთნიკური და სახელმწიფო ენასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რამაც შემდგომში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამ ქვეყნებში პოლიტიკური პროცესების განვითარებასა და საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. ნაშრომი აქცენტს აკეთებს საბჭოთა მემკვიდრეობის შედეგად მოლდოვასა და ბელარუსში მყარი ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პრობლემურობაზე და რუსეთის მიერ ამ ფაქტორის ეფექტურ გამოყენებაზე, რათა გავლენა მოახდინოს ამ ორი პოსტსაბჭოთა ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე.

ნაშრომში დასმული საკითხის სიღრმისეული შესწავლის მიზნით გაანალიზებულია ოფიციალური კომინოვისა და მინსკის მიერ 1991 წლიდან გატარებული ენისა და ზოგადად, განათლების პოლიტიკა, საკუთარი სახელმწიფო ენების ეფექტური გამოყენება ყოველდღიურ და საქმის წარმოების პროცესში და ეს ინფორმაცია დამუშავებულია ნაციონალიზმის ერთ-ერთი ძირითადი თეორიული მიმდინარეობის - მოდერნიზმის ჭრილში. კერძოდ, ბელარუსსა და მოლდოვაში ერის ფორმირების პროცესი გაანალიზებულია მიროსლავ ჰროშის თეორიის ფარგლებში.

Abstract

The paper studies the process of national identity formation in Moldova and Belarus after the dissolution of the Soviet Union and examines the impact of this process on foreign policy orientation of these countries. Namely, particular emphasis is put on issues related to the language and religion, that significantly determine the national identity of every country.

On the one hand, the research analyses those historical preconditions, that preceded the formation of Moldova and Belarus states and nations within these states, while on the other hand, it examines the ethnic and state language-related policies implemented by the Soviet Union, that afterwards had a significant impact on the development of political processes and formation of the foreign policies of these countries. The paper emphasizes the difficulty of forming strong national identities in Moldova and Belarus due to the Soviet legacy and the leveraging of this factor effectively by Russia to influence foreign policy orientation of these two post-soviet countries.

For studying the research question, the paper analyzes official state and in general, education policies implemented by the official Chişinău and Minsk since 1991, also effective utilization of their own state languages in everyday and business correspondence and all this information is processed through the lens of one of the main theories of nationalism - modernism: namely, the process of the nation formation in Belarus and Moldova is analyzed through Miroslav Hroch's theory.

Key Words: *Moldova, Belarus, National Identity, Foreign Policy*

შესავალი

1991 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირის ოფიციალურად დაშლის შედეგად საერთაშორისო სისტემას 15 ახალი სუვერენული სახელმწიფო შეემატა. თუმცა, რამდენად შეიძლება აღნიშნულ სუბიექტებს ან მათ უმრავლესობას მაინც ახალი ვუწოდოთ, საკამათოა, ვინაიდან საბჭოთა კავშირის შექმნამდე, მის შემადგენლობაში მყოფი მოკავშირე რესპუბლიკების გასაბჭოებამდე თითოეული მათგანი იმყოფებოდა სახელმწიფოებრიობის განვითარებისა და ნაციონალური იდენტობის ფორმირების განსხვავებულ ეტაპზე. იყვნენ ერთიან ერად უკვე დიდი ხნის ფორმირებული დამოუკიდებელი სახელმწიფოები, დამოუკიდებლობის მოსურნე

ერები და ნაციის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე მყოფი ეთნიკური ერთობებიც, რომელთა პოლიტიკური საზღვრები საბჭოთა კავშირამდე მკაფიოდ ფორმირებული არც კი ყოფილა. შესაბამისად, „ბოროტების იმპერიის“ დაშლის მომენტისათვის კითხვაზე – „ვინ ვართ ჩვენ“ ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკას თანაბრად მტკიცე პასუხი არ ჰქონდა, მათი ნაციონალური იდენტობის საკითხი ხშირ შემთხვევაში დიამეტრალურად განსხვავებულ შემთხვევებს წარმოადგენდა, რამაც თავისთავად განსაზღვრა ამ ახალი საერთაშორისო აქტორების საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია და სახელმწიფოებრივი განვითარების შემდგომი გზა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საბჭოთა კავშირის ორი ყოფილი წევრი რესპუბლიკის, მოლდოვასა და ბელარუსის, ნაციონალური იდენტობის საკითხი და ამ უკანასკნელის გავლენა მათ საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე და სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე. ეს ორი ქვეყანა ნაციონალიზმის კვლევებით დაინტერესებულთათვის განსაკუთრებით საინტერესოა მათი ნაციონალური თვითგამორკვევის თავისებურების გამო. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლიდან უკვე თითქმის ოცდაათი წელი გავიდა და მოლდოვა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ცდილობს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენებას, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში ჯერ კიდევ არსებობს რუმინეთთან თვითიდენტიფიკაციის პრობლემა, რაც ხშირად ორი ქვეყნის გაერთიანების მოთხოვნაში გადაიზრდება ხოლმე, ეს უკანასკნელი კი წარმოშობს რუსულენოვან მოსახლეობაში აგრესიას და რუსეთისკენ სწრაფვას (Rumer, 2017). ყოველივე ამის ფონზე კი რთული წარმოსადგენი არ უნდა იყოს თუ რამდენად ჭირს დამოუკიდებელი ძლიერი მოლდოვური ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბება. რაც შეეხება ბელარუსს, აქ პრობლემატურია რუსეთის, როგორც „სხვის“ აღქმა და შესაბამისად ძლიერი ბელარუსული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბება, რაც მოსახლეობის მცირე ნაწილში პოლონური და ლიეტუვური იდენტობის მიმართ სწრაფვასაც კი იწვევს (Loffe, 2019). ეს ყოველივე ბუნებრივია გავლენას ახდენს ხსენებული სახელმწიფოების როგორც საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე, ისე მათი სახელმწიფოებრივი განვითარების მიმართულეობაზე. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე, ზოგადად, მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას და შეუძლებელია ჩვენს მიერ აქ განხილული საკითხებით მოლდოვასა და ბელარუსის საგარეო პოლიტიკების სრულფასოვანი ახსნა. ჩვენი მიზანია, ამ

ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე მოქმედი ერთ-ერთი შესაძლო ფაქტორის განხილვა და გაანალიზება ნაციონალიზმის კვლევების კონტექსტში.

დასმული საკითხის შესასწავლად ნაშრომში მიმოხილულია მოლდოვასა და ბელარუსის ისტორია, თუ რა ეტაპები გამოიარეს ამ სახელმწიფოებმა დღემდე, როგორ ყალიბდებოდა მოლდოვური და ბელარუსული ნაციები და რა ფაქტორები ახდენდა და ახდენს მათზე გავლენას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რუსული და რუმინული ენების ფაქტორს და მათ მნიშვნელობას მოლდოვური და ბელარუსული ნაციონალური იდენტობების ჩამოყალიბების პროცესში. ეს ყოველივე კი გაანალიზებულია ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის, კერძოდ მიროსლავ ჰროშისა და ბენედიქტ ანდერსონის მოსაზრებების ჭრილში, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავენ ერის ფორმირებისთვის აუცილებელ ეტაპებსა და პროცესებს. საბოლოოდ, ნაშრომი აანალიზებს ნაციონალური იდენტობის საკითხის გავლენას მოლდოვასა და ბელარუსის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე და სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე და შესაბამისად პასუხობს კითხვას – *რა გავლენას ახდენს სუსტი ნაციონალური იდენტობა მოლდოვასა და ბელარუსის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე და სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე?*

დასმული კითხვიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია თავიდანვე განვმარტოთ თუ რა იგულისხმება ტერმინში „სუსტი ნაციონალური იდენტობა“. წინამდებარე ნაშრომში სუსტი ნაციონალური იდენტობა გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც კონკრეტულ ერში ჯერ კიდევ არსებობენ საერთო სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობის მქონე მოსახლეობის ისეთი მსხვილი ჯგუფები, რომელთათვისაც ენის, რელიგიის, თუ წარსული გამოცდილების გათვალისწინებით მისაღებია საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოზე უარის თქმა და სხვა სახელმწიფოსთან გაერთიანება.

ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია: სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაცია

თუკი ნაციონალიზმის სფეროში არსებულ თეორიულ დისკურსს გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ არსებობს სამი ძირითადი თეორიული მიმდინარეობა, რომლებიც ცდილობენ მეტ-ნაკლები თანმიმდევრობითა და არგუმენტების სიმყარით ახსნან ნაციონალიზმის, ნაციის, ერის წარმოშობა და მისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები. ეს თეორიული

მიმდინარეობები განსხვავებულად აღიქვამენ ერისა და ნაციონალიზმის ჩამოყალიბების, არსებობისა და განვითარების პირობებსა და მოქმედების ფორმებს. კერძოდ, პრიმორდიალიზმი, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე რადიკალური შეფასებებით გამოირჩევა და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ერები ყოველთვის არსებობდნენ და ისინი მუდმივი ფიქსირებული ერთობები არიან, რომლებიც კაცობრიობის გაჩენასთან ერთად დაიბადნენ. ეთნოსიმბოლიზმის მიხედვით კი თანამედროვე ერები არიან ახალი პერიოდის პროდუქტნი, თუმცა, მათ ჰყავდათ მონათესავე ერთობები ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, შესაბამისად ერები არიან დროში განგრძობადი ხასიათის მატარებელნი, რომლებიც ტრანსფორმაციასა და გარდაქმნას ექვემდებარებიან. რაც შეეხება მოდერნიზმის თეორიას, იგი ამტკიცებს, რომ თანამედროვე ერები არიან ახალი დროის ნაყოფი, რომელთა ჩამოყალიბება არსებული სახით შესაძლებელი გახდა მხოლოდ ინდუსტრიალიზაციისა და საყოველთაო გარდაქმნების პირობებში. მოდერნიზმის თეორია თავის მხრივ მოიცავს რამდენიმე მიმართულებას, ესენია ეკონომიკური ტრანსფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ტომ ნაირნისა და მაიკლ ჰეტჩერის შრომებთან; პოლიტიკური ტრანსფორმაცია, რომლის საფუძვლების განვითარება სხვა ავტორებთან ერთად ძირითადად დაკავშირებულია ჯონ ბროილისა და ერიკ ჰობსბაუმის სახელთან და სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაცია, რომლის ფუძემდებელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მიროსლავ ჰროშს, ერნესტ გელნერსა და ბენედიქტ ანდერსონს. სამივე მიმდინარეობა თანხმდება ძირითად თეორიულ ჩარჩოზე, თუმცა, აქცენტს სვამს განსხვავებულად ერების წარმოქმნისა და განვითარების საკითხთან დაკავშირებით. როგორც დასაწყისშივე აღინიშნა, მოლდოვასა და ბელარუსის ნაციონალური იდენტობის საკითხს პოსტსაბჭოთა პერიოდში წინამდებარე ნაშრომი განიხილვას სწორედ ნაციონალიზმის მოდერნიზტული თეორიის ფარგლებში, კერძოდ კი სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის ჩარჩოში, ვინაიდან იმ პროცესებს, რასაც ადგილი აქვს მოლდოვასა და ბელარუსში ენასთან, განათლების პოლიტიკასთან და ზოგადად იდენტობის საკითხთან მიმართებაში, ფაქტობრივად ზედმიწევნითი სიზუსტით ხსნის ხსენებული თეორიული მიმდინარეობა.

სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაცია ერებისა და ნაციონალიზმის წარმოშობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს სოციალურ და კულტურულ ფაქტორებს. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი ავტორის მიროსლავ ჰროშის

მოსაზრებები, რომლის კრილშიც ხდება ნაშრომში წარმოდგენილი შემთხვევების გაანალიზება. კერძოდ, მიმოვიხილავთ ჰროშის ნაციონალიზმის სამ ფაზას, რომელზეც საუბარი აქვს წიგნში “ევროპული ერები: მათი ფორმირების ახსნა” (European Nations: Explaining Their Formation) და ამავე ავტორის მოსაზრებებს, რომლებიც გადმოცემულია ზურაბ დავითაშვილის წიგნში ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, რომელსაც იყენებს წინამდებარე ნაშრომი თეორიულ ბაზად.

კერძოდ, დავითაშვილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ჰროში ემპირიული დაკვირვების საფუძველზე ევროპაში გამოჰყოფს სულ რვა ერს, რომლებსაც მე-19 საუკუნის დასაწყისისთვის თავიანთი ეროვნული სახელმწიფო ჰქონდათ. ეს ერებია ინგლისელები, ფრანგები, შვედები, დანიელები, ჰოლანდიელები, ესპანელები, პორტუგალიელები და რუსები. თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი იყო საკუთარი სტანდარტიზებული სალიტერატურო ენა, მაღალი დონის ეროვნული კულტურა და ეთნიკურად ჰომოგენური მმართველი ელიტის არსებობა. ამის გარდა კიდევ არსებობდა ორი ფორმირებადი ერი – იტალიელები და გერმანელები. განვითარებული კულტურითა და ეთნიკურად ჰომოგენური ელიტით, მაგრამ პოლიტიკურ საფუძველს ანუ საკუთარ ერთიან სახელმწიფოს იმ დროისათვის ჯერ კიდევ მოკლებულნი. ამავე დროს, აღნიშნული პერიოდისთვის ჰროში ითვლის 30-ზე მეტ „არადომინანტურ ეთნიკურ ჯგუფს“, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ არამხოლოდ საკუთარ სახელმწიფოს, არამედ საკუთარ მმართველ ელიტას და უწყვეტ კულტურულ ტრადიციებს საკუთარ ლიტერატურულ ენაზე. მიუხედავად კომპაქტური განსახლებისა, ისინი იმართებოდნენ უცხო ჯგუფებით, რომლებიც, როგორც წესი, იმ სახელმწიფოს დომინანტი ერის წარმომადგენლები იყვნენ, რომლის შემადგენლობაშიც ეს ეთნიკური ჯგუფები შედიოდნენ. არადომინანტი ეთნიკური ჯგუფები ძირითადად აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში იყვნენ თავმოყრილნი, მაგრამ არცთუ მცირე რაოდენობა დასავლეთ ევროპაშიც იყო წარმოდგენილი. ჰროშის აზრით, ამ ეთნიკური ჯგუფების დიდი უმრავლესობა პოტენციურ ერად ჩამოყალიბდა და ბევრმა პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც მიაღწია. ზოგიერთ ხალხში პოტენციურ ერად ჩამოყალიბება და საკუთარი სახელმწიფოებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში დაიწყო, ზოგში იმავე საუკუნის შუა ხანებში, ხოლო ზოგში კი საუკუნის ბოლოს (დავითაშვილი, 2003, გვ. 124-125).

იმისათვის, რომ არადომინანტი ხალხების მოძრაობა ნაციონალურ მოძრაობად ჩაითვალოს და ეთნიკური ჯგუფი პოტენციურ ერად იქცეს, ჰროშის მიხედვით, აუცილებელია დაკმაყოფილდეს სამი პირობა:

- ეროვნული კულტურის განვითარება და აღორძინება, რომელიც დაფუძნებული იქნება ადგილობრივ ენაზე, ხოლო ეს უკანასკნელი გახდება განათლების, ადმინისტრაციისა და ეკონომიკური ცხოვრების ენა;
- სრული სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს საკუთარი განათლებული ელიტისა და ყველა კლასის (განსაკუთრებით მწარმოებლებისა და ვაჭრების) ფორმირებას;
- თანაბარი სოციალური უფლებების მიღწევა და პოლიტიკური თვითადმინისტრირების განსაზღვრული დონის უზრუნველყოფა.

ჰროში განარჩევს სამ ფაზას ნებისმიერი ნაციონალურ მოძრაობაში მისი დასაწყისიდან წარმატებით დაგვირგვინებამდე.

A ფაზა მოიცავს ნაციონალიზმის საწყის ეტაპს, როცა პირველი აქტივისტების მოქმედება მიმართულია საკუთარი ეთნიკური ჯგუფის ენის უნიფიკაციისა და ლიტერატურული ენის ნორმების ჩამოყალიბებისაკენ, აგრეთვე საკუთარი ისტორიისა და კულტურის შესწავლისა და პროპაგანდისაკენ. რაიმე პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენება და მოსახლეობის ჩაბმა აქციებსა და საპროტესტო გამოსვლებში ამ პერიოდში არ ხდება, რადგან ამისთვის არც მოსახლეობაა მზად და არც ობიექტური პირობები მომწიფებული;

B ფაზა იწყება მაშინ, როცა ასპარეზზე გამოდიან აქტივისტთა ჯგუფები, რომლებიც მიზნად ისახავენ მიიმხრონ რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი საკუთარი ეთნიკური ჯგუფიდან, რათა ერთიანი ერის ფორმირებას დაედოს სათავე. დასაწყისში ეს მცდელობები არცთუ ისე წარმატებულია, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი მიზანს აღწევენ და ხდება საერთო ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება.

C ფაზა დგება საერთო ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებისთანავე, როცა მოსახლეობის უმრავლესობა თავს ერთი ერის წარმომადგენლად მიიჩნევს და ყალიბდება საერთო ეროვნული მოძრაობა. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ ეტაპზე, როცა ეთნიკურ ჯგუფში სრული სოციალური სტრუქტურა ჩამოყალიბდება (ცხადია ერთი ფაზიდან მეორეზე გადასვლა უეცრად არ ხდება და იგი საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია).

აღნიშნული პერიოდიზაცია, ჰროშის მიხედვით, საფუძველია ნაციონალური მოძრაობების ტიპოლოგიისათვის. მისი აზრით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არის, ერთი მხრივ ურთიერთობა B ფაზაზე და შემდეგ C ფაზაზე ტრანზიციისას და მეორე მხრივ კონსტიტუციურ საზოგადოებაზე ტრანზიციებს შორის. ამის საფუძველზე ჰროში ნაციონალური მოძრაობის ოთხ ტიპს გამოყოფს ევროპაში:

1. ნაციონალური მოძრაობა იწყება აბსოლუტიზმის ძველი რეჟიმის დროს, მაგრამ მასიურ სახეს რევოლუციური ცვლილებების პერიოდში იღებს. B ფაზის ლიდერები თავიანთ პროგრამას პოლიტიკური ცვლილებების შესაბამისად იღებენ;
2. ნაციონალური გამოცოცხლება იწყება ძველი რეჟიმის დროს, მაგრამ C ფაზაზე ტრანზიცია ყოვნდება, სანამ კონსტიტუციური რევოლუცია არ მოხდება;
3. მასობრივი ნაციონალური მოძრაობა ყალიბდება ძველი რეჟიმის პირობებში, კონსტიტუციური წესრიგის დამყარებამდე;
4. ნაციონალური მოძრაობა იწყება უკვე ჩამოყალიბებულ კონსტიტუციურ პირობებში (ibid: 126–127; Hroch, 2015, pp. 34-36).

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევაში დასმული საკითხიდან გამომდინარე, ნაშრომი შეისწავლის და აანალიზებს მოლდოვასა და ბელარუსში სახელმწიფო ენის პოლიტიკასა და ნაციონალური იდენტობის სხვა მარკერებთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევების შედეგებს, აღნიშნულ ქვეყნებში განათლების სფეროში რუსული ენის გამოყენების სტატისტიკას, ხსენებული ქვეყნების სახელმწიფო ინსტიტუტების - პრეზიდენტის/მთავრობის ადმინისტრაცია,

სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები, განათლების სამინისტროები და ა.შ. ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსებულ ინფორმაციას, სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ კვლევებსა და თეორიულ მასალას და ამის შედეგად ცდილობს დაადგინოს, თუ რა კორელაციაში შეიძლება იყოს ეროვნული იდენტობა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ერთმანეთთან. კვლევის ფარგლებში ძირითადად გამოყენებულია კონტენტ-ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა გაანალიზებულ იქნას როგორც შესწავლილი მასალის შინაარსობრივი მხარე, ისე რაოდენობრივი მონაცემები. უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე კვლევის პროცესში პირველად წყაროებად გამოყენებულ იქნა მხოლოდ ელექტრონულად ხელმისაწვდომი მასალა, ძირითადად ვებ-გვერდები, ხოლო მეტწილად დამუშავდა სხვა ავტორების მიერ წლების განმავლობაში გამოქვეყნებული კვლევები. მუშაობის პროცესში განისაზღვრა დროის კონკრეტული მონაკვეთი - 1991-2014 წლები, საიდანაც ყურადღება გამახვილდა ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი მარკერების - ენა, განათლების პოლიტიკა, რელიგია და ა.შ., მიმართ მიღებულ საკვანძო გადაწყვეტილებებზე და ეტაპებზე. ამ პერიოდში შესასწავლი ხსენებული სახელმწიფოების მიერ გატარებული პოლიტიკები ეროვნული იდენტობის ფორმირების მიმართულებით და ამ საკითხის გავლენა მათ საგარეო პოლიტიკაზე იძლევა შესაძლებლობას გაკეთდეს როგორც კონკრეტული დასკვნები მოლდოვასა და ბელარუსთან დაკავშირებით, ისე გაანალიზდეს მიღებული შედეგები თეორიულ ჭრილში და მოხდეს მათი განზოგადება. ბუნებრივია, ნაშრომს არ აქვს პრეტენზია 1991-2014 წლების ყოვლისმომცველ და სრულ პოლიტიკური და ისტორიული განვითარების შესწავლაზე.

ენის და რელიგიის ფაქტორი მოლდოვური და ბელარუსული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში

როდესაც საუბარი შეეხება ნაციონალური იდენტობის საკითხს, ანუ იმის განსაზღვრას თუ ვისთან და ვის მიმართ ახდენს ესა თუ ის ხალხი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას, შეუძლებელია არ შევეხოთ ენისა და რელიგიის ფაქტორებს, ვინაიდან ნაციონალიზმი მნიშვნელოვანწილად ყალიბდება სწორედ საერთო ღირებულებების, წესჩვეულებების, ტრადიციებისა და სიმბოლოების გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია სწორედ ენასა და რელიგიასთან. წინამდებარე ნაშრომის ინტერესიდან გამომდინარე

მნიშვნელოვანია განხილულ იქნას თუ რა მდგომარეობაა ენისა და რელიგიის თვალსაზრისით მოლდოვასა და ბელარუსში, რამდენად ხელშემწყობი ან დამაბრკოლებელია მოლდოვური და ბელარუსული იდენტობების ჩამოყალიბების პროცესში მათი რელიგიური კუთვნილების მსგავსება რუმინეთთან და რუსეთთან. რა როლს თამაშობს რუმინული და რუსული ენები მოლდოვაში და ბელარუსული და რუსული ენები ბელარუსში. მნიშვნელოვანია იმ სახელმწიფო პოლიტიკისა და მიდგომების გაცნობაც, რაც ოფიციალურ კომინოვსა და მინსკს აქვთ ენის მიმართ.

განსხვავებით ლიეტუველებისა და სხვა მეზობელი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისაგან ბელარუს ხალხს საკუთარი სახელმწიფო თითქმის არასდროს ჰქონია ისტორიის მანძილზე და დიდი ხნის განმავლობაში განიცდიდა გარშემო მყოფი ძლიერი სახელმწიფოების დომინირებას. იგი ყოველთვის იყო რომელიღაც იმპერიის ნაწილი, თავდაპირველად ეს იყო ლიეტუვის დიდი საჰერცოგო, შემდეგ იყო პოლონეთი, გვიანი მე-18 საუკუნიდან კი რუსეთის ძლიერების ზრდასთან ერთად იგი მასზე დამოკიდებული ხდება (Tsygankov, 2000, pp. 101-137). აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნის ბოლოდან შეინიშნებოდა მცირე ბელარუსული ნაციონალისტური ჯგუფების ზრდა, თუმცა ისინი იყვნენ ძალიან სუსტები და მრავალ დაბრკოლებას აწყდებოდნენ ერის მშენებლობის მცდელობის პროცესში. შემდეგი ეტაპი იყო ბელარუსის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება 1918 წელს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ნაციონალური იდენტობა მეორეხარისხოვანი გახლდათ, რადგან ახლადწარმოქმნილი რესპუბლიკა სოციალურ საკითხებზე იყო ფოკუსირებული. ამასთანავე იგი ძლიერ ზეწოლას განიცდიდა პოლონეთისა და რუსეთისგან, რომლებმაც საბოლოოდ 1921 წელს რიგის ხელშეკრულებით გაიყვეს მისი ტერიტორიები (Burant, 1995, pp. 1125-1144).

უკვე მე-20 საუკუნეში ბელარუსისა და რუსეთის ეკონომიკური და კულტურული კავშირები ძალიან მჭიდრო ხასიათს ატარებდა, რაც მრავალ სხვა საკითხთან ერთად დაკავშირებულია იმასთანაც, რომ არსებულ საზღვრებში ბელარუსის სახელმწიფოს ფორმირება სწორედ კრემლის პოლიტიკის შედეგი უფროა, ვიდრე მისი სახელმწიფოებრივი განვითარების. კერძოდ, დღევანდელი ბელარუსის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი 1939 წლის მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის დადების შემდეგ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ანექსიასთან ერთად მითვისა საბჭოთა კავშირმა პოლონეთისგან და მიუერთა ბელარუსს,

რითაც დასრულდა ამ უკანასკნელის გეოგრაფიული კონფიგურაციის ჩამოყალიბება. ამ დროიდან პირველად თავისი არსებობის ისტორიაში ბელარუსი ხალხი მოექცა ერთიან, იურიდიულად გარანტირებულ ტერიტორიაზე. ეს ყველაფერი წესით უნდა გამხდარიყო საფუძველი ერთიანი ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებისა და გაღრმავებისათვის, თუმცა, რა საკვირველია, ეს ყოველივე არ შედიოდა რუსეთის ინტერესებში და დაიწყო ბელარუსის სწრაფი და ყოვლისმომცველი რუსიფიკაცია, რაზეც უფრო დეტალურად შემდეგ თავში იქნება საუბარი (Tsygankov, 2000, pp. 101-137).

საერთაშორისო პოლიტიკური თვალსაზრისით ხმელეთზე ჩაკეტილი გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ბელარუსი მოქცეულია მოსკოვსა და ბერლინს, შავ და ბალტიის ზღვებს შორის არსებულ პოლიტიკურ რუკაზე, რომელიც უკვე 1930-იანი წლებიდან წარმოადგენდა გამყოფ ხაზს კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის. ქვეყნის დასავლეთი პროვინციები, რომლებიც დასახლებულია ნაწილობრივ პოლონური წარმოშობის მოქალაქეებით, ორიენტირებულნი არიან პოლონეთთან ურთიერთობებზე, აღმოსავლეთ პროვინციების რუსულენოვანი მოსახლეობა კი შესაბამისად რუსეთთან ინტეგრაციაზე. ქვეყნის პოლიტიკური ელიტის ბევრი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ ბელარუსი არის გამყოფი ხაზი დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციებს შორის, სადაც კონფლიქტის წარმოშობა არის ყველაზე საშიში ვიდრე სადმე დანარჩენ მსოფლიოში (Lowenhardt et al., 2001, pp. 605-620).

ბელარუსი არის ერთადერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა რუსეთის გარდა, სადაც რუსული შენარჩუნდა დომინანტ ენად. დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტისთვის ენის შესახებ კანონის მიხედვით ბელარუსის სახელმწიფო ენა იყო ბელარუსული, რამაც ასახვა ჰპოვა 1994 წელს მიღებულ კონსტიტუციაშიც. თუმცა, 1995 წელს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ლუკაშენკომ მოახდინა რეფერენდუმის ინიცირება, რომელზეც დაისვა კითხვა - „თანახმა ხართ თუ არა, რომ რუსულ ენას მიენიჭოს ისეთივე სტატუსი, რაც ბელარუსულს?“, ამომრჩეველთა 88.3%-მა (Law, 2014, p. 4) დადებითად უპასუხა დასმულ კითხვას, რის შედეგადაც 1996 წელს ბელარუსის კონსტიტუციაში შევიდა შესაბამისი ცვლილება და ბელარუსი ოფიციალურად გახდა ბილინგვუალური სახელმწიფო. საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად

მშობლებს მიეცათ საშუალება არჩევანი გაეკეთებინათ, თუ რომელ ენაზე მიიღებდნენ მათი შვილები სკოლაში განათლებას, მათმა უმრავლესობამ აირჩია რუსული (ibid: 5).

დღემდე ბელარუსის კონსტიტუციის მე-17 მუხლში განსაზღვრულია, რომ ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო ენები არის ბელარუსული და რუსული. აღნიშნული გარემოება ხელს უწყობს ბელარუსული ენის მარგინალიზაციას სოციალური ცხოვრების ყველა მიმართულებით და ქმნის ნოყიერ გარემოს რუსული ენის, როგორც დე ფაქტო დომინანტი ენის პოზიციისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ბელარუსული ენა გამოიყენება სახელმწიფო ბანკნოტებზე, საგზაო ნიშნებზე, ბეჭდებზე და სხვა საჯარო კომპონენტებში, ეს არ ქმნის ეფექტურ პირობებს მისი პოპულარობისთვის და აქცევს მას სიმბოლური ხასიათის მატარებლად. თავად პრეზიდენტის ოფიციალური ვებ-გვერდიც კი ფუნქციონირებს მხოლოდ რუსულ და ინგლისურ ენებზე. მოსახლეობა უპირატესობას ანიჭებს რუსულ ლიტერატურასა და მედიას, შესაბამისად, ტელევიზიების, რადიოებისა და გაზეთების უმრავლესობა ფუნქციონირებს რუსულ ენაზე. რუსული ენა დომინირებს საგანმანათლებლო სისტემაშიც. 2005-2006 სასწავლო წლისთვის დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა 76% და საშუალო სკოლის მოსწავლეთა 77% განათლებას იღებდა რუსულენოვან სკოლებში (Ginger & Sloboda, 2008), ამასთანავე ბელარუსულენოვანი სკოლების რაოდენობა მუდმივად განიცდიდა შემცირებას (Koryakov, 2002, pp. 109-127). რაც შეეხება უმაღლესი განათლების მიმართულებას, აქ დომინანტური ადგილი ასევე რუსულ ენას უკავია. კერძოდ, 2005-2006 სასწავლო წლისთვის სტუდენტების 54% სწავლობდა ექსკლუზიურად რუსულ ენაზე, 44% სწავლობდა ორივე ენაზე და მხოლოდ 2% ირიცხებოდა ექსკლუზიურად ბელარუსულენოვან პროგრამებზე (Ginger & Sloboda, 2008).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ რუსული ენა წარმოადგენს ძირითად ენას ბელარუსის მოსახლეობაში. 1999 წლის გამოკითხვების მიხედვით მოსახლეობის 81.2% თვითიდენტიფიცირებას ახდენდა ბელარუსად, 62.8% იყენებდა რუსულ ენას როგორც ძირითად ენას სახლში (ბელარუსის სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური, 2017), ხოლო 2004 წლის მონაცემებით რუსულ ენას აქტიურად იყენებს მოსახლეობის 78%, რუსულ ენაზე თავისუფლად საუბრობს მოსახლეობის 98% (Arefev, 2006). 2005 წელს ახალგაზრდების განწყობების შესწავლის შედეგად სამ ურბანულ

ცენტრში მინსკში, გროდნოში და ვიტებსკში, სადაც გამოიკითხა კოლეჯის 559 სტუდენტი მიღებულ იქნა შედეგები, რომლის მიხედვითაც მათი 35% მშობლიურ ენად ასახელებს რუსულს, 31% ბელარუსულს, ხოლო 27% ორივეს ერთად. ამავე კვლევის მიხედვით გამოიკითხულ სტუდენტთა 69% მშობლიურ ენად ბავშვობაში იყენებდა რუსულს, 6.6% ბელარუსულს, ხოლო 21% ორივეს ერთდროულად. შესაბამისად აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოიკითხულთა იმ უმცირესობისთვისაც კი, ვინც ბელარუსულ ენას მშობლიურ ენად ასახელებს, ეს ენა წარმოადგენს უფრო ეთნიკურობის სიმბოლოს და არა პრაქტიკული გამოყენების მქონეს (Brown, 2005, p. 323 & Pavlenko, 2008, pp. 60-61).

ბელარუსის მსგავსად მოლდოვაც ახალი სახელმწიფოა, რომელსაც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის გამოცდილება ნაკლებად გააჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე. ნაციონალური იდენტობის საკითხი კი არანაკლებ პრობლემატურია ამ ქვეყნისთვის, ვიდრე ბელარუსისთვის, რაც თავისთავად განპირობებულია მისი ისტორიული და გეოგრაფიული განვითარებითა და ეთნიკურ-ენობრივი კუთვნილებით. მოლდოვას ტერიტორია მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ჰაბსბურგთა, ოსმალთა და რუსეთის იმპერიების შეხვედრის ადგილს, ქვეყანის ძირითადი ნაწილი, რომელიც მოქცეულია მდინარე პრუტსა და მდინარე დნესტრს შორის, წარმოადგენდა რუმინეთის ნაწილს, თუმცა არცთუ იშვიათად მისი ცალკეული ტერიტორიები მოქცეული იყო რუსეთის იმპერიაშიც. 1917 წელს რუსეთის ასწლიანი მმართველობის შემდეგ ისტორიული ბესარაბიის ტერიტორიაზე გამოცხადდა დამოუკიდებელი მოლდოვას დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, ხოლო 1918 წელს იგი საკუთარი სურვილით შეუერთდა რუმინეთს. 1924 წელს უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც არასოდეს ყოფილა რუმინეთის ნაწილი, იქმნება მოლდოვას საბჭოთა რესპუბლიკა, 1939 წლის მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შედეგად კი 1940 წელს საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს მოლდოვას ტერიტორია. სწორედ ამ დროიდან ისტორიულ ბესარაბიას სტალინის პოლიტიკის შედეგად შეუერთდა მდინარე დნესტრის აღმოსავლეთ სანაპირო (დნესტრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკა) და წარმოიქმნა თანამედროვე მოლდოვა (Lowenhardt et al., 2001, pp. 605-620).

კრემლის მიზანმიმართული გადაწყვეტილებების შედეგად, მოლდოვას ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელიც ძირითადად დასახლებული იყო რუმინულენოვანი მოსახლეობით და თვითიდენტიფიკაციას ახდენდა მეტწილად რუმინეთთან, თითქმის არ განვითარებულა ინდუსტრია. მძიმე მრეწველობა და ენერგეტიკული ობიექტები ძირითადად განთავსდა დნესტრის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, სადაც სწრაფი ტემპებით მოხდა რუსულენოვანი მოსახლეობის დასახლება. შესაბამისად მოლდოვას რუმინულენოვანი ნაწილი ეკონომიკურად და ენერგეტიკულად დამოკიდებული გახდა ქვეყნის რუსულენოვან ნაწილზე (Way, 2005, pp. 231-261).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წლიდან მოლდოვა ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ პოსტსაბჭოთა ქვეყნად იქცა, რომელსაც როგორც მოსალოდნელი იყო მწვავედ დაუდგა იდენტობის საკითხიც. იმ პირობებში, როდესაც მოსახლეობის უმრავლესობას რუმინული იდენტობა გააჩნდა და შესაბამისად სულ უფრო აქტუალური ხდებოდა რუმინეთთან კვლავ მიერთების საკითხი, მოსკოვმა ეფექტურად გამოიყენა საბჭოთა კავშირის მიერ ნახევარი საუკუნის განმავლობაში გატარებული პოლიტიკის შედეგი და დნესტრისპირეთში რუსულენოვანი მოსახლეობის გამოყენებით ხელი შეუწყო კონფლიქტის წარმოშობას, რომელიც სისხლიან დაპირისპირებასა და ადგილზე სეპარატისტული რეჟიმის ჩამოყალიბებაში გადაიზარდა. საინტერესოა ისიც, რომ ქვეყანაში შექმნილმა ურთულესმა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და ეთნიკურმა კრიზისმა და დამაბულობამ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მოლდოვაში ყველაზე დიდხანს შეინარჩუნა კომუნისტური პარტიის მმართველობა, შეიძლება ითქვას, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში მოლდოვა იყო ერთადერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელსაც კომუნისტი პრეზიდენტი მართავდა. რუსეთის გავლენით მოლდოვამ უარი თქვა სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსებში ინტეგრაციაზე და დღემდე ცდილობს საკუთარი, დამოუკიდებელი მოლდოვური იდენტობის ჩამოყალიბებას. უნდა ითქვას, რომ საგარეო პოლიტიკურ აქტორებს შორის რუმინეთი ბუნებრივია ცდილობს მოლდოვაში რუმინული იდენტობის წახალისებას, რაც ყველაფერთან ერთად გამოიხატება რუმინული პასპორტების დარიგებაშიც მოლდოვას მოქალაქეებისთვის, რუსეთი ცდილობს შეინარჩუნოს გავლენა ამ ქვეყანაზე რუსულენოვანი მოსახლეობისა და დნესტრიპირეთის გაყინული კონფლიქტის მეშვეობით, ხოლო უკრაინა დაინტერესებულია დამოუკიდებელი მოლდოვური იდენტობის გაძლიერებით (Baidaus, 2011, pp. 137-139).

ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ენასთან დაკავშირებული სიტუაცია არც ისე მშვიდობიანი აღმოჩნდა მოლდოვაში, სადაც დერუსიფიკაციის პროცესი გადაიზარდა სამხედრო კონფლიქტსა და სეცესიის მცდელობაში. 1989 წელს ენის შესახებ კანონმა ცალსახად განსაზღვრა მოლდოვური ენა ერთადერთ სახელმწიფო ენად, რამაც ხელი შეუწყო მისი გამოყენების გაფართოებას საგანმანათლებლო და საჯარო სექტორებში. ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია აგრესია და პროტესტი დნესტრისპირეთში, სადაც ძირითადად რუსულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს, რადგან მათი აღქმით ეს ყოველივე მათთვის საფრთხის შემცველი იყო. საბოლოოდ, პროცესი დასრულდა იმით, რომ დაარსდა ე.წ. „დნესტრისპირული რესპუბლიკა“. 1991 და 1992 წლებში ადგილი ჰქონდა რამდენიმე სამხედრო შეტაკებას მოლდოვურ და დნესტრისპირულ შენაერთებს შორის, რის შემდეგაც სიტუაცია გაიყინა არსებულ მდგომარეობაში და ნარჩუნდება დღემდე (Cisnel, 2008 & Roper, 2005). 2001 წელს, როდესაც მოლდოვას ხელისუფლებაში მოვიდა ვლადიმირ ვორონინის კომუნისტური მთავრობა, პრობლემის გადაწყვეტის გზად მიჩნეულ იქნა რუსული ენის, როგორც მეორე სახელმწიფო ენის შემოღება. თუმცა, 2002 წელს კომუნისტურ მთავრობას მოუწია უკან დახევა მას შემდეგ, რაც ნაციონალისტური განწყობების მქონე ოპოზიციამ მოახერხა 80 000-მდე მოქალაქის მობილიზება საპროტესტო აქციებზე თვეების განმავლობაში, ეს რიცხვი შთამბეჭდავია იმდენად, რამდენადაც კიშინოვის მოსახლეობა სულ 670 000 ადამიანამდეა. ოპოზიციის პროტესტის შედეგად ეს გეგმა თაროზე იქნა შემოდებული (Way, 2005, pp. 231-261).

მოლდოვას კონსტიტუციის მე-13 მუხლი დღემდე განსაზღვრავს, რომ ქვეყნის სახელმწიფო ენა არის მხოლოდ მოლდოვური. თუმცა, ამავე მუხლის მიხედვით დაცულია ენობრივი უმცირესობების უფლებები, რომ გამოიყენონ რუსული და სხვა ენები სურვილისამებრ, მაგრამ არა საჯარო სექტორში. ენის შესახებ კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერისა და კანონის შედეგად საგრძნობლად მოხდა მოლდოვური ენის გავრცელება ცხოვრების ყველა სფეროში, მაშინ როდესაც რუსული ფაქტობრივად გამოუსადეგარ ენად იქცა. ამ მიდგომის შედეგად რუსულენოვანი მოსახლეობისთვის თითქმის შეუძლებელი გახდა სამსახურის შოვნა სახელმწიფო სექტორში (Roper, 2005). ხსენებული სირთულეების გათვალისწინებით მოლდოვამ დაკარგა რუსულენოვანი მოსახლეობის 10-13%, რომლებიც წავიდნენ ემიგრაციაში (Arutjunjan, 2003). რაც შეეხება საგანმანათლებლო სისტემას, 2006-2007 სასწავლო წლისთვის საშუალო სკოლის მოსწავლეთა 80% განათლებას იღებდა მოლდოვურ (რუმინულ) ენაზე და

მხოლოდ 20% სწავლობდა რუსულად, ამ მონაცემებში არ არის გათვალისწინებული დნესტრისპირეთის მონაცემები. კოლეჯისა და უნივერსიტეტის სტუდენტთა 68.3% სწავლობდა მოლდოვურად, ხოლო 28.4% რუსულად (მოლდოვას სტატისტიკის ეროვნული ბიურო, 2017).

იმის გასაცნობიერებლად, თუ რა შეცვალა რუსული ენის შეზღუდვამ მოლდოვაში, საინტერესოა კვლევის შედეგები, რომელიც აჩვენებს განსხვავებას ენის კომპეტენციაში პერიოდების მიხედვით. 1989 წლის გამოკითხვის მიხედვით მოლდოვას გამოკითხული მოსახლეობის 68.5% მიიჩნევდა, რომ რუსული იყო მათი მშობლიური ან მეორე ენა (Goskomstat SSSR, 1991 & Skvortsova, 2002). 1998 წელს კოლსტოსა და მელბერგის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით მოლდოვას მოსახლეობის 87% თავისუფლად საუბრობდა რუსულად. 2004 წლის კვლევების მიხედვით კი მოსახლეობის 56% კვლავ აქტიურად საუბრობს რუსულად, 85%-ს გააჩნია საუბრის კომპეტენცია (Arefev, 2006). ამავე წლის ოფიციალური მონაცემებით მოსახლეობის 75% ძირითადად საუბრობს მოლდოვურ/რუმინულ ენაზე და მხოლოდ 16% იყენებს რუსულს ყოველდღიურ ცხოვრებაში (მოლდოვას სტატისტიკის ეროვნული ბიურო, 2017). ხსენებული მონაცემების გაანალიზების შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ შეიცავს დნესტრისპირეთის ავტონომიური რესპუბლიკის მონაცემებს, სადაც რუსული დომინანტი ენაა, შეიძლება ითქვას, რომ მოლდოვაში რუსული ენა კარგავს აქტუალობას და მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით მას გარკვეული უფლებები კვლავ გააჩნია, მისი ცოდნა მოსახლეობისთვის არ წარმოადგენს აუცილებლობას, იგი იქცა უფრო მეტად მოსახლეობის არჩევანის საგნად, რაც იმას მოასწავებს, რომ ახალი თაობა რუსულად სულ უფრო ნაკლებად ისაუბრებს, განსაკუთრებით კი რეგიონებში (Cisnel, 2008).

იმის ასახსნელად, თუ რამ გამოიწვია რუსული ენის განსხვავებული მდგომარეობა და მისდამი დამოკიდებულება ბელარუსსა და მოლდოვაში, საჭიროა კვლავ გადავხედოთ მათ ისტორიას. რუსული ენის მდგომარეობა ამ ორ ქვეყანაში განპირობებულია იმით, თუ როგორ მოხდა მათი შესვლა რუსეთის იმპერიაში თუ საბჭოთა კავშირში და რამდენად განვითარებული იყო მათი საკუთარი ენის კომპეტენციები რუსეთში ინკორპორაციამდე. ბელარუსი, რომელიც თითქმის 200 წლის განმავლობაში იყო რუსეთის მმართველობის ქვეშ, ყველაზე მეტად რუსიფიცირებული რესპუბლიკაა, რაც დასტურდებოდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს.

ბელარუსების ლოიალობა საკუთარი ენის მიმართ ძალიან დაბალია, ხოლო ნაციონალური იდენტობა სუსტი. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ბელარუსის სიახლოვე რუსეთთან კიდევ უფრო გაიზარდა, 1999 წლის ოფიციალური მონაცემებით ეთნიკურ ბელარუსთა 58.6% იყენებს რუსულს, როგორც მთავარ ენას (ბელარუსის სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური, 2014).

ბელარუსისგან განსხვავებით მოლდოვას საბჭოთა კავშირში ინკორპორაცია გაცილებით რთული პროცესი იყო, რადგან იგი დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა რუმინეთის ნაწილს, რუსეთის იმპერიის დაპყრობის შემდეგაც ორ მსოფლიო ომს შორის, სანამ კვლავ მოხდებოდა საბჭოთა კავშირის მიერ მისი ანექსია იგი იმყოფებოდა რუმინეთის შემადგენლობაში, გააჩნდა საკუთარი ენის მიმართ მაღალი ლოიალობა (რუმინული) და ჰქონდა უფრო ძლიერი ნაციონალისტური მისწრაფებები, ვიდრე ბელარუსს. კიდევ ერთი ფაქტორი ენის პოლიტიკის განსაზღვრაში არის ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი ძლიერად არის ეკონომიკურად რუსეთზე დამოკიდებული, მოლდოვა მაინც მიისწრაფის ევროპული ინტეგრაციისკენ, ხოლო ბელარუსი ცალსახად პრორუსულია პოლიტიკური რეჟიმის ხასიათის გათვალისწინებით (Ivsina, 2004 & Kuzio, 2005).

ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საერთო საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონირება, შესაბამისი იდენტობის განსაზღვრისა და გაღრმავებისთვის შემდგომი თაობების ცნობიერებაში. საბჭოთა კავშირის განათლების სისტემის შესწავლის შემდეგ მკვლევრები ტიტმა და საარი მიიჩნევენ, რომ თუკი ერთმანეთს შევადარებთ ბელარუსისა და მოლდოვას საგანმანათლებლო სისტემებს საბჭოთა პერიოდში, ვნახავთ, რომ ბელარუსის სასკოლო განათლება, რომელიც ფაქტობრივად პირდაპირ იყო მოსკოვის იდეოლოგიის გამტარებელი, წარმოადგენდა საბჭოთა განათლების სისტემის იდეალთან ყველაზე მიახლოებულს, სადაც რუსულ ენაზე განათლების მიღება ითვლებოდა უფრო პრესტიჟულად, ვიდრე მშობლიურ ბელარუსულ ენაზე. უფრო მეტიც, ბელარუსულად ამ ქვეყნის დედაქალაქ მინსკში წლების განმავლობაში არათუ საშუალო სკოლები არ ფუნქციონირებდა, არამედ საზაფხულო თუ სხვა სახის მოკლე კურსებიც კი არ მიმდინარეობდა. განათლებული მოქალაქეების რაოდენობით, რაც მილკ ტიტმამ და ელუ

საარმა სრული საშუალო და უმაღლესი განათლების მქონეთა შესაბამისად გამოთვალეს, ბელარუსი ერთ-ერთი მოწინავე იყო საბჭოთა კავშირში, იგი უსწრებდა მოლდოვასაც, სადაც შედარებით ნაკლები იყო განათლებამიღებულ ადამიანთა რაოდენობა და ჩამორჩებოდა ცენტრალური აზიის ქვეყნების ნაწილსაც კი, თუმცა, აღემატებოდა რუსეთის პროვინციებს ამ მაჩვენებლით (Titma et al. 1995, pp. 37-58). ამ მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ განათლების სისტემის სისუსტემ, რაც განათლებამიღებულ მოქალაქეთა რაოდენობაში გამოიხატებოდა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა იქონია მნიშვნელოვანი გავლენა მოლდოვაში ერთიანი მოლდოვური იდენტობის ჩამოყალიბებასა და გაღრმავებაზე. ხოლო ბელარუსში, საგანმანათლებლო სისტემაში რუსული ენის დომინირებამ გამოიწვია ეროვნული იდენტობის შესუსტება, რამაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ლოგიკური ასახვა ჰპოვა ამ ქვეყნის მოქალაქეების განწყობებსა და პოლიტიკურ სიმპათიებში.

იდენტობის განსაზღვრისას ენასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია რელიგიის ფაქტორიც. რელიგიური კუთვნილების მხრივ ბელარუსი და მოლდოვა იდენტურნი არიან რუსეთთან და რუმინეთთან, ოთხივე ხსენებულ ქვეყანაში დომინანტურ რელიგიას წარმოადგენს მართლმადიდებლური ქრისტიანობა. შესაბამისად, რწმენის თვალსაზრისით გაცილებით უფრო რთულია ბელარუსებისა და მოლდოველებისათვის მოახდინონ საკუთარი უნიკალური იდენტობის განსაზღვრა რუსეთისა და რუმინეთის, როგორც სხვების მიმართ, ვიდრე ეს ენის შემთხვევაშია. მართლმადიდებლურ სარწმუნოებას ბუნებრივია ეფექტურად იყენებს რუსეთი, რომელიც მუდმივად ახდენს იმის აქცენტირებას, რომ სწორედ იგი გახლავთ მართლმადიდებლური სამყაროს ლიდერი და იმ ფასეულობებისა და ღირებულებების მცველი, რომელიც ამ რელიგიას გააჩნია. კრემლის რბილი ძალის უმნიშვნელოვანესი მესიჯი მართლმადიდებელი მეზობლებისთვის, ვისაც საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევს, სწორედ ისაა, რომ მხოლოდ რუსეთთან მოკავშირეობა და მასთან ერთად თანაცხოვრებაა სწორი მართლმადიდებელი ერებისთვის, რადგან ევროპული ქვეყნები და ამერიკა რელიგიურად და შესაბამისად ცხოვრების წესით რადიკალურად განსხვავებული და არაორგანულია (Hooper, 2016). რუმინეთის შემთხვევაში მოლდოვასთან ურთიერთობისა და მასთან კიდევ უფრო ღრმა ინტეგრაციისთვის რელიგიური ფაქტორი შეიძლება განხილულ იქნას როგორც დამატებითი პლიუსი და ხელშემწყობი ნიუანსი, რომლის გამოყენებაც ასევე ეფექტურად არის შესაძლებელი.

ნაციონალური იდენტობის სისუსტე და მისი გავლენა მოლდოვასა და ბელარუსის საგარეო პოლიტიკასა და სახელმწიფო განვითარების გზაზე

საბჭოთა კავშირის დაშლიდან ორ ათეულ წელზე მეტის გასვლის შემდეგაც კრემლის საგარეო პოლიტიკა ახლო სამეზობლოს მიმართ ცხადყოფს მის სურვილს შეინარჩუნოს გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე, აღიდგინოს ძველი პრესტიჟი და იქცეს რეგიონული პოლიტიკის შემქმნელად. მოლდოვა არის ერთ-ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელიც მოყოლილია ერთდროულად ორი მნიშვნელოვანი რეგიონული მოთამაშის სტრატეგიულ ინტერესში, ესენი არიან მოსკოვი და ბუქარესტი. განსხვავებით სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან, რუსეთის სურვილს აღადგინოს საკუთარი გავლენა მოლდოვაში, არ ეწინააღმდეგება მხოლოდ ზოგადად აღებული დასავლეთის ინტერესებს, არამედ იგი წინააღმდეგობაში მოდის კონკრეტულად რუმინეთის ეროვნულ ინტერესებთანაც. მაშინ როდესაც, რუმინეთი დაინტერესებულია მოლდოვას რუმინული ეთნიკური და პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბებით, მოლდოვას კიდევ ერთი დიდი მეზობელი, უკრაინა, გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ისურვებს მოლდოვას უნიკალური, მოლდოვური იდენტობის ჩამოყალიბებას. ამ სურვილში რუსეთის და უკრაინის ხედვები ერთგვარად ერთმანეთს ემთხვევა.

მოლდოვა-რუმინეთის ურთიერთობების ანალიზისას აღსანიშნავია, რომ კიშინოვს ცალსახად განსაზღვრული და სწორხაზოვანი დამოკიდებულება დასავლელი მეზობლის მიმართ არ გააჩნია. 1990-იანი წლების დასაწყისში მოლდოვას პოლიტიკური ელიტა მიესალმებოდა რუმინული იდენტობის წახალისებას და პროტესტს არ გამოთქვამდა რუმინეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის მიმართ, როდესაც ისინი იყენებდნენ ისეთ ფრაზებს, როგორცაა „ორი რუმინული ქვეყანა“ და ა.შ. (Baidaus, 2011, pp. 137-138) ოფიციალურ დისკურსში. სიტუაცია შეიცვალა, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა აგრარული და შემდგომ ნეოკომუნისტური პარტია 1994 წელს. ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური, ეთნიკური და კულტურული ღირებულებები გადაიხარა რუსეთისკენ. რუმინეთის ამბიციის, რომ მოეხდინა მოლდოვას ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაცია ერთიანი რუმინეთის სახელმწიფოში დასავლეთ გერმანიის მაგალითის შესაბამისად, ზედმეტად ამბიციური აღმოჩნდა. თუმცა, ოფიციალური რომანოფობია და „მოლდოვანიზმის“ პოლიტიკა

დასრულდა, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა პროდასავლური კოალიცია 2009 წელს. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, 1991 წლიდან რუსეთი ირგებს მოლდოვას უსაფრთხოების გარანტიორის როლს, მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, კრემლი „მცველის“ ფუნქციებს ასრულებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მის გეოპოლიტიკურ ინტერესებს შეესაბამება. მოსკოვი იყენებს მრავალმხრივ ბერკეტს იმისათვის, რათა შეინარჩუნოს კონტროლი მოლდოვას დასავლეთ-აღმოსავლეთის საგარეო პოლიტიკურ ორიენტირებზე, ამისათვის მას გააჩნია როგორც ეკონომიკური, ენერგეტიკული და პოლიტიკური მექანიზმები, ისე გაყინული კონფლიქტი დნესტრისპირეთში, რომლის პროვოცირება და გაცხელება ნებისმიერ დროს ხელეწიფება. რუმინეთსა და უკრაინას შორის მოქცეული მოლდოვა მუდმივი მოლოდინის რეჟიმშია, რომ უკრაინა გამოიყენებს მის ხელთ არსებულ შესაძლებლობებს და დაეხმარება კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებაში დნესტრისპირეთში, თუმცა, რამდენიმე ნაბიჯის გარდა, რომელიც პრეზიდენტ იუშენკოს მმართველობისას გადაიდგა, კიევი როგორც წესი ძალიან არ აქტიურობს და რუსეთს უთმობს მოლაპარაკებებში ლიდერის როლს. სიტუაციის შესაბამისად, ოფიციალური კომინოვი, მიუხედავად იმისა, თუ რა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის მთავრობაა სათავეში, იძულებულია იმოქმედოს რუსეთის პოლიტიკური ინტერესების ტყვეობაში, რაც ხშირად აისახება კიდევ მისი საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების სისუსტესა და არაეფექტურობაში. გარდა ქვეყნის გარეთ წარმოებული პოლიტიკისა, დნესტრისპირეთის კონფლიქტი, სხვა ეთნიკური უმცირესობების მოთხოვნები, რუმინული იდენტობის გავლენა და სხვა, რაც გამოწვეულია ერთიანი მოლდოვური ნაციონალური იდენტობის სისუსტითა თუ არარსებობით, გავლენას ახდენს უშუალოდ ქვეყნის შიგნით სახელმწიფო მოწყობისა და განვითარების მიმართულებებზეც, რაც წლების განმავლობაში ასახვას ჰპოვებს კონსტიტუციაში შეტანილ თუ განსახილველ საკითხებში სახელმწიფო მოწყობის მოდელის, ძალაუფლების დანაწილების სისტემის, გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ორგანიზებაში და ა.შ. (ibid: 138-139).

ბელარუსი ერი, განსხვავებით ევროპული ერების უმრავლესობისაგან, არ აღმოცენებულა ეთნო-ნაციონალური განვითარების ხაზის გარშემო ძირძველი ენის, კულტურის თუ ნაციონალისტური ისტორიული ნარატივის მეშვეობით. არამედ, იგი წარმოიქმნა კომუნისტური ექსპერიმენტის შედეგად, რომელიც 70 წელი გრძელდებოდა. ბელარუსულმა ნაციონალიზმმა, თუკი ასეთის შესახებ საუბარი შესაძლებელია, გამოიარა მე-20 საუკუნის

ყველა დიდი კატაკლიზმა სტალინის ტერორის და საშინელი მეორე მსოფლიო ომის ჩათვლით. გეოპოლიტიკური რყევებისა და საბჭოთა რეჟიმის ხასიათის შედეგად შეგვიძლია ჩავთვალოთ ის, რომ დღესაც, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორ ათეულ წელზე მეტის გასვლის შემდეგ, ბელარუსი ერი კვლავ თავისი გზის ძიებაშია.

პრეზიდენტ ლუკაშენკოს რეჟიმის მიერ გატარებული პოლიტიკის საფუძველზე შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ის აქტიურად ეწინააღმდეგება ერი-სახელმწიფოს მოდელის ჩამოყალიბებას ბელარუსში და აგრძელებს საბჭოთა კავშირის დროინდელი ეტატისტური მიდგომის გამოყენებას ცენტრალური ბიუროკრატიული მმართველობის ფორმით. ამ ყოველივეს მეშვეობით ბელარუსი იქცა უნიკალურ შემთხვევად გლობალიზაციისა და მზარდი თავისუფალი ბაზრის ერაში, თანაც იმ პირობებში, როდესაც გარშემორტყმულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებით. იდენტობის საკითხები, რაც დაკავშირებულია ძირითადად ენასთან და ისტორიის გააზრებასთან წარმოადგენს დაპირისპირების საგანს 1994 წლიდან ლუკაშენკოს რეჟიმსა და დემოკრატიულ ოპოზიციას შორის, თუმცა, ოპოზიციის სუსტი პოზიციების გამო, ამ დისკურსს დიდი გავლენა არ მოუხდენია ქვეყნის მიერ გატარებულ საგანმანათლებლო თუ სხვა სახის პოლიტიკებზე. ეს ყოველივე კი აფერხებს ერის მშენებლობის პროცესს, რომელიც ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს. არსებული რეჟიმი კი არათუ არაფერს აკეთებს მისი ხელშეწყობისათვის, არამედ ხშირ შემთხვევაში მის საწინააღმდეგო ნაბიჯებსაც კი დგამს (Manaev et al., 2011).

ბელარუსი ერი, რომელმაც ჩამოყალიბება თანამედროვე სახით გვიან მე-19 საუკუნესა და ადრეულ მე-20 საუკუნეში დაიწყო ეს პროცესი მთლიანად გაიარა რუსეთის იმპერიის ქვეშ, შემდგომ კი იყო საბჭოთა კავშირის უეროვნებო საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების მცდელობა, რომელშიც რა საკვირველია ბელარუსიც იყო აქტიურად ჩართული. იმის ფონზე, რომ ბელარუსს არ გააჩნდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცდილება, უნიკალური, სხვებისგან გამორჩეული ენა, რუსეთისგან განსხვავებული კულტურა და ისტორიული ნარატივი, რთული აღმოჩნდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ მოკლე, ლუკაშენკოს მოსვლამდე, პერიოდში მოეხერხებინა საბჭოთა იდენტობისგან გათავისუფლება და ერი-სახელმწიფოს მშენებლობა. პრეზიდენტი ლუკაშენკო კი, რომელმაც მოახდინა საბჭოთა პოლიტიკური ელიტისა და მმართველობითი მანქანის კვლავ მოქმედებაში მოყვანა

ბელარუსის ტერიტორიაზე, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, სრულიად არ მიისწრაფვის ნაციონალური გამოვლინებების და ერის თვითიდენტიფიკაციის გაძლიერებისკენ. მისი შეთანხმება კრემლთან, რომლის მიხედვითაც იგი ატარებს პრორუსულ პოლიტიკას სანაცვლოდ კი იღებს პირად სუვერენიტეტს ბელარუსის ტერიტორიაზე, დღემდე „ეფექტურად“ მუშაობს. (Smok, 2013, pp. 7-12)

მოლდოვასა და ბელარუსს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომი პერიოდიდან ჰქონდათ კარგი შესაძლებლობა ევროკავშირთან ურთიერთობებისა და ფორმალურად წევრობისთვისაც კი. მოლდოვის შემთხვევაში სამთავრობო დონეზე ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკა საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტად იქნა აღიარებული, ნატოსთან ურთიერთობა კი კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერის შესაბამისად, რომელიც რუსეთის აქტიური მოთხოვნითა და ზეწოლით იქნა გაკეთებული და რომლის მიხედვითაც მოლდოვა ნეიტრალური სახელმწიფოა, არ შეეძლო (Cebotari, 2010, p. 86). ბელარუსის შემთხვევაში ევროკავშირთან ურთიერთობების დალაგების რამდენიმე მცდელობას ჰქონდა ადგილი, თუმცა, ევროპის უკანასკნელ დიქტატორად წოდებული პრეზიდენტი ლუკაშენკოს და მის მიერ გატარებული პოლიტიკური რეპრესიების გამო, ევროკავშირთან რაიმე სახის ღრმა ინტეგრაციაზე საუბარი არასოდეს ყოფილა. ისიც აღნიშვნის ღირსია, რომ არც თავად მინსკს გამოუთქვამს ამის შესახებ დიდი სურვილი არასდროს.

ბელარუსი, როგორც უკვე ითქვა რუსეთის ყველაზე ახლო ახალი მოკავშირე გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. დასავლური ორიენტაციის მქონე ახალი მთავრობა, რომელიც საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდგომ მოვიდა მინსკში, სწრაფად შეუდგა ბელარუსის გაწევრიანებას მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციაში დამოუკიდებლობის პირველ წელსვე, მათ შორის იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიც. ბელარუსის პარლამენტმა მოახდინა START-1-ის და ბირთვული გაუფრცხვლებლობის ხელშეკრულების რატიფიკაცია 1993 წელს, რასაც თან მოჰყვა მის ტერიტორიაზე არსებული ყველა ბირთვული იარაღის დემონტაჟი და ქვეყნიდან გატანა 1996 წლისთვის. ამავე პერიოდში დაიწყო დიპლომატიური ურთიერთობები ევროკავშირთან და 1994 წელს გაფორმდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება მასთან. თუმცა, იგივე წელს საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა რუსული ორიენტაციის მქონე ალექსანდრ

ლუკაშენკომ, რომელმაც მალევე, 1996 წელს, გააუქმა ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულება და გააფორმა პარტნიორობა რუსეთთან, რაც მოასწავებდა დიდ სლავ მეზობელთან ინტეგრაციის პროცესის დასაწყისს. რამდენიმე თვეში ლუკაშენკომ დანიშნა რეფერენდუმი, რომლის შედეგადაც გაზარდა პრეზიდენტის ძალაუფლება და საპრეზიდენტო ვადები, რის გამოც ბევრ დასავლურ მთავრობაში მისი ლეგიტიმაციის ხარისხი დაეცა. ფორმალურად ბელარუსი ინარჩუნებდა მრავალმიმართულებიან საგარეო პოლიტიკას, 2000 წელს პარლამენტისადმი მიმართვის დროს ლუკაშენკომ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი იყო ურთიერთობების განვითარება ყველასთან, მათ შორის არსებული მოლაპარაკებების გაგრძელება ევროკავშირთან, ურთიერთობების დაახლოება ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ნატოს წევრ სახელმწიფოებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, თუმცა, მთავარი პრიორიტეტი იყო რუსეთი და მათ უნდა ეზრუნათ სამეკავშირეო სახელმწიფოს შექმნაზე, რაც 1999 წლის დეკემბერში გაფორმდა კიდევ. ამით ფაქტობრივად დასრულდა ის ფორმალური საგარეო პოლიტიკური თამაში, რომელიც მრავალმიმართულებიან პოლიტიკად იწოდებოდა და ბელარუსი გახდა აღმოსვალეთზე, კერძოდ კი რუსეთზე ცალსახად ორიენტირებული ქვეყანა (Shraibman, 2018).

მოლდოვა გახლდათ კიდევ ერთი სტატუს ნეიტრალური ქვეყანა, როგორც უკვე იქნა აღნიშნული და მას კონსტიტუციით ეკრძალებოდა სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსებში შესვლა. იგი ასევე არ მიერთებია ტაშკენტის ხელშეკრულებას რომლითაც დაარსდა კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაცია პოსტსაბჭოთა ქვეყნების მონაწილეობით. უფრო მეტიც, მოლდოვა ყველაზე გვიან შეუერთდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასაც. იგი იყო დაყოფილი საზოგადოება უკრაინული და რუსული ეთნიკური უმცირესობებით და დიდი სლავური დნესტრისპირეთის რეგიონით, რომელსაც კიშინიოვი ვერ აკონტრელებდა და რომელსაც რუსი სამხედროები იცავდნენ. პირველი მთავრობისთვის, რომელიც გახლდათ ნაციონალისტური განწყობების მქონე და რომელიც მართავდა ქვეყანას დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, დამოუკიდებლობა გახლდათ ერთი გარდამავალი ნაბიჯი რუმინეთთან მიერთების გზაზე. თუმცა, 1994 წელს აგრარული პარტიის გამარჯვებამ არჩევნებში, სრულიად გადახარა სახელმწიფოს განვითარების მიმართულება და რეფერენდუმის შედეგად გადაწყდა, რომ მოლდოვას სურდა დამოუკიდებლად განვითარება. საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, ახალი მთავრობა ცალსახად განსაზღვრავდა ევროპულ

ინტეგრაციას სახელმწიფოს პრიორიტეტად, ამასთან ერთად აცხადებდა, რომ უნდა განვითარებული კონსტრუქციული ურთიერთობების განვითარება რუსეთთანაც. მსგავსი პოლიტიკა შეიცვალა მას შემდეგ, რაც აგრარული პარტიაც დამარცხდა შემდგომ არჩევნებში და ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ნეოკომუნისტები, მოლდოვა კვლავ დაუბრუნდა ევროპული ინტეგრაციის გზას 2009 წლიდან, როდესაც კომუნისტები უკვე ახალმა პროდასავლურმა კოალიციამ ჩაანაცვლა, როგორც ეს ზემოთ იქნა ნახსენები (White et al., 2002, pp. 181-202).

თუკი მოლდოვასა და ბელარუსის შემთხვევებს განვიხილავთ ჰროშის ზემოთ მოყვანილი თეორიის მიხედვით, დავინახავთ, რომ ბელარუსში ჯერ კიდევ არ მომხდარა A ფაზის დასრულება, რადგან არ მომხდარა ბელარუსული ენის მოდერნიზაცია და საყოველთაო სტანდარტიზებულ სალიტერატურო და საქმისწარმოების ენად გადაქცევა, საუბარი ზედმეტია მისი, როგორც საგანმანათლებლო სისტემის დომინანტი ენის სტატუსზე. როგორც შემთხვევის აღწერაშია ნაჩვენები, 1994 წლის რეფერენდუმის შედეგად, ფაქტობრივად ხელოვნურად მოხდა ბელარუსული ენის მნიშვნელობის დაკნინება, შესაბამისად პრეზიდენტ ლუკაშენკოს პოლიტიკით არათუ შეფერხდა ბელარუსული იდენტობის და ნაციის ფორმირება, არამედ ერთ ადგილზე გაიყინა და ხშირ შემთხვევაში უკანაც დაიხია. რაც შეეხება B და C ფაზებს, შესაძლოა გაჩნდეს მოსაზრება, რომ ბელარუსმა A ფაზა გამოტოვა და პირდაპირ B ან/და C ფაზები გაიარა, თუმცა, თუკი გადავხედავთ ბელარუსში არსებულ ვითარებას, ეროვნული საკითხის აქტუალიზაციით დაინტერესებული გავლენიანი აქტორები ფაქტობრივად არ არსებობენ, ან თუ არსებობენ არიან ძალიან სუსტები და ლუკაშენკოს რეჟიმის პირობებში ვერ მოქმედებენ ეფექტიანად, რათა მოახდინონ მასების მობილიზება ეროვნული იდეის გარშემო. C ფაზა კი, როდესაც ერთიანი ერის კონსოლიდაცია და ნაციონალური მოძრაობის დაწყება უნდა მოხდეს, ბელარუსისთვის ამ ეტაპისთვის წარმოუდგენელია, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა ცალსახად არ არის ჩამოყალიბებული საკუთარ იდენტობაში, რაც პირველ რიგში გამოიხატება სწორედ რუსული ენის მიმართ დამოკიდებულებაში. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ბელარუსს ჯერ არ გაუვლია ნაციონალიზმის ჩამოყალიბების არც ერთი ფაზა სრულად და იმყოფება ნაციონალური იდენტობის კრიზისში, რაც ბუნებრივად ქმნის მისთვის, როგორც ერთიანი კონსოლიდირებული აქტორისთვის არახელსაყრელ გარემოს საერთაშორისო ასპარეზზე, რაც დასტურდება კიდევ მისი საგარეო პოლიტიკით და რუსეთზე მიტმასნებით. ამასთანავე

ქვეყანაში ძალაუფლების ვექტორისა და მისი სახელმწიფოებრივი განვითარების ფორმები და შინაარსი მთლიანად დამოკიდებულია კრემლის პოლიტიკურ დღის წესრიგზე და მის მიერ გამოცხადებულ მხარდაჭერაზე კონკრეტული პოლიტიკოსების მიმართ მინსკში.

რაც შეეხება მოლდოვას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოლდოვამ A ფაზა მეტნაკლები წარმატებით გაიარა, რაც დაგვირგვინდა იმით, რომ მათ კონსტიტუციით მკაცრად განსაზღვრეს მშობლიური რუმინული ენის სახელმწიფო სტატუსი. ამით შეზღუდეს რუსული ენის დომინანტური პოზიცია და აიძულეს რუსულენოვანი პოლიტიკური ელიტა უკან დაეხია და შედარებით დაეთმო პოზიციები. B ფაზის დაწყებაც ცალსახაა მოლდოვას შემთხვევაში, რადგან აქ ვხვდებით ეროვნული იდეის პოპულარიზაციითა და განვითარებით დაინტერესებულ აქტივისტებს, ვინც აქტიურად ითხოვს წლების განმავლობაში მოლდოვური დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარებას, გამოდის რუსული ენის დომინანტური სტატუსის წინააღმდეგ და 2002 წელს უკან დაახევინა კიდეც პრეზიდენტ ვორნინს, როდესაც რუსულის მეორე სახელმწიფო ენად გამოცხადება სურდა, მაგრამ რამდენად გადავიდა მოლდოვა ნაციონალიზმის განვითარების C ფაზაზე, ეს საკამათოა, რადგან ერთიანი ეროვნული თვითშეგნება იმ პოლიტიკური დისკურსით, რაც ამ ქვეყანაში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ არსებობს, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ვინაიდან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ კიდევ ძალიან აქტუალურია რუმინეთთან მიერთების მოთხოვნები, თუ რუსეთისკენ მომზირალი პოლიტიკური და კულტურული ელიტის ნოსტალგიური განწყობები საბჭოთა კავშირის მიმართ. მოლდოვას უმთავრესი პრობლემა ბელარუსისგან განსხვავებით არ მდგომარეობს რუსეთის, როგორც სხვის განსაზღვრაში და მის მიმართ საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბებაში, რაც დადასტურდა რუსული ენის ეფექტური ჩანაცვლების პრცოცესით ყოველდღიურ ცხოვრებასა და საგანმანათლებლო სისტემაში, არამედ მისი მთავარი პრობლემა დაკავშირებულია რუმინეთთან საერთო ენის და ისტორიის არსებობასთან, რაც ხელს უშლის დამოუკიდებელი მოლდოვური იდენტობის ჩამოყალიბებას. თუკი რუმინეთთან თვითიდენტიფიკაციის გარკვეული დონე ხელს უწყობს მოლდოვას ევროკავშირთან დაახლოებასა და რუსეთის საწინააღმდეგო ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში, იგი პრობლემას აწყდება უკვე თავად რუმინეთთან მიმართებაში. თუკი მოლდოვას სურს, რომ განვითარდეს როგორც დამოუკიდებელი, უნიკალური მოლდოვური ნაციონალური იდენტობის მქონე ერად, მას მოუწევს დაძლიოს რუმინეთის ფაქტორი და

ამავდროულად განაგრძოს რუსეთისგან მომავალი ძლიერი დაბრკოლებების გადალახვა. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ მოლდოვაში ნაციონალიზმის განვითარება ამ ეტაპზე იმყოფება B ფაზაში და ჯერ კიდევ არ დაწყებულია C ფაზა, შესაბამისად აქაც, ისევე როგორც ბელარუსის შემთხვევაში, ნაციონალური იდენტობა სუსტია, რაც ხელს უწყობს მის მოწყვლადობას საგარეო პოლიტიკაში და განსაზღვრავს სახელმწიფო განვითარების მიმართულებებსა და მოდელს.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ეროვნული იდენტობის საკითხი და რუსეთთან ურთიერთობები გვიჩვენებს, როგორც ბელარუსში, ისევე ბევრ სხვა პოსტსაბჭოთა აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყანაში, ნაციონალური იდენტობის გრძნობა არ არის ძლიერად განვითარებული. ქვეყანა, რომელმაც ინდუსტრიალიზაცია საბჭოთა კავშირის პირობებში გაიარა და რომელშიც დიდი რუსული ენისა და კულტურის გავლენა, მარტივად აღმოჩნდა პოპულიზმისა და ავტორიტარიზმის მეთოდების კარგი მცოდნე ლუკაშენკოს გავლენის ქვეშ, რომელიც ეფექტურად აპელირებს საბჭოთა წარსულის ნოსტალგიით და იმ არეულობებით, რომლებიც 90-იანი წლებიდან მრავლდაა ევროპასა და მსოფლიოში. ის შემობრუნებები ევროკავშირისა და დასავლეთისკენ, რომლებიც ლუკაშენკოს დროდადრო ახასიათებს, მიგვითითებს იმაზე, რომ იგი ცდილობს რუსეთის გარდა სხვა საგარეო პოლიტიკური მიმართულებების არსებობასაც გაუსვას ხაზი, რათა ძალაუფლების შენარჩუნების კრიზისი არ დაუდგეს და არა იმიტომ, რომ იზიდავს ევროპული ღირებულებები.

რაც შეეხება მოლდოვას, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში და მიისწრაფვის ევროპული ინტეგრაციისკენ, დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა ევროკავშირის პერიფერიაში მდებარე ქვეყნად, რომლის სტაბილიზაციასაც ისურვებდა ევროპული გაერთიანება, რათა დამატებითი თავის ტკივილი არ ჰქონოდა საზღვრებთან. თუმცა, რუმინეთის ევროკავშირში გაერთიანების შემდგომ მოლდოვას სრულუფლებიან წევრობას აქტიური ადვოკატი გამოუჩნდა კავშირის შიგნით, რაც აჩენს იმედს, რომ იგი ოდესმე შესაძლოა ნამდვილად გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი. გეოგრაფიულად, კულტურულად და პოლიტიკურად მოლდოვას ევროპილი ინტეგრაციისთვის ხელს არაფერი უშლის, ერთადერთი რაც მას აფერხებს ეს რუსეთი და მისი იმპერიული მისწრაფებებია (Horber, 2009, pp. 644-645).

დასკვნა

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ მოლდოვასა და ბელარუსის ნაციონალური იდენტობა პოსტსაბჭოთა პერიოდში, მიუხედავად დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორ ათეულ წელზე მეტის გასვლისა, ჯერ კიდევ ძალიან სუსტია. შესაძლებელია საუბარი იმაზე, რომ მოლდოვაში მოლდოვური ნაციონალური იდენტობის განვითარება შედარებით წინაა წასული ვიდრე ბელარუსში და იმყოფება მიროსლავ ჰროშის მიერ გამოყოფილი ფაზებიდან მეორე, B ფაზაზე, ხოლო ბელარუსი ჯერ კიდევ საწყის A ფაზაზე იმყოფება. ამ ყოველივეს განმაპირობებელი ფაქტორები კი პირველ რიგში ბელარუსისა და მოლდოვას ისტორიული გამოცდილება თუ გამოუცდელობაა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიმართულებით, ენასთან დაკავშირებული პრობლემები, რელიგიური ერთობა ბელარუსის რუსეთთან და მოლდოვას რუსეთთან და რუმინეთთან და ა.შ. ამ ყოველივეს გათვალისწინებით კი სუსტი ნაციონალური იდენტობა პირდაპირ აისახება ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციასა და გადაწყვეტილებებზე, შესაბამისად სახელმწიფოს განვითარების მოდელებსა და ფორმებზე. ბელარუსში არსებული რეჟიმი ფაქტობრივად ტყვეა რუსული პოლიტიკის, რადგან სახელმწიფოს ავტორიტარული მმართველობის სტილისა და იდენტობის პრობლემის გამო დასავლეთთან ურთიერთობის მინიმალური შანსი აქვს, ადგილობრივი რეჟიმი დამოკიდებულია კრემლის სიმპათიებზე და განწყობებზე. მოლდოვას შემთხვევაში კი იგი იძულებულია, რომ საკუთარი ნაციონალური იდენტობის განსაზღვრის პროცესში, როდესაც უწევს თავი დაღწიოს როგორც რუსულ, ისე რუმინულ გავლენებს, გაითვალისწინოს როგორც მოსკოვის, ისე ბუქარესტის ინტერესები, რადგან კრემლს აქვს ძლიერი ბერკეტი დნესტრისპირეთის კონფლიქტის, რუსულენოვანი ეთნიკური უმცირესობისა და საბჭოთა ნოსტალგიით შეპყრობილი ელიტის სახით, ხოლო რუმინეთს რუმინული იდენტობის მქონე მოსახლეობის განწყობებისა და ევროკავშირის წევრობის მომხიბლავი ფაქტორით.

გამოყენებული ლიტერატურა:

დავითაშვილი, ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია*. გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი

- Baidaus, E. (2011). *Canadian Slavonic Papers, Vol. 53, No. 1*. Taylor and Francis
- Bugajski, J. (1999). *Slavic Review, Vol. 58, No. 3*. Association for Slavic, East European and Eurasian Studies
- Burant, S.(1995). Foreign Policy and National Identity: A Comparison of Ukraine and Belarus. *Europa-Asia Studies, Vol. 47, No. 7*, Taylor and Francis
- Cebotari, S. (2010). The Republic of Moldova between Neutrality and NATO Membership Status. (https://www.researchgate.net/publication/227452802_The_Republic_of_Moldova_between_Neutrality_and_NATO_Membership_Status_English_version ბოლო ნახვა 4.07.2021)
- Giger, M. & Sloboda, M. (2008). Language Management and Language Problems in Belarus: Education and Beyond. *International Journal of Bilingual Education and Bilingualism, v11 n3-4 pp.315-339*
- Horber, T. (2009). *International Affairs, Vol. 85, No. 3*, Chatham House
- Hroch, H. (2015). *European Nations: Explaining Their Formation*. Verso, London, UK
- Hooper, M. (2016). Russia's 'traditional values' leadership. (<https://fpc.org.uk/russias-traditional-values-leadership/> ბოლო ნახვა 4.07.2021)
- Koryakov, Yu. & Yazykovaya B. (2002). Situatsiya v Belorussii [Language Situation in Belarus]. *Topics in the Study of Language, no. 2*
- Law, A. (2014). *Language policy in Belarus*. Queen Mary, University of London
- Loffe, G. (2019). Split Identity and a Tug-of-War for Belarus's Memory. *The Jamestown Foundation*
- Lowevnhardt, J., Hill, R. J. and Light, M. (2001). A Wider Europe: The View from Minsk and Chsinau. *International Affairs, Vol. 77, No. 3, Chatham House*
- Manaev, O., Manayeva, N. and Yuran, Dz. (2011). More State Than Nation: Lukashenko's Belarus. *Journal of International Affairs Vol. 65, No. 1*

Marples, D. R. (2005). Europe's Last Dictatorship: The Roots and Perspectives of Authoritarianism in "White Russia". *Europe-Asia Studies, Vol. 57, No. 6, Taylor and Francis*

Moldova, National bureau of statistics. <https://statistica.gov.md/index.php?l=en>

National Statistical portal of the Republic of Belarus. <https://www.belstat.gov.by>

Panici, A. (2003). Romanian Nationalism in the Republic of Moldova. *The Global Review of Ethnopolitics*

Pavlenko, A. (2008). Russian in Post-Soviet Countries. *Russian Linguistics, Vol. 32, No. 1, Springer*

Pustelnyk, L. (2009). Development in Practice. *Vol. 19, No. 6, Taylor and Francis*

Rudling, P. A. (2015). The Beginnings of Modern Belarusian: Identity, Nation, and Politics in a European Borderland. *The Journal of Belarusian Studies, London*

Rumer, E. (2017). Moldova Between Russia and the West: A Delicate Balance. *Carnegie Endowment for International Peace*

Shraibman, A. (2018). The House That Lukashenko Built: The Foundation, Evolution, and Future of the Belarusian Regime. *Carnegie Endowment for International Peace*

Smok, V. (2013). *Bela*

rusian Identity: the Impact of Lukashenka's Rule. Minsk-London

Titma, M. and Saar, E. (1995). Regional Differences in Soviet Secondary Education. *European Sociological Review, Vol. 11, No. 1, Oxford University Press*

Tsygankov, A. P. (2000). Defining State Interests after Empire: National Identity, Domestic Structures and Foreign Trade Policies of Latvia and Belarus. *Review of International Political Economy, Vol. 7, No. , Taylor and Francis*

Way, L. A. (2005). Authoritarian State Building and the Sources of Regime Competitiveness in the fourth Wave: The Case of Belarus, Moldova, Russia, and Ukraine. *World Politics, Vol. 57, No.2, Cambridge University Press*

White, S., McAllister, I., Light, M. et al. (2002). A European or a Slavic Choice? Foreign Policy and Public Attitudes in Post-Soviet Europe. *Europa-Asia Studies, Vol. 54, No. 2, Taylor and Francis*

ნატა გარაყანიძე

ევროკავშირის „პრინციპული პრაგმატიზმის“ პოლიტიკა პრაქტიკაში: რუსეთთან და ჩინეთთან თანამშრომლობის მაგალითები

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომის მიზანია, გაანალიზოს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური კურსი ბოლო წლების განმავლობაში და გაარკვიოს, როგორ ხორციელდება „პრინციპული პრაგმატიზმის“ სტრატეგია დღევანდელ რეალობაში. განხილული შემთხვევებიდან/მაგალითებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ურთიერთსაპირისპირო აზრის შემცველი „პრინციპული პრაგმატიზმის“ კონცეფცია რეალურად პრაგმატულ, რაციონალურ არჩევანზე დაფუძნებულ პოლიტიკას ნიშნავს, სადაც საერთო ევროპული პრინციპების/ღირებულებების როლი მეტნაკლებად დაკარგულია. ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებული რაციონალური ინტერესების გამო ევროკავშირის ქვეყნები მზად არიან ითანამშრომლონ ისეთ ავტორიტარულ სახელმწიფოსთან, როგორცაა რუსეთი. ასევე ეკონომიკური სარგებლის გამო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები რეალურად განიხილავენ იმ სახელმწიფოსთან - ჩინეთთან - ხელშეკრულების გაფორმებას, რომელიც 21-ე საუკუნეში იძულებითი შრომის პრაქტიკას იყენებს.

ნაშრომში განხილული შემთხვევების/მაგალითების ანალიზის შედეგად ასევე ნათლად გამოჩნდა, რომ, მიუხედავად ევროკავშირის „ერთი ხმის საუბრის“ პრინციპისა, საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებები მაინც წევრი სახელმწიფოების ნაციონალური ინტერესების გათვალისწინებით მიიღება. რუსული გაზის მიღების საკითხში საკუთარი რაციონალური ინტერესების გამო გერმანია ნაკლებად ფიქრობს საერთო ევროპულ პრინციპებზე/ღირებულებებზე და „კოლექტიურ სარგებელზე“, რაც, თავის მხრივ, მოსკოვის მიმართ მკაცრი პოლიტიკით და სანქციების დაწესებით შეიძლება მიიღწეოდეს. გერმანია, საფრანგეთთან ერთად, ასევე ინიციატორია ჩინეთთან საინვესტიციო ხელშეკრულების გაფორმებისა, ვინაიდან ჩინეთის მზარდი ბაზარი განსაკუთრებით ამ ქვეყნების ეკონომიკებისთვისაა მნიშვნელოვანი.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, რუსეთი, ჩინეთი, პრინციპული პრაგმატიზმი, საგარეო პოლიტიკა.

Abstract

The purpose of this article is to study the contemporary EU foreign policy and the conduction of the new strategy called Principle Pragmatism. Based on the analysis of two cases, it becomes clear that, in reality, the contradictory Principle Pragmatism means a pragmatic, rational choice-based foreign policy with the lack of the superiority of any principles or values. Due to the energy security-related rational interests, EU members are willing to cooperate with an authoritarian state such as Russia. Furthermore, with an aim to gain some economic benefits, EU countries sign an investment deal with China, a country practicing forced labour in 21st century.

The two cases analyzed in this article also show the problems related to the EU's principle of "speaking with one voice". The contemporary EU foreign policy still reflects the national interests of the major member states. Germany securing the cheapest Russian gas supplies disregards the common European values and collective gain principle, which could be adhered to by imposing sanctions against the new gas project called Nord Stream 2. Moreover, Germany, together with France, has been the main supporter of the investment deal with China since the growing Chinese market is of particular rational interests of German and French companies.

Keywords: *EU, Russia, China, Principled Pragmatism, Foreign Policy.*

შესავალი

2016 წელს ევროკავშირის მიერ შემუშავებულ იქნა „საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია“ - მთავარი საგარეო პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც საერთაშორისო არენაზე ევროკავშირის პრიორიტეტებს და ინტერესებს ასახავს. ამ სტრატეგიის მთავარი სიახლე გახდა „პრინციპული პრაგმატიზმის“ კონცეფცია, რომელიც, დოკუმენტის თანახმად, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი უნდა გახდეს (ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია, 2016).

აღსანიშნავია, რომ „პრინციპული პრაგმატიზმი“ სტრატეგიის ოფიციალურ დოკუმენტშიც არ არის ნათლად განმარტებული; მხოლოდ აღნიშნულია, რომ საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში გადაწყვეტილებების მიღებისას ევროკავშირი იხელმძღვანელებს „მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკუთარი პრინციპებით, რომლებიც არსებული სტრატეგიული ვითარების რეალურ შეფასებას ეფუძნება“ (ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია, 2016, გვ. 8). თუმცა, საინტერესოა, რომ თავად ტერმინი „პრინციპული პრაგმატიზმი“ გარკვეულწილად ურთიერთსაპირისპირო ცნებებს მოიცავს, ვინაიდან, ერთის მხრივ, პრინციპულობა ნიშნავს ევროკავშირის მთავარი ღირებულებების/პრინციპების - დემოკრატიის გაძლიერება, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა და ა.შ. - უპირატესობას (რაც, თავის მხრივ, მკაფიოდ არის გაცხადებული 2003 წლის „ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიაში“), ხოლო, მეორეს მხრივ, პრაგმატიზმი უფრო რეალპოლიტიკასთანაა ახლოს და მას ევროკავშირის მთავარი ღირებულებების/პრინციპების უზენაესობასთან საერთო ნაკლებად აქვს. ამდენად, ერთი შეხედვით, გაურკვეველი რჩება, რომელი მიმართულებით ხდება ევროკავშირის მიერ საგარეო პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა - ძირითადი ღირებულებების/პრინციპების გათვალისწინებით და მათი უპირატესობით, თუ რეალპოლიტიკური/პრაგმატული სტრატეგიით.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური კურსი ბოლო წლების განმავლობაში და გაარკვიოს, როგორ ხორციელდება „პრინციპული პრაგმატიზმის“ სტრატეგია რეალობაში. შესაბამისად, ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვა ასე ყალიბდება: რა არის „პრინციპული პრაგმატიზმის“ სტრატეგია და როგორ ახორციელებს მას ევროკავშირი რეალურად პრაქტიკაში?

ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზა შემდეგში მდგომარეობს: მიუხედავად იმისა, რომ საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირი ოფიციალურად ისევ აღიარებს ღირებულებებისა და პრინციპების მნიშვნელობას, რეალურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას იგი პრაგმატიზმითა და რაციონალური არჩევანით ხელმძღვანელობს, რაც ძირითადად წევრი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესებითაა განპირობებული (Lehne, 2017; Aggestam & Bicchi, 2019; Tonra & Christiansen, 2018).

ზემოთხსენებული ჰიპოთეზის დასამტკიცებლად ნაშრომში განხილულია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა ორი მიმართულებით: (1) ენერგოპოლიტიკა რუსეთთან და (2) თანამშრომლობა ჩინეთთან. აღნიშნული მაგალითები შერჩეულია იმ მიზეზის გამო, რომ ნაშრომში მათი გაანალიზებისას ნათლად ჩანს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში „პრინციპულობასა“ და „პრაგმატიზმს“ შორის არჩევანის პრობლემა, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირშია წევრი სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებთან. გარდა ამისა, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა რუსეთთან და ჩინეთთან საინტერესოა იმ კუთხით, რომ ეს ქვეყნები ნაკლებად იზიარებენ დასავლეთის მიერ აღიარებულ პრინციპებსა და ფასეულობებს და, ამდენად, ნაკლები საერთო აქვთ ევროკავშირთან ეს თანამშრომლობას უფრო ართულებს.. ნაშრომში გაანალიზებულია მხოლოდ 2016-2020 წწ. პერიოდი, ვინაიდან ოფიციალურად სწორედ ამ დროს მოხდა ევროკავშირის მიერ „პრინციპული პრაგმატიზმის“ პოლიტიკის შემუშავება და, ამავდროულად, ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რაც ორ ურთიერთსაპირისპირო ცნებას - „პრინციპულობასა“ და „პრაგმატიზმს“ - შორის არჩევანის კუთხითაა საინტერესო.

ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართათვის ევროკავშირის მიერ საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საკითხი განსაკუთრებით საინტერესოა. იგი სხვადასხვა თეორიის კონტექსტში განიხილება. მაგალითად, ზოგიერთი ავტორის აზრით, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებები ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის ფარგლებში უნდა ავხსნათ, ვინაიდან ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში ძირითად როლს ევროპული ღირებულებების/პრინციპების არსებობა, საერთაშორისო სამართლის ნორმები და ისტორიული სამართლიანობის ფაქტორი ასრულებენ (Bulmer, 1993; Smith et al., 2008). ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის მიხედვით, ქვეყნები საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობით უფრო მეტ სარგებელს იღებენ, ვიდრე დაპირისპირებით. ეს სახელმწიფოები ერთგვარი კოლექტიური აქტორები (collective actors) არიან, რომლებიც საერთო იდენტობას, ღირებულებებსა და საერთაშორისო სამართლის მიერ დადგენილ წესებსა და ნორმებს იზიარებენ (Bulmer, 1993). შედარებითი სარგებლის (თითოეული ქვეყნის მეტი მოგება სხვასთან შედარებით) ნაცვლად მათთვის მთავარია ის „კოლექტიური სარგებელი“, რომელსაც ისინი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობისა და

თანამშრომლობის შედეგად იღებენ (Tonra & Christiansen, 2018; Smith et al.2008). ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის მიხედვით, სახელმწიფოების ქმედება საერთაშორისო ორგანიზაციებში ეყრდნობა „შესაბამისობის ლოგიკას“ (Logic of Appropriateness). ეს ლოგიკა ძირითადად პრინციპებზე, ღირებულებებზე, წარსულ გამოცდილებაზე და ისტორიაზეა ორიენტირებული (March,2009). ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას აქტორები (სახელმწიფოები) ხელმძღვანელობენ წინასწარ დადგენილი წესებით. ეს წესები წარმოადგენენ უკვე ჩამოყალიბებულ პასუხებს ამა თუ იმ სიტუაციაზე/პრობლემაზე. შედეგად, აქტორები იყენებენ ამ პასუხებს, არგებენ მათ შესაბამის სიტუაციას ისე, რომ არ ახდენენ მათ ანალიზს, არ განიხილავენ მათ შესაძლო შედეგებს (Stinchcombe, 2001).

აღნიშნული ნაშრომი ეწინააღმდეგება ზემოთ მოყვანილ თეორიულ დებულებებს, ვინაიდან ევროკავშირის ბოლო წლების საგარეო პოლიტიკის რეალობის გათვალისწინებით, შეუძლებელია, დავასკვნათ, რომ საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებები ღირებულებებს, ისტორიულ გამოცდილებას, „შესაბამისობის ლოგიკას“, ან წევრი ქვეყნების „კოლექტიურ სარგებელს“ ასახავენ. ამის ამხსნელ ერთ-ერთ მიზეზად მსოფლიო პოლიტიკაში „რეალპოლიტიკის“ დომინირებაც სახელდება, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენს ევროკავშირზეც (Lehne, 2017) და მის საგარეო პოლიტიკას არა მკაცრად ნორმატიულს, არამედ „მოქნილს“ ხდის (Juncos, 2017).

მართალია, ევროკავშირის ფუნდამენტური პრინციპები ოფიციალურად „საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგიის“ 2016 წლის დოკუმენტშიც (ისევე, როგორც 2003 წლის „ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიაში“) არის ნახსენები, თუმცა, რეალობაში მათი როლი საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ძალიან მცირეა. ამის უმთავრესი მიზეზი კი არის ის ფაქტი, რომ საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება ის სფეროებია, რომლებიც ევროკავშირში ხშირად არა სუპრანაციონალურ დონეზე, არამედ წევრი სახელმწიფოების კომპეტენციად განიხილება.სახელმწიფოების ეროვნული ინტერესები კი ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ამდენად, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებები ხშირად სწორედ წევრი ქვეყნების პოზიციების კონტექსტში განიხილება.

თეორიულ დონეზე ყველაზე სრულყოფილად ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის გაანალიზება რაციონალური არჩევანის თეორიის კონტექსტშია შესაძლებელი, ვინაიდან

ევროკავშირის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წევრი სახელმწიფოების რაციონალური არჩევანის საკითხს (Bache et al., 2011), ეს კი ხშირად ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში საერთო პოზიციის ჩამოყალიბებას პრობლემატურს ხდის (Orenstein & Kelemen, 2016). უნიტარული აქტორები - სახელმწიფოები - საკუთარ ქმედებებთან დაკავშირებული პოლიტიკური და მატერიალური ხარჯების მინიმიზაციისა და, ამავდროულად, სარგებლის მაქსიმიზაციის მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებს წარმატებით იყენებენ. შედეგად, საერთაშორისო ორგანიზაციები ასახავენ თითოეული წევრი სახელმწიფოს რაციონალურ ინტერესს. ქვეყნებს არ სჯერათ ამ ორგანიზაციების შედეგად მიღებული თანაბრად გადანაწილებული აბსოლუტური სარგებლის, მათთვის მთავარია, რომ თითოეულმა მათგანმა შედარებით მეტი მიიღოს, ვიდრე სხვა წევრებმა (Thompson, 2006). ევროკავშირის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესიც სწორედ ასეთი შედარებითი სარგებლისა და რაციონალური არჩევანის მაგალითია, ვინაიდან თითოეული წევრი ქვეყანა ცდილობს იხელმძღვანელოს საკუთარი ინტერესებით და ორგანიზაციის საბოლოო გადაწყვეტილებაში თავისთვის სასარგებლო შედეგი ასახოს (Simón, 2017).

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, ევროკავშირის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ახსნა შედეგზე ორიენტირებული ლოგიკით (Logic of Consequences) ხდება, რომელიც პრაგმატულ ანალიზზე დაფუძნებულ ქმედებას გულისხმობს. ამ ლოგიკით, აქტორები განიხილავენ შესაძლო ქმედების რამდენიმე ალტერნატივას და აფასებენ თითოეული ვარიანტის შედეგებს. საბოლოოდ აქტორები ირჩევენ შესაძლო ქმედების მხოლოდ იმ ვარიანტს, რომელიც მათ რაციონალურ ინტერესს ყველაზე კარგად ასახავს (March, 2009). სწორედ ასეთი ლოგიკით ხელმძღვანელობენ საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას ევროკავშირის წევრი ქვეყნები (Smith, 2014).

ზემოთ განხილული ლიტერატურის როლი მნიშვნელოვანია ევროკავშირის მიერ საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების გასაანალიზებლად. თუმცა, აღსანიშნავია, რომ არსებულ ნაშრომებში ძირითადად თეორიული მოსაზრებებია აღნიშნული; ნაკლებად გვხვდება მათი ინტერპრეტაცია რეალობაში, ანუ კონკრეტულ შემთხვევებზე, ან განხილულია ევროკავშირის პოლიტიკა მხოლოდ აზიის რეგიონში (Pennisi di Floristella, 2021). ეს ნაშრომი შეეცდება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ არსებულ აკადემიურ დისკუსიას დამატებითი

მაგალითების ანალიზი შემატოს, რაც გაამყარებს მოცემულ თეორიულ არგუმენტებს. ჩინეთთან და რუსეთთან თანამშრომლობის კონკრეტული მაგალითების განხილვის შედეგად, ნათელი ხდება, რომ ბოლო წლების ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებები წევრი ქვეყნების ეროვნული ინტერესების გავლენის გამო უფრო პრაგმატიზმისა და რაციონალური არჩევანის თეორიის ჭრილში უნდა გავიაზროთ, ვიდრე „კოლექტიური სარგებლისა“ და „შესაბამისობის ლოგიკის“ კონტექსტში. ამის მაგალითია სწორედ გერმანიის ინტერესებიდან გამომდინარე ახალი რუსული გახსადენის „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მშენებლობა ევროპაში და ასევე საფრანგეთის აქტიურობით ჩინეთთან საინვესტიციო ხელშეკრულების ხელმოწერა 2020 წლის მიწურულს. ამდენად, ბოლო წლებში ევროკავშირის ფუნდამენტური პრინციპებისა და ღირებულებების გავლენა საგარეო პოლიტიკაზე ნაკლებად შეიმჩნევა.

მეთოდოლოგია

მთავარი საკვლევითი კითხვიდან გამომდინარე, ნაშრომში ძირითადად თეორიული (არარიცხობრივი) მასალაა მოძიებული და დამუშავებული, რაც, თავის მხრივ, თვისობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ამ ნაშრომში გამოყენებულია ერთ-ერთი ასეთი მეთოდი - შემთხვევის შესწავლა (case study), რომლის საშუალებითაც ხდება ამა თუ იმ მოვლენაზე სიღრმისეული დაკვირვება კონკრეტული შემთხვევის/მაგალითების (cases) მიხედვით (Gering, 2007, p. 37). ნაშრომში ასეთი „მოვლენა“ ევროკავშირის „პრინციპული პრაგმატიზმის“ სტრატეგია, ხოლო „კონკრეტული მაგალითი“ კი ორია: 2016-2020 წწ. ევროკავშირის ენერგოპოლიტიკა რუსეთთან და 2020 წლიდან თანამშრომლობა ჩინეთთან, მით უფრო, რომ შემთხვევის შესწავლის მეთოდი ხშირად უფრო შედეგიანია არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე შემთხვევის განხილვისას და ანალიზისას, თუ ყველა მათგანი ერთ კონკრეტულ საკვლევ მოვლენას უკავშირდება (Yin, 2013).

შემთხვევის შესწავლის მეთოდი ძირითადად ეყრდნობა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული წყაროებისგან მიღებულ ინფორმაციას, მათ შორის სხვადასხვა თვისობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს (Lamnek, 2010). ამ ნაშრომშიც საკვლევითი საკითხის - ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების ანალიზისას გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი ხასიათის ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან -

სტატისტიკური მაჩვენებლები ევროკავშირის იმპორტდამოკიდებულების შესახებ, ევროკავშირის ექსპორტის მონაცემები ჩინეთში, ოფიციალური დოკუმენტები ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ, აკადემიური სტატიები/წიგნები, მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია და ა.შ.

ზემოთ ხსენებული წყაროების გამოყენება და დამუშავება თვისობრივი კვლევის კიდევ ერთი მეთოდის - კონტენტ ანალიზის - გამოყენებას გულისხმობს. ზოგადად, კონტენტ ანალიზი შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი (კონცენტრაცია დათვლაზე და აღირცხვაზე), ისე თვისობრივი (გაგებასა და ინტერპრეტირებაზე ორიენტირება)(Neuendorf and Kumar, 2015). ნაშრომში გამოყენებულია თვისობრივი კონტენტ ანალიზი, ვინაიდან ზემოთ ხსენებულ საჯარო წყაროებში მოხდა კვლევისათვის საინტერესო საკითხების შესახებ მონაცემების მოძიება და მათი დაკავშირება და ინტერპრეტირება (თეორიული კვლევა) საკვლევი თემის - ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის - კონტექსტში. ამდენად, მოხდა კოდირება - მასალიდან საკვანძო ცნებების (ევროკავშირის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების მაჩვენებელი სტატისტიკის და თეორიული დეტალების, ასევე ჩინეთთან მოლაპარაკებების პროცესის ამსახველი ფაქტების და თარიღების) ამოღება და მათი შეჯამება.


ენერგოპოლიტიკა

რუსეთთან

ევროკავშირის პრაგმატულ და რაციონალურ საგარეო პოლიტიკაზე მსჯელობისას ხშირად ყველაზე მნიშვნელოვან მაგალითად ენერგეტიკის სფეროში რუსეთთან თანამშრომლობა სახელდება (Forsberg, 2013; Kustova, 2015). 2003 წლის „ევროპული უსაფრთხოების სტრატეგიისგან“ განსხვავებით, 2016 წლის ევროკავშირის გლობალური სტრატეგიის დოკუმენტში უკვე ოფიციალურად არის გაცხადებული, რომ რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობები „ერთმანეთზეა დამოკიდებული“ („...the EU and Russia are interdependent“)(ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია, 2016, p. 33). ეს, თავის მხრივ, უკვე მიანიშნებს იმას, რომ ევროპის პოზიცია რუსეთთან მიმართებაში არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და ოფიციალური დოკუმენტებით, არამედ შექმნილ რეალობაზე დაფუძნებული პრაგმატული მიდგომით ყალიბდება. გარდა ამისა, 2016 წლის დოკუმენტში აღარ არის ხაზი გასმული ევროკავშირის უსაფრთხოებისთვის „სწორად მართული“ (well-governed) დემოკრატიების არსებობის აუცილებლობაზეც (ევროპული

უსაფრთხოების სტრატეგია, 2003), რასაც ევროპის საბჭოს ყოფილმა ხელმძღვანელმა - დ. ტუსკმა მოგვიანებით „უტოპიაც“ უწოდა (Mihalache, 2016). ამდენად, თანამედროვე ევროპისთვის მისაღებია ისეთ არადემოკრატიულ ქვეყნებზეც იყოს „ურთიერთდამოკიდებული“, როგორც რუსეთია. ეს ყველაფერი მოსკოვს ბრიუსელთან მიმართებაში მოქმედების მეტ თავისუფლებას აძლევს, მით უფრო, რომ რუსეთის ხელშია ყველაზე მნიშვნელოვანი „იარაღი“ ევროპის წინააღმდეგ - ენერგორესურსებზე, კერძოდ კი, გაზზე, დამოკიდებულება. დღეისათვის ევროკავშირს იმპორტირებული გაზის დაახლოებით 40% სწორედ რუსეთიდან მიეწოდება (იხ. სურათი N1).

სურათი N1. ევროკავშირის 27 ქვეყნის გაზის იმპორტი 2019 წ და 2020 წლის პირველ ნახევარში



წყარო: EUROSTAT

გაზის საკითხი ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთდამოკიდებულებას კარგად ასახავს. სწორედ ამ დამოკიდებულების გამო 2014 წ. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგაც ევროკავშირმა აშშ-ის მიერ ინიცირებული სანქციები ენერგეტიკის სფეროში მხოლოდ ნავთობის სექტორში დააწესა. შედეგად, რუსეთის ბოლო წლების ყველაზე მნიშვნელოვანი გაზის პროექტი - „ჩრდილოეთის დინება 2“ (რუსეთისა და გერმანიის დამაკავშირებელი ოფშორული მილსადენი) - სანქციებს მიღმა დარჩა. უფრო მეტიც, 2020 წლის ზაფხულში ევროკავშირის დელეგაცია ვაშინგტონში ოფიციალურად დაუპირისპირდა ყველაზე

მნიშვნელოვანი მოკავშირის - აშშ-ის ინიციატივას აღნიშნული პროექტის წინააღმდეგ დამატებითი შეზღუდვების მიღების შესახებ (Pallardy, 2020), ხოლო საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ჯ. ბორელმა კი განაცხადა, რომ დაუშვებელია „მესამე მხარემ (ანუ აშშ-მ) ევროპულ ენერგოკომპანიებს დაუწესოს სანქციები კანონიერი ბიზნესის წარმართვის გამო“ (EEAS, 2020). ეს ყველაფერი ევროპისთვის რუსეთთან, როგორც გაზის მთავარ მომწოდებლთან, თანამშრომლობის აუცილებლობას უსვამს ხაზს. ამ თანამშრომლობის გამო ევროკავშირი მზადაა თვალი დახუჭოს ავტორიტარული რუსეთის მიერ არა მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში (ადამიანის უფლებების ხშირი და უხეში დარღვევები, პოლიტიკური ოპონენტების დევნა - ა. ნავალნის მოწამვლის ფაქტიც და მასობრივი პროტესტის მონაწილეების უკანონო დაკავებაც ამის მაგალითია), არამედ „ახლო საზღვარგარეთში“ განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე (მაგ., 2008 წლის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ; 2014 წლის ყირიმის ანექსია), რაც, თავის მხრივ, ევროკავშირის ფუნდამენტურ პრინციპებს/ღირებულებებს ეწინააღმდეგება (Bildt & Gressel, 2021). ამდენად, გაზის პრობლემა ევროკავშირისთვის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც უმნიშვნელოვანესია - რუსეთთან თანამშრომლობა ზოგადად ევროპული პრინციპების დამაჯერებლობას აყენებს ეჭვქვეშ.

ევროკავშირის ენერგოურთიერთობები რუსეთთან და კონკრეტულად, გაზის საკითხი, განსაკუთრებით საინტერესოა იმ გარემოების გამოც, რომ ამ კონტექსტში ნათლად იკვეთება ევროპის „ერთი ხმით საუბრის“ (speaking with one voice) პრობლემა საგარეო პოლიტიკის სფეროში. რუსული გაზი და „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და მომგებიანია გერმანიისთვის, რომელიც რუსულ გაზს ტრადიციულად უკრაინის გავლით და „ჩრდილოეთის ნაკადი 1“ მილსადენით იღებს. თუმცა, 2006-2009 წწ. რუსეთ-უკრაინის გაზის ფასთან დაკავშირებული კონფლიქტების გამო გერმანიას უკვე შეექმნა ენერგოუსაფრთხოების პრობლემები უკრაინის ტრანზიტის გამო. ამდენად, უკრაინის გვერდის ავლით გაზის მიღების საკითხი გერმანიისთვის ისევე მომგებიანია (2006-2009 წწ. გამოცდილების გათვალისწინებით და ამ ქვეყნის რუსულ გაზზე დამოკიდებულებით; ევროკავშირში გერმანია ყველაზე მეტ რუსულ გაზს მოიხმარს; რუსეთი მისი ძირითადი დონორია (Wettengel, 2021)), როგორც თავად რუსეთისთვის. „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ კი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. 2020 წლის ზაფხულში გერმანიის კანცლერმა - ა. მერკელმა - საკუთარი ქვეყნის პოზიცია ოფიციალურად

კიდევ ერთხელ დააფიქსირა, როდესაც უარი თქვა „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის წინააღმდეგ ნებისმიერი სანქციის დაწესებაზე რუსეთში მთავარი ოპოზიციონერის - ა. ნავალნის ქიმიური ნივთიერება „ნავიჩოკის“ მოწამვლის ინციდენტის შემდეგაც კი (Staff, 2020). გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ახლად არჩეული ლიდერი - ა. ლაშეტი (იგი ა. მერკელის შემცვლელად განიხილება), მისი ზოგიერთი კონკურენტისგან (მაგ., ფ. მერცი და ნ. როტგენი) განსხვავებით, იზიარებს გერმანიის ამჟამინდელი კანცლერის პოზიციას რუსეთთან მიმართებაში და თვლის, რომ დაუშვებელია რუსი ოპოზიციონერის მკვლელობის მცდელობისა და გაზის საკითხის ერთმანეთთან დაკავშირება (REUTERS, 2021). ამდენად, ადვილად სავარაუდოა, რომ გერმანიის პოზიცია რუსეთთან მიმართებაში ა. მერკელის თანამდებობიდან წასვლის შემდეგაც უცვლელი დარჩება. ეს პოზიცია, პირველ რიგში, გერმანიის რაციონალურ ინტერესებს ემსახურება და ნაკლებად ითვალისწინებს ევროკავშირის სხვა წევრების „კოლექტიურ სარგებელს“, მით უფრო, რომ სხვა წევრი ქვეყნები აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთთან გაზის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების საკითხს. მაგალითად, 2016 წელს ჩეხეთმა, უნგრეთმა, პოლონეთმა, სლოვაკეთმა, რუმინეთმა, ბალტიის ქვეყნებმა და ხორვატიამ ოფიციალურ პეტიციას მოაწერეს ხელი, სადაც ნათქვამია, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ „პოტენციურად დესტაბილიზაციური გეოპოლიტიკური შედეგების“ მომტანი იქნება (Sytas, 2016). ამ „გეოპოლიტიკურ შედეგებში“ არა მხოლოდ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა უნდა ვიგულისხმოთ, არამედ თავად ამ ქვეყნების მდგომარეობაც, ვინაიდან უმრავლესობა რუსულ გაზზეა დამოკიდებული, რომელსაც მხოლოდ უკრაინაზე გამავალი მილსადენით იღებენ (Kedmev, 2014). ამდენად, რუსეთის მიერ უკრაინის მარშრუტზე უარის თქმა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ამ უკანასკნელს (მით უფრო, რომ გაზის ტრანზიტი უკრაინისთვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა (IMF Country Report No. 19/359 – Ukraine, 2019)), არამედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ენერგოუსაფრთხოებასაც. ამდენად, გერმანიის ოპონენტთა პოზიცია საკუთარი რაციონალური ინტერესებითა და შედეგებზე ორიენტირებული ლოგიკითაც იყო განპირობებული - თითოეული მათგანი საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნავდა.

საბოლოოდ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ისა და რუსეთთან თანამშრომლობის საკითხი მაინც გერმანიის სასარგებლოდ გადაწყდა; ევროკავშირის ყველა წევრმა ქვეყანამ, რომლის

ოფშორულ ტერიტორიასაც მილსადენი კვეთს, უკვე გასცა ფორმალური თანხმობა პროექტის განხორციელების შესახებ; მშენებლობის 90 პროცენტზე მეტი დასრულებულია (Flatley & Wadhams, 2021). მართალია, ოპონენტი ქვეყნების ლობირების შედეგად, 2019 წელს ევროკომისიამ წამოაყენა ინიციატივა რუსულ ენერგოპროექტზე ევროკავშირის შიდა საბაზრო წესების გავრცელების შესახებ („მესამე ენერგოპაკეტი“, რომელიც მიმწოდებლისა და ოპერატორის განცალკევებას და მილსადენზე მესამე მხარის წვდომას გულისხმობს) და მას ევროპარლამენტმაც დაუჭირა მხარი, თუმცა, ეს პროექტი ევროპის საბჭომ არ დაამტკიცა, ვინაიდან ყველაზე მნიშვნელოვანმა ხმის მიმცემმა ქვეყნებმა - გერმანიამ და საფრანგეთმა შეძლეს კომპრომისის მიღწევა და საერთო პოზიციის ჩამოყალიბება,[1] რაც საბოლოოდ ევროკომისიას „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის დაბლოკვის შესაძლებლობას უკარგავდა. ცნობილია, რომ საფრანგეთმა გერმანიასთან კომპრომისის სანაცვლოდ ბერლინის მხარდაჭერის პირობა მიიღო ევროპის მონეტარული კავშირის რეფორმის საკითხში (De Maio, 2019).

აღსანიშნავია, რომ ორივე დაპირისპირებული „ბლოკი“ საკუთარი პოზიციების გამართლებას „კოლექტიური სარგებლის“ არგუმენტებით ცდილობს: გერმანია „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის სასარგებლოდ ნახშირის გაზით ჩანაცვლების საკითხს ასახელებს, რაც ევროკავშირის „მწვანე შეთანხმების“ (EU Green Deal) მნიშვნელოვანი ნაწილია; მოწინააღმდეგე (აღმოსავლეთ ევროპის) სახელმწიფოები კი ამტკიცებენ, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ ბალტიის ზღვის ეკოსისტემას მნიშვნელოვნად დააზიანებს და ასევე ევროპის დამოკიდებულებას ენერჯის „ტრადიციულ“ წყაროებზე კიდევ უფრო გააღრმავებს, რასაც „მწვანე შეთანხმება“ გრძელვადიან პერსპექტივაში საერთოდ გამორიცხავს (Wettengel, 2020).


ევროკავშირის მიერ რუსეთთან გაზის საკითხში თანამშრომლობის საკითხი საერთო ჯამში ევროპული ქვეყნების პრაგმატულ და რაციონალურ არჩევანად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან არსებულ სიტუაციაში რუსულ გაზზე ხელმისაწვდომი არც ერთი რეალური ალტერნატივა არ არსებობს; აშშ-ის ფიქლების გაზის მიწოდება ევროპისთვის შორეული (საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო) და ძალიან ძვირი (პირველ რიგში, ტრანსპორტირების მანძილის და ხარჯების გათვალისწინებით) პერსპექტივაა; ასევე ახლო აღმოსავლეთიდან - ისრაელიდან და კვიპროსიდან - „აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის

მილსადენით“ (EastMed Pipeline) გაზის ექსპორტი, ამ რეგიონში არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ჯერ კიდევ არარეალურია (ჩრდილოეთ კვიპროსი არ დაუშვებს ასეთი მილსადენს საკუთარ ოფშორულ ზონაში); „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტები კი მხოლოდ აზერბაიჯანული გაზის ექსპორტს (10 მლრდ. კუბ. მეტრი წლიურად) ითვალისწინებენ, რაც ევროპის მთლიანი მოხმარების მხოლოდ ორი პროცენტის დაკმაყოფილებას ნიშნავს. ამდენად, რუსული გაზი და მისი დამატებითი მოცულობის მიღება „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის საშუალებით ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნისთვის ყველაზე ხელსაყრელი, შედეგებზე ორიენტირებული პრაგმატული არჩევანია.

თანამშრომლობა ჩინეთთან

2020 წლის მიწურულს ევროკავშირმა ჩინეთთან „ყოვლისმომცველი საინვესტიციო ხელშეკრულების“ (Comprehensive Agreement on Investment, CAI) გაფორმება ოფიციალურად გამოაცხადა (EU Commission, Press Corner, 2020), რაც, ერთის მხრივ, ლოგიკური მოვლენა იყო, თუ ბოლო წლებში ევროპაში ჩინური პირდაპირი ინვესტიციებისა (იხ. სურათი N2), და ორ მხარეს შორის არსებულ სავაჭრო ურთიერთობების მოცულობას გავითვალისწინებთ (იხ. ცხრილი N1). თუმცა, გარკვეულწილად, აღნიშნული შეთანხმება მოულოდნელიც აღმოჩნდა, ვინაიდან, ჯერ კიდევ 2019 წელს ჩინეთის საგარეო მინისტრი - ვ. იმი - აცხადებდა, რომ ევროპასთან ხელშეკრულების გაფორმება არარეალური იქნებოდა, ვინაიდან ჩინეთი „განვითარებადი ეკონომიკა“ (Fallon, 2021). ამდენად, მხარეებს შორის მოლაპარაკებების წარმართვა და საბოლოო შეთანხმების მიღწევა საკმაოდ სწრაფად მოხდა, რაც ძირითადად გერმანიის დამსახურება იყო, რომელიც ცდილობდა ევროპის საბჭოში საკუთარი პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე (2020 წ. 31 დეკემბერი) მიეღწია ჩინეთთან შეთანხმებისთვის (Von Der Burchard, 2021).

სურათი N2. ჩინეთის წლიური პირდაპირი ინვესტიციები ევროპაში.



წყარო: MERICS

ცხრილი N1. ევროკავშირის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები (მლრდ. ევრო).

წყარო: EUROSTAT

	ევსპორტი ევროკავშირიდან			იმპორტი ევროკავშირში			სავაჭრო ბალანსი	
	იანვ-ნოემბ. 2019	იანვ-ნოემბ. 2020	ზრდა	იანვ-ნოემბ. 2019	იანვ-ნოემბ. 2020	ზრდა	იანვ-ნოემბ. 2019	იანვ-ნოემბ. 2020
ჩინეთი	180.7	182.7	1.1%	335.6	350.1	4.3%	-154.9	-167.4
აშშ	355.5	322.3	-9.3%	214.4	186.5	-13.0%	141.0	135.8
დიდი ბრიტანეთი	297.5	252.9	-15.0%	178.3	151.9	-14.8%	119.2	101.0
შვეიცარია	135.9	131.7	-3.1%	101.3	100.4	-0.9%	34.6	31.3
რუსეთი	81.4	72.6	-10.8%	133.5	86.4	-35.3%	-52.1	-13.8
აღმოსავლეთი	62.1	63.4	2.1%	64.4	57.2	-11.2%	-2.4	6.2
იაპონია	56.6	49.5	-12.5%	58.5	50.1	-14.4%	-1.9	-0.6
ნორვეგია	47.7	44.7	-6.3%	49.3	38.6	-21.7%	-1.5	6.1
სამხ. კორეა	39.7	41.1	3.5%	43.8	40.1	-8.4%	-4.1	1.0
ინდოეთი	34.3	28.5	-16.9%	37.0	30.6	-17.3%	-2.7	-2.1

ჩინეთთან გაფორმებული ხელშეკრულება რამდენიმე თვალსაზრისითაა საინტერესო. პირველ რიგში, ამ შემთხვევაშიც ნათლად გამოჩნდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული ინტერესების უპირატესობის მნიშვნელობა. კერძოდ, შეთანხმების მთავარი ინიციატორი იყო გერმანია და საფრანგეთი, რომელთათვისაც ჩინეთთან საინვესტიციო გარიგება მნიშვნელოვანია საკუთარი ეკონომიკური მიზნებისა და სარგებლის კუთხით. ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ შვიდწლიანი მოლაპარაკებების პროცესი სწორედ გერმანიის ევროპის

საბჭოში პრეზიდენტობისას დასრულდა - ეს ნიშნავდა, რომ გერმანიის კანცლერს შეეძლო, ევროკომისიის პრეზიდენტთან ერთად ყოფილიყო ევროკავშირის ოფიციალური წარმომადგენელი ჩინეთთან ხელშეკრულების გაფორმებისას, რაც ამ ქვეყნისთვის, რა თქმა უნდა, დამატებითი სარგებელი იყო, მით უფრო, რომ ევროკომისიის პრეზიდენტიც (უ. ფონ ლაიდენი) და ვაჭრობის დეპარტამენტის უფროსიც (ს. ვეიანდი) გერმანელები არიან. სწორედ მათი აქტიურობით მოხდა შეთანხმების მიღწევა. თავად ევროკომისიას კი ჩინეთთან აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებისთვის სამართლებრივი მანდატი ჯერ კიდევ 2013 წლის ოქტომბერში მიენიჭა (იმ პერიოდში რიგი ევროპული ქვეყნები ჩინეთს არ აღიქვამდნენ ისეთ საფრთხედ, როგორც ახლა, ამიტომ სავაჭრო მოლაპარაკებებს ნაკლებ სახიფათოდ მიიჩნევდნენ), რაც საბოლოო შეთანხმების მისაღწევად გერმანიას მოქმედებისთვის მეტ თავისუფლებას აძლევდა (ევროკავშირის საბჭო, 2013).

გაფორმებული ხელშეკრულების ოფიციალური რატიფიკაცია ევროპის საბჭოში (ევროპარლამენტის კენჭისყრის შემდეგ) 2022 წლის პირველ ნახევარში - საფრანგეთის პრეზიდენტობის პერიოდში - დაიგეგმა. თავად ხელშეკრულების ვირტუალურად გაფორმების პროცესშიც (30 დეკემბერი, 2020 წ.) ევროკომისიისა და ევროპის საბჭოს ხელმძღვანელებთან ერთად გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერები იღებდნენ მონაწილეობას, რამაც არაერთი ევროპული ქვეყნის უკმაყოფილებაც გამოიწვია (მაგალითად, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, ხელშეკრულების გაფორმების ფორმატი მიუღებელი იყო, ვინაიდან ეს ნიშნავდა, რომ ევროკავშირთან ნებისმიერი გარიგების დადება, ან მოლაპარაკება, პირველ რიგში, გულისხმობს გერმანიასთან და საფრანგეთთან გარიგებას (Fubini, 2020)). გერმანიის მანქანათმშენებლობისა და მანუფაქტურის ბიზნესისთვის მზარდი ჩინური ბაზარი განსაკუთრებით მიმზიდველია, მით უფრო ახლა, როდესაც ჩინეთი საბოლოოდ დათანხმდა ევროპული კომპანიებისთვის ერთობლივი საწარმოს არსებობის (ჩინელი პარტნიორების თანამონაწილეობა) მოთხოვნის გაუქმებას და ახალი ენერჯის ავტომობილების (new energy vehicles) წარმოების ნებართვის გაცემას (აღსანიშნავია, რომ ჩინეთში ევროპის პირადპირი ინვესტიციების უმრავლესობა სწორედ მანქანათმშენებლობის სექტორზე მოდის, ამ სფეროში კი ლიდერი გერმანიაა (Fallon, 2021)). ჩინეთმა ასევე უარი თქვა ერთობლივი საწარმოს შექმნის აუცილებლობაზე ჯანდაცვის (კერძო კლინიკების) და ავიაციის სფეროებში დაარსების საკითხშიც, რაც, თავის მხრივ,

საფრანგეთის განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო (ibid, 2021). ამდენად, ჩინეთში ინვესტიციების ზრდით გერმანია და საფრანგეთი განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებული. თუმცა, შეთანხმების გაფორმებისას ეს სახელმწიფოები ცდილობდნენ ჩინეთთან საინვესტიციო ხელშეკრულება საერთო ევროპულ ინტერესად და „კოლექტიურ სარგებლად“ წარმოეჩინათ; ა. მერკელის განცხადებით, ამ საკითხში „ევროპას ერთი ხმით უნდა ესაუბრა“, ვინაიდან პეკინთან გაფორმებული ხელშეკრულება ყველა წევრი ქვეყნის საერთო ინტერესების დაცვას ნიშნავდა (Nasr & Seythal, 2020).

ჩინეთთან გაფორმებული ხელშეკრულების „კოლექტიური სარგებლის“ ვერსიას არ იზიარებდნენ ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნები - იტალია, ბელგია, პოლონეთი და ესპანეთი, რომლებიც თვლიდნენ, რომ პეკინთან ურთიერთობებში მრავალი პრობლემა არსებობდა მაგ., იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადილის - ი. სკალფაროტოს თქმით, ხელშეკრულების გაფორმებით ევროკავშირი თანხმობას აცხადებდა ჩინეთის მიერ ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებზე (Hanke Vela, 2021). უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმწიფოების რაციონალური ინტერესებისთვის ჩინეთთან ოფიციალური ხელშეკრულების არსებობას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორც, მაგალითად, გერმანიისთვის; შედარებისთვის: 2019 წელს გერმანიის საერთო ექსპორტის მოცულობა ჩინეთში შეადგენდა 96 მლრდ. ევროს, ხოლო იტალიის - 13 მლრდ., ბელგიის - 7 მლრდ. ევროს (EUROSTAT, 2019). ხელშეკრულების ოპოზიციური ქვეყნები საკუთარ პოზიციას ამყარებდნენ საერთო ევროპული პრინციპების არგუმენტებით და მათთან ჩინეთის შეუთავსებლობით; ჩინეთის მთავრობის აგრესია უიღურების მიმართ, ტაივანის პრობლემა, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები ქვეყნის შიგნით და ა.შ. ევროპისთვის პრობლემატური უნდა ყოფილიყო. ამ საკითხების გათვალისწინებით პეკინთან ნაჩქარევად ხელშეკრულების გაფორმება ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოსთვის მიუღებელი იყო, მით უფრო, რომ მთავარი სტრატეგიული მოკავშირის - აშშ-ის პოზიცია ამ შეთანხმებასთან მიმართებაში გაურკვეველი იყო (ხელშეკრულებას ხელი ჯ. ბაიდენის ინაუგურაციამდე მოეწერა).

ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კონტექსტში საინტერესოა იმ გარემოების გამოც, რომ აღნიშნული ნაბიჯი, გარკვეულწილად, ევროპასა და აშშ-ს - ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ მოკავშირის - შეთანხმებულ პოლიტიკაში ბზარის

გაჩენას ნიშნავს. ეს, თავის მხრივ, კარგად ესმის ჩინეთსაც; ამიტომაც იყო, რომ პეკინმა სასწრაფოდ დათმო პოზიციები საერთო საწარმოების მოთხოვნასთან დაკავშირებით, რათა საბოლოო შეთანხმების გაფორმება აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე მომხდარიყო, მით უფრო, რომ თეთრი სახლის ახალმა ადმინისტრაციამ ჩინეთთან ურთიერთობის საკითხში აშშ-ის და ევროკავშირის მჭიდრო თანამშრომლობისა და კონსულტაციების აუცილებლობაზე უკვე ისაუბრა (Von der Burchard, 2021). ეს კი, თავის მხრივ, აშშ-ის ახალი მთავრობის დიპლომატიური გზავნილი იყო ევროკავშირის მიერ გადადგმული ნაბიჯების პასუხად. იმ პირობებში, როდესაც ჩინეთი აშშ-ის მხრიდან მკაცრ კრიტიკას იღებს ტაივანში განხორციელებული აგრესიისა და ადამიანის უფლებების დარღვევების გამო, აშშ აწესებს შეზღუდვებს ჩინური პროდუქციის იმპორტზე და ამავდროულად ეხმარება ტაივანის მთავრობას (გააქტიურებული დიპლომატიური კონტაქტები, მილიარდობით დოლარის ღირებულების იარაღით ვაჭრობა), პეკინისთვის მნიშვნელოვანია, რომ აშშ-ის პოზიცია არ გაიზაროს ევროპამაც, რომელიც საინვესტიციო შეთანხმებით მეტნაკლებად დაუახლოვდა ჩინეთს. ამდენად, ევროკავშირმა საერთო პრინციპებისა და ღირებულებების მქონე ყველაზე მნიშვნელოვან მოკავშირესთან (აშშ) შეუთანხმებლად მიიღო გადაწყვეტილება, ხელი მოეწერა საინვესტიციო ხელშეკრულებაზე ჩინეთთან - ქვეყანასთან, რომელსაც დასავლეთი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა, პირველ რიგში, განსხვავებული პრინციპებისა და ღირებულებების გამო.

ყველაზე მთავარი პრობლემა, რაც ევროკავშირსა და ჩინეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას უკავშირდება, ევროპული პრინციპებისა და ღირებულებების საკითხია. მართალია, ევროკომისიის პრესის სამსახურის მიერ გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ხელშეკრულება მხარეებს შორის „ღირებულებებზე დაფუძნებულ საინვესტიციო ურთიერთობებს“ გულისხმობს (EU Commission, Press Corner, 2020), თუმცა, ძნელად წარმოსადგენია, რომ ეს განცხადება რეალობას შეესაბამებოდეს მაშინ, როდესაც შრომითი უფლებების საკითხი ხელმომწერ მხარეებს შორის გადაულახავ პრობლემად რჩება. ჩინეთში იძულებითი შრომა მიღებული პრაქტიკაა, რაც, თავის მხრივ, არც ერთ ევროპულ პრინციპსა, თუ ღირებულებას არ შეესაბამება (პირველ რიგში, ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში). შრომითი უფლებების საკითხი გახდა ასევე აშშ-ის მიერ ჩინური პროდუქციის იმპორტის აკრძალვის ერთ-ერთი ფაქტორიც. მართალია, ევროკომისიის განცხადებაში

აღნიშნულია, რომ ჩინეთი მომავალში მოახდენს იძულებით შრომასთან დაკავშირებულ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციების რატიფიკაციას (EU Commission, Press Corner, 2020), თუმცა, კონკრეტულ ვადებზე საუბარი არ არის. არც ის არის ნათელი, როგორ მოახერხებს ევროკავშირი ჩინეთის „იძულებას“, მოახდინოს ამ კონვენციების რატიფიკაცია და პრაქტიკაში განხორციელება, მით უფრო მაშინ, როდესაც ევროპასთან გაფორმებულ ხელშეკრულებასაც ჩინეთისთვის გადამწყვეტი ეკონომიკური სარგებელი არ მოაქვს და, შესაბამისად, ზეწოლის „იარაღადაც“ ვერ გამოდგება. პრაქტიკაში უკვე არსებობს პრეცედენტი - 2011 წელს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ევროკავშირსა და სამხრეთ კორეას შორის, როდესაც ევროპულმა მხარემ დღემდე ვერ „აიძულა“ სამხრეთ კორეა, მოეხდინა საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციების რატიფიკაცია. ჩინეთის შემთხვევაში ეს ბევრად უფრო რთული იქნება. გარდა ამისა, არსებობს ჩინეთის მიერ ევროპელი პარლამენტარებისა და მეცნიერების წინააღმდეგ დაწესებული საპასუხო სანქციების პრობლემაც, რაც, თავის მხრივ, ერთ-ერთი მიზეზი გახდა ევროპარლამენტის მიერ 2021 წლის მაისში ჩინეთთან გაფორმებული შეთანხმების რატიფიცირების პროცესის შეჩერებისა, ვინაიდან, ევროპარლამენტარების აზრით, აღნიშნული სანქციები „წარმოადგენს შეტევას ევროპული დემოკრატიის არსისა და ფასეულობების, ასევე კვლევითი საქმიანობის თავისუფლების წინააღმდეგ“ (ევროპარლამენტის რეზოლუცია, 2021/2644(RSP)).

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა რაციონალური არჩევანის თეორიის კონტექსტში

ზემოთ ხსენებული შემთხვევების (ენერგოპოლიტიკა რუსეთთან; თანამშრომლობა ჩინეთთან) ანალიზი მნიშვნელოვანია ამ ნაშრომში განხილული თეორიული დებულებების დასამტკიცებლად. პირველ რიგში, ორივე შემთხვევის ანალიზის შედეგად, გამოჩნდა, რომ ევროკავშირის მიერ ბოლო წლებში მიღებული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებები ნაკლებად ითვალისწინებს საერთო ევროპულ ღირებულებებს/პრინციპებს, საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და ისტორიული სამართლიანობის ფაქტორს (ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის საპირისპიროდ). ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები მზად არიან ოფიციალურად ითანამშრომლონ ავტორიტარულ რუსეთთან და კომუნისტურ ჩინეთთან და თვალის დახუჭონ მათ დანაშაულებრივ ქმედებებზე ადამიანის უფლებების დარღვევის

კუთხით (ეს, თავის მხრივ, არანაირ ევროპულ პრინციპს, თუ ღირებულებას არ შეესაბამება) როგორც თავად ამ ქვეყნების შიგნით, ისე - მათ გარეთ. ამგვარი თანამშრომლობა „შესაბამისობის ლოგიკას“ ვერანაირად ვერ დაექვემდებარება, ვინაიდან ის არც ევროპის წარსულ გამოცდილებაზე და არც ისტორიაზეა ორიენტირებული (როგორც ამას ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი აღწერს), უფრო მეტიც, საჭიროების შემთხვევაში რაციონალური ინტერესების გამო, როგორც გამოჩნდა, ევროკავშირი ისტორიულ სტრატეგიულ მოკავშირეს - აშშ-საც უპირისპირდება.

ამ ნაშრომში განხილული შემთხვევები ასევე ადასტურებს, რომ სუპრანაციონალური ორგანოების არსებობის მიუხედავად, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური საკითხები უნიტარული აქტორების - წევრი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესებისა და მათი რაციონალური არჩევანის დონეზე წყდება. რუსეთზე ურთიერდამოკიდებულების, მასთან ენერგოურთიერთობების გაღრმავებისა და ჩინეთში ინვესტიციების განხორციელების საკითხები არა საერთო ევროპული „კოლექტიური სარგებელი“, არამედ გარკვეული წევრი ქვეყნების (გერმანია, საფრანგეთი) რაციონალური ინტერესებია. როგორც ანალიზიდან გამოჩნდა, ამ ქვეყნების ქმედებები შედეგზე ორიენტირებულ ლოგიკაზე და პრაგმატულ გათვლაზეა დაფუძნებული და მხოლოდ საკუთარ (ანუ შედარებით) სარგებელს ითვალისწინებს (რაციონალური არჩევანის თეორიის შესაბამისად); ენერგოურთიერთობები რუსეთთან, დაგეგმილი „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის გაზის პროექტის ჩათვლით, ყველაზე მნიშვნელოვანი გერმანიის ენერგოუსაფრთხოებისთვისაა. საკუთარი რაციონალური ინტერესების გამო გერმანია ნაკლებად ფიქრობს საერთო ევროპულ პრინციპებზე/ღირებულებებზე და „კოლექტიურ სარგებელზე“, რაც, თავის მხრივ, რუსეთის მიმართ მკაცრი პოლიტიკით და სანქციების დაწესებით შეიძლება მიიღწეოდეს. გერმანია, საფრანგეთთან ერთად, ასევე ინიციატორია ჩინეთთან საინვესტიციო ხელშეკრულების გაფორმებისა (სწორედ ეს სახელმწიფოები მონაწილეობდნენ ევროკავშირის სახელით ოფიციალური დოკუმენტის გაფორმების პროცესშიც), ვინაიდან ჩინეთის მზარდი ბაზარი განსაკუთრებით ამ ქვეყნების ეკონომიკებისთვისაა მნიშვნელოვანი. ეს სახელმწიფოები ახერხებენ, რომ ევროკავშირი (საერთაშორისო ორგანიზაცია) საკუთარი ინტერესების აღსრულებისთვის წარმატებით გამოიყენონ, თუნდაც, ეს სხვა წევრი სახელმწიფოებისთვის საფრთხის შემცველი იყოს (მაგ., რუსეთთან თანამშრომლობით შექმნილი აღმოსავლეთ

ევროპის ქვეყნების ენერგოუსაფრთხოების საფრთხე, ან ავტორიტარულ ჩინეთთან დაახლოება როგორც საერთო ევროპული ღირებულებების საფრთხე) ისევ და ისევ რაციონალურ ლოგიკაზე დაყრდნობით: ეკონომიკური სარგებლის თვალსაზრისით რუსეთთან და ჩინეთთან თანამშრომლობა ყველაზე ხელსაყრელი და პრაგმატული გამოსავალია შექმნილ რეალობაში.

დასკვნა

ევროკავშირის ენერგოპოლიტიკა რუსეთთან და თანამშრომლობა ჩინეთთან (შემთხვევები/მაგალითები - cases) განხილული იყო ევროკავშირის „პრინციპული პრაგმატიზმის“ სტრატეგიის დღევანდელ რეალობაში განხორციელების დემონსტრაციისთვის, რაც, თავის მხრივ, ნაშრომის მთავარი საკვლევი თემაცაა. განხილულ ორივე შემთხვევაში/მაგალითში ნათლად ჩანს, რომ ბოლო წლებში ევროკავშირის მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკა მთლიანად განთავისუფლებულია იმ იდეალიზმისაგან, რომელიც ევროპული პრინციპების/ ღირებულებების სხვა ქვეყნებზე გავრცელებას და „სწორად მართულ“ სახელმწიფოებთან თანამშრომლობას ისახავდა მიზნად. სამაგიეროდ ის მკვეთრად განიცდის წევრი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესების გავლენას. მართალია, პრინციპების/ღირებულებების მნიშვნელობა ისევ ხაზგასმული რჩება ევროკავშირის 2016 წლის სტრატეგიაშიც, თუმცა, ზემოთ ხსენებული მაგალითების (cases) განხილვით აშკარაა, რომ ურთიერთსაპირისპირო აზრის შემცველი „პრინციპული პრაგმატიზმის“ ცნება რეალურად ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაგმატულ, რაციონალურ არჩევანსა და შედეგებზე ორიენტირებულ ლოგიკაზე დაფუძნებულ პოლიტიკას ნიშნავს, სადაც პრინციპების/ღირებულებების როლი მეტნაკლებად დაკარგულია. რაციონალური ინტერესების გამო ევროკავშირის ქვეყნები მზად არიან ითანამშრომლონ ისეთ ავტორიტარულ სახელმწიფოსთან, როგორცაა რუსეთი და დათანხმდნენ ისეთ სახელმწიფოსთან (ჩინეთი) საინვესტიციო ხელშეკრულების გაფორმებას, რომელიც 21-ე საუკუნეში იძულებითი შრომის პრაქტიკას იყენებს. ამდენად, საერთო ჯამში ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში ფუნდამენტური პრინციპების/ღირებულებების გავლენა არ იგრძნობა. უფრო მეტიც, წევრი ქვეყნების რაციონალური ინტერესების გავლენით ევროკავშირი უპირისპირდება თავის

ყველაზე მნიშვნელოვან ისტორიულ მოკავშირეს - აშშ-ს, რომელთანაც სწორედ საერთო პრინციპები/ღირებულებები აკავშირებს.

ბიბლიოგრაფია:

ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია, ხელმისაწვდომია ონლაინ: https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/eugs_review_web_0.pdf

ევროპული უსაფრთხოების სტრატეგია (2003), ხელმისაწვდომია ონლაინ: <https://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-15895-2003-INIT/en/pdf>

ევროკავშირის საბჭო (2013), 3266-ე შეხვედრის პრეს რელიზი, ხელმისაწვდომია ონლაინ: https://www.consilium.europa.eu/ueDocs/cms_Data/docs/pressData/EN/foraff/139062.pdf

ევროპარლამენტის რეზოლუცია 2021/2644(RSP), ხელმისაწვდომია ონლაინ: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2021-0255_EN.html

Aggestam, L., & Bicchi, F. (2019), New Directions in EU Foreign Policy Governance: Cross-loading, Leadership and Informal Groupings, *JCMS: journal of common market studies*, 57(3), 515-532

Bildt, C. & Gressel, G. (2021), Push back, contain, and engage: How the EU should approach relations with Russia, *European Council for Foreign Relations, Wilder Europe*, 25/03/2021, <https://ecfr.eu/publication/push-back-contain-and-engage-how-the-eu-should-approach-relations-with-russia/>

Bulmer, S. (1993), The Governance of the European Union: A New Institutional Approach, *Journal of Public Policy*, Vo.13, No.4. 351-380

De Maio, G. (2019), Nord Stream 2: A failed test for EU unity and trans-Atlantic coordination, *BROOKINGS*, 22/04/2019, <https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2019/04/22/nord-stream-2-a-failed-test-for-eu-unity-and-trans-atlantic-coordination/>

EEAS (2020), Statement by the High Representative/Vice-President Josep Borrell on US sanctions Brussels, *European External Action Service (EEAS)*, 17/07/2020, UNIQUE ID: 200717_22,

https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/83105/statement-high-representativevice-president-josep-borrell-us-sanctions_en

EU Commission, Press Corner (2020), EU-China Leaders' meeting: Delivering results by standing firm on EU interests and values, https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/STATEMENT_20_2546, 30/12/2020

EUROSTAT (2019), Trade with China by Member State, https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/China-EU_-_international_trade_in_goods_statistics#EU-China_most_traded_goods

Fallon, T. (2021), The Strategic Implications of the China-EU Investment Deal, The Diplomat, 04/01/2021, <https://thediplomat.com/2021/01/the-strategic-implications-of-the-china-eu-investment-deal/>

Flatley D. & Wadhams N., (2021), U.S. Calls Effort to Halt Nord Stream 2 Pipeline a Long Shot, Bloomberg, 19/05/2021, <https://www.bloomberg.com/news/articles/2021-05-19/u-s-to-waive-new-sanctions-on-nord-stream-2-pipeline-to-germany>

Forsberg, T. (2013), The Power of the European Union: What Explains the EU's (lack of) Influence on Russia?, *Politique Europeenne*, 39, 1

Gerring, John (2007), *Case Study Research: Principles and Practices*. Cambridge University Press, ISBN 978-0-521-85928-8

IMF Country Report No. 19/359 - Ukraine (2019), IMF, <https://www.imf.org/~media/Files/Publications/CR/2019/1UKREA2019009.ashx>

Juncos, A. E. (2017), Resilience as the new EU foreign policy paradigm: a pragmatist turn?. *European security*, 26(1), 1-18

Kedmey, D. (2014), 4 Countries That Get Every Last Drop of Natural Gas From Russia, TIME, 16/06/2021, <https://time.com/2882185/russia-natural-gas/>

Kustova, I. (2015), EU–Russia Energy Relations, EU Energy Integration, and Energy Security: The State of the Art and a Roadmap for Future Research, *Journal of Contemporary European Research*, 11, 3

Lamnek, S.(2010), *Qualitative Sozialforschung: Lehrbuch*, Weihnhein, Basel: Beltz. ISBN 978-3-621-27770-9

Lehne, S. (2017), Is there hope for EU foreign policy? (pp. 1-22). Carnegie Endowment for International Peace

March, J. (2009), *A Primer on Decision Making: How Decisions Happen*, New York: The Free Press. 2009

Nasr J. & Seythal T. (2020), Merkel urges EU unity on China, REUTERS, 03/07/2020, <https://www.reuters.com/article/eu-germany-merkel-china-idUSS8N2DF01L>

Mihalache, I. (2016), Principled pragmatism in EU foreign policy: A return to Realpolitik or rapprochement with Russia, *Centre for Geopolitics & Security in Realism Studies*, <http://cgsrs.org/files/files/file-1547759911.pdf>

Neuendorf, K. A. & Kumar, A. (2015), Content analysis In Gianpietro Mazzoleni (Ed.), ‘The international encyclopedia of political communication’ (pp.1-10). West Sussex: Wiley.

Orenstein, M. & Kelemen, R. (2016), Trojan Horses in EU Foreign Policy, *JCMS: Journal of Common Market Studies*. 55. 10.1111/jcms.12441.

Pallardy, D. (2020), EU Delegation opposes US sanctions on Russian gas pipe, *Independent Commodity Intelligence Services*, <https://www.icis.com/explore/resources/news/2020/08/17/10541992/eu-delegation-opposes-us-sanctions-on-russian-gas-pipe>

Pennisi di Floristella, A. (2021), EU Trade Policy: Principles versus Pragmatism. The Cases of Vietnam and Cambodia. *The International Spectator*, 1-16

Pistorious, M. (2020), Nord Stream 2: Europe stays quiet while US ‘tramples over EU sovereignty’, REUTERS, 15/01/2021, <https://www.euractiv.com/section/energy-environment/news/nord-stream-2-europe-stays-quiet-while-us-tramples-over-eu-sovereignty/>

REUTERS (2021), New German CDU leader sticks to support for Nord Stream 2, REUTERS, 25/01/2021, 7:38 PM, <https://www.reuters.com/article/germany-politics-cdu-nordstream/new-german-cdu-leader-sticks-to-support-for-nord-stream-2-idUSL8N2K04HD>

Simón, L. (2017), Neorealism, Security Cooperation, and Europe's Relative Gains Dilemma, *Security Studies* Volume 26, 2017 - Issue 2. 185-212

Smith, N.R. (2014), The Underpinning Realpolitik of the EU's Policies towards Ukraine: An Analysis of Interests and Norms in the EU-Ukraine Association Agreement, *European Foreign Affairs Review* 19(4):581-596.

Smith, S., Hadfield, A. & Dunne T. (2008), *Foreign Policy. Theories-Actors-Cases*, Oxford University Press 2nd edition

Stinchcombe, A.L. (2001), *When Formality Works. Authority and Abstraction in Law and Organizations*, Chicago: University of Chicago Press

Sytas A. (2016), EU leaders sign letter objecting to Nord Stream-2 gas link, REUTERS, 16/03/2016, <https://www.reuters.com/article/uk-eu-energy-nordstream/eu-leaders-sign-letter-objecting-to-nord-stream-2-gas-link-idUKKCN0WI1YV>

Thompson A. (2006), Coercion Through IOs: The Security Council and the Logic of Information Transmission. *International Organization* 60(1). PP 6-8

Tonra, B., & Christiansen, T. (2018), *The study of EU foreign policy: between international relations and European studies*. In *Rethinking European Union Foreign Policy*. Manchester University Press

Von der Burchard, H. (2021), Germany's drive for EU-China deal draws criticism from other EU countries, POLITICO, 01/01/2021, <https://www.politico.eu/article/germanys-drive-for-eu-china-deal-draws-criticism-from-other-eu-countries/>

Wettengel, J. (2020), Gas pipeline Nord Stream 2 links Germany to Russia, but splits Europe, Clean Energy Wire, 07/09/2020, <https://www.cleanenergywire.org/factsheets/gas-pipeline-nord-stream-2-links-germany-russia-splits-europe>

Yin, R. K. (2013), Case Study Research: Design and Methods, (5th ed.), Thousand Oaks, CA: SAGE Publications. ISBN 978-1-4833-2224-7

დანართი N1

განანალიზებული მასალების ცხრილი

დასახელება	გამოცემის თარიღი
ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია	06/2016
ევროპული უსაფრთხოების სტრატეგია	2003
ევროკავშირის საბჭოს 3266-ე შეხვედრის პრეს რელიზი	8/10/2013
ევროპარლამენტის რეზოლუცია 2021/2644(RSP)	20/05/2021
EUROSTAT - ევროკავშირის ქვეყნების ჩინეთთან ვაჭრობის სტატისტიკა	2019
EEAS - საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის სფეროში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჯ. ბორელის განცხადება	17/07/2020
EU Commission, Press Corner – „ევროკავშირისა და ჩინეთის ლიდერების შეხვედრა: შედეგების მიღწევა ევროკავშირის ინტერესებისა და ფასეულობების დაცვით“	30/12/2020

[1] ევროკავშირის „ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურის“ (Ordinary Legislative Procedure) თანახმად, ევროკომისია ახდენს ამა თუ იმ კანონპროექტის ინიცირებას (ამ

პროცესში დიდია წევრი ქვეყნების და სხვადასხვა ჯგუფების ლობირების როლი), რომელიც შემდეგ ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს მიერ მტკიცდება. ევროპის საბჭოში წევრი სახელმწიფოების მიერ ხმის მიცემის პროცედურა ბოლო პერიოდში ყველაზე ხშირად „კვალიფიციური უმრავლესობის“ (qualified majority) პრინციპით ხდება, რაც ნიშნავს, რომ ინიციატივას მხარს უნდა უჭერდეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების 55 პროცენტი და ევროკავშირის მთლიანი მოსახლეობის 65 პროცენტი. ამის მისაღწევად ევროპის საბჭოში ხშირია წევრ ქვეყნებს შორის საერთო პოზიციის ჩამოყალიბებისთვის სხვადასხვა საკითხებით „ვაჭრობის“ შემთხვევები.

ალექსანდრე სახეჩიძე, ქეთევან წულაძე

კიბერბულინგი სტუდენტთა პერსპექტივიდან

აბსტრაქტი

ელექტრონული მოწყობილობებისთვის დამახასიათებელმა ანონიმურობის შესაძლებლობამ და დისტანცირების ეფექტმა ხელი შეუწყო ბულინგის ახალი სახეობის, კიბერბულინგის წარმოქმნას. კიბერბულინგი გულისხმობს განზრახ განხორციელებულ განმეორებად ზიანს ადამიანის წინააღმდეგ, რომელსაც თავის დაცვა არ ძალუძს და რომლის საშუალებადაც სხვადასხვა ელექტრონული ხელსაწყო გამოიყენება. ვინაიდან კიბერბულინგი დღესდღეობით ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მსოფლიოსთვის, საჭიროდ ჩავთვალეთ შეგვესწავლა ამ მხრივ რა მდგომარეობაა საქართველოში, კერძოდ ქართველ სტუდენტებში. მოცემული კვლევის მიზანია ქართველი სტუდენტების კიბერბულინგის შესახებ ცოდნისა და გამოცდილების შესწავლა. კვლევისათვის შეირჩა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია. მონაცემთა მოპოვებისათვის გამოყენებულია სიღრმისეული ინტერვიუ. შერჩევისთვის გამოყენებულ იქნა თოვლის გუნდის მეთოდი და ინტერვიუ ჩატარდა ბაკალავრიატის 14 სტუდენტთან 4 უნივერსიტეტიდან. მონაცემთა ანალიზისათვის კი კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კონტენტანალიზი და დისკურსის ანალიზი. კვლევის შედეგები გვაჩვენებს, რომ სტუდენტები კიბერბულინგის მიმართ არასრულად არიან ინფორმირებული. რესპონდენტთა უმეტესობა კიბერბულინგს მხოლოდ ინტერნეტთან აკავშირებს და მობილური ტელეფონის ზარებსა და მესიჯებზე ნაკლებ აქცენტს აკეთებს. რესპონდენტთა ნაწილმა ისაუბრა კიბერბულინგის პირად შემთხვევებზე, რომლებიც შეეხებოდა კიბერშევიწროებას სატელეფონო ზარებითა და მესიჯებით, სექსტინგს და მუქარას სოციალურ ქსელში. კვლევაში აღწერილი კიბერბულინგის შემთხვევების უმეტესობა კაცის მხრიდან ქალის შევიწროებას უკავშირდება, სადაც მისი ობიექტივიზაცია და სექსუალიზება ხდება. რესპონდენტთა დიდი ნაწილი კიბერბულინგის შემთხვევის გასაჯაროებას ერიდება და ამჯობინებს თავად გადაჭრას პრობლემა.

საკვანძო სიტყვები: კიბერბულინგი, სტუდენტი, ინტერნეტი, მსხვერპლი, კიბერმჩაგვრელი, სოციალური ქსელი

Abstract

The inherent anonymity and distancing effect of electronic devices has led to the emergence of a new type of bullying, cyberbullying. Cyberbullying is an aggressive act or behavior that is carried out using electronic means by a group or an individual repeatedly and over time against a victim who cannot easily defend him or herself. Since Cyberbullying is one of the biggest issues in the whole world, it became vitally important to study Cyberbullying in Georgia, in particular among Georgian students. The aim of this study is to study the knowledge and experience of Georgian students about cyberbullying. For this study a qualitative research methodology was used. An in-depth interview was selected as the data collection method. Snowball sampling was used for selection and 14 undergraduate students from 4 universities were interviewed. Discourse analyze and qualitative content analyze methods were used for analyzing research findings. The research findings suggest that the majority of respondents connect cyberbullying only to the Internet and do not mention cell phone calls or messages. Some respondents talked about their personal experiences of cyberbullying. The cases included harassment, sexting, threats in social media and through phone calls and messages. The most cases described in this research are the cases of sexual harassment done by men to women. Most of the respondents prefer not to make their experience as a victim public, they prefer to solve the problem themselves.

Keywords: cyberbullying, student, victim, Cyberbully, social network, internet.

შესავალი

ინტერნეტმა და თანამედროვე ტექნოლოგიებმა სრულიად შეცვალეს ადამიანებს შორის ინტერაქციის ფორმა, რამაც მრავალი საქმიანობის თუ სფეროს განვითარებას შეუწყობ ხელი. მათი მეშვეობით ადამიანები შორ მანძილზეც სწრაფად და მარტივად ამყარებენ ერთმანეთთან კომუნიკაციას. ბევრად უფრო ხელმისაწვდომი გახდა სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოპოვებაც (Leiner at al., 2009). თუმცა ინტერნეტს დადებითის გარდა, ბევრი

უარყოფითი მხარეც აქვს. ერთ-ერთი მათგანია პირადი მონაცემების დაუცველობა. ადამიანები ხშირად ინტერნეტის მოხმარებისას სხვადასხვა საიტებზე განათავსებენ თავიანთ პირად მონაცემებს, ფოტოებს, ვიდეოებს, რაც მარტივად ხელმისაწვდომია იმ ადამიანებისთვის, რომელთაც მათი ბოროტად გამოყენება სურთ. ამასთანავე, ინტერნეტი, ისევე როგორც სხვადასხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებები, ანონიმურობის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს, რის გამოც ის ბევრისთვის თავდასხმისა და ძალადობის განხორციელების მარტივ საშუალებად იქცა. ასევე, ტექნოლოგიური მოწყობილობებისთვის დამახასიათებელი დისტანცირების ეფექტი ახალგაზრდებს განაწყობს, გააკეთონ ან თქვან უფრო მეტად დამაზიანებელი რამ, ვიდრე ისინი ტრადიციული პირისპირ ბულინგისას გააკეთებდნენ (Donegan, 2012).

ზემოთ ჩამოთვლილმა ხელშემწყობმა ფაქტორებმა წარმოქმნა ბულინგის ახალი სახეობა, კიბერბულინგი. კიბერბულინგი, ტრადიციული ბულინგისაგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსხვავდება ანონიმურობის შესაძლებლობით და ასევე, მარტივად გავრცელების საშუალებით. მაგალითად, ადამიანი როდესაც ინტერნეტში აზიარებს სხვა ადამიანის შესახებ დამამცირებელი შინაარსის კონტენტს, მასზე ხელმისაწვდომობა აქვს მთელს ვირტუალურ სამყაროს. ზოგადად, კიბერბულინგის განმარტება ასეთია, რომ ის გულისხმობს განზრახ განხორციელებულ განმეორებად ზიანს იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომელსაც არ შეუძლია თავის მარტივად დაცვა, რომლის საშუალებად გამოიყენება კომპიუტერი, მობილური ტელეფონი თუ სხვა ელექტრონული მოწყობილობა (Smith, 2008). კიბერბულინგად მოიაზრება უხეში, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი მესიჯების გაგზავნა, მუქარა, სხვისი პირადი ინფორმაციის გავრცელება, ადამიანების გარიყვა ონლაინ ჯგუფებიდან და თავის შენიღბვა ვინმეს შესავიწროებლად (End Cyberbullying, 2017).

იმას, რომ კიბერბულინგი ერთ-ერთი დიდი პრობლემაა დღევანდელი მსოფლიოსთვის, ამას მრავალი ემპირიული კვლევა აჩვენებს. კვლევამ, რომელმაც ცენტრალურ და დასავლეთ ამერიკის შეერთებული შტატების 11-დან 15-წლამდე ასაკის 457 მოსწავლე მოიცვა (შემთხვევითი შერჩევით), აჩვენა, რომ მონაწილეთა 34.4% კიბერბულინგის მსხვერპლი ერთხელ მაინც გამხდარა, 21% კი ერთხელ ან უფრო მეტჯერ გამხდარა კიბერბულინგის მსხვერპლი უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში (Hinduja & Patchin, 2015). ასევე, 2016 წელს,

იმავე მკვლევარების მიერ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა 12-17 წლამდე ასაკის 5,700 სკოლის მოსწავლე. გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპონდენტების 33.8% სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც გამხდარა კიბერბულინგის მსხვერპლი. კიბერბულინგის სხვადასხვა შემთხვევებიდან ყველაზე ხშირად (22,5%) დასახელდა საწყენი და ბოროტი კომენტარების დაწერა სოციალურ ქსელში (Hinduja & Patchin, 2016).

პრობლემის გლობალურობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია გავანალიზოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაშიც. კიბერბულინგის გავრცელებაზე ჩინეთში ჩატარებულმა კვლევამ, რომელშიც ჰონგ-კონგის უნივერსიტეტების სტუდენტები მონაწილეობდნენ, აჩვენა, რომ რესპონდენტთა 15.4% ყოფილა როგორც ბულინგის მსხვერპლი კიბერსივრცეში, ასევე მჩაგვრელიც. ხოლო 52.9%-ს ჰქონია კიბერბულინგის გამოცდილება ერთ-ერთ როლში (Wong, Cheung & Xiao, 2018).

სერბეთში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელშიც მონაწილეობდა ქალაქ ბელგრადის 387 საშუალო სკოლის მოსწავლე (11-15 წლის), საშუალოდ, კვლევაში მონაწილეთა 10% თავად ყოფილა მჩაგვრელი ონლაინ სივრცეში, ხოლო დაახლოებით 20% ყოფილა კიბერბულინგის მსხვერპლი (Popovic-Citic, Djuric, Cvetkovic, 2011). საინტერესოა თურქეთში, 2011 წელს ჩატარებული კვლევა, რომელმაც (მონაწილეობდა 254 სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტი) აჩვენა, რომ არსებობს კავშირი ვიქტიმიზაციასა და ჩაგვრას შორის. კიბერსივრცეში მსხვერპლთა 23% თავად არის მჩაგვრელი (Akbulat & Erest, 2011).

15-დან 24 წლამდე ახალგაზრდები იმ ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენს, რომელიც ყველაზე მეტად სარგებლობს ინტერნეტით. მსოფლიო მასშტაბით ამ ასაკობრივი ჯგუფის 71% სარგებლობს ინტერნეტით მაშინ, როცა მთელი მსოფლიოს მოსახლეობისთვის ეს მონაცემი 48%-ს შეადგენს (Unicef, 2017). კიბერბულინგის შესწავლა უნივერსიტეტის სტუდენტებში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სტუდენტები წარმოადგენენ საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ნაწილს ონლაინსივრცეში. ქართველი სტუდენტების 81% ყოველდღიურად მოიხმარს ინტერნეტს (CRRC Georgia, 2020). ასევე, ყოველდღიურად მოიხმარს მობილურ ტელეფონს და სხვა ელექტრონულ მოწყობილობებს ქართველების 51.7% . ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა სამხრეთ უელსის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის

შედეგები, რომელშიც მონაწილეობდა 134 სტუდენტი. კვლევამ აჩვენა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების ხშირი გამოყენება და საზოგადოებრივი ზეწოლა (social pressure) კიბერბულინგის და მსგავსი ქმედებების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს (Zhang, Land, Dick, 2010).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში კიბერბულინგის თემატიკაზე არსებული შრომების სიმწირეა. თითქმის არ ვხვდებით სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც ფოკუსირებულია სტუდენტთა კიბერბულინგის გამოცდილებაზე ქართულ კონტექსტში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მოცემული ნაშრომი არსებულ სიცარიელეს შეავსებს და დაეხმარება მომავალ მკვლევრებს მოცემული საკითხის კიდევ უფრო სიღრმისეულად შესწავლაში.

ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის, ემპირიული კვლევების მონაცემების საფუძველზე, ჩანს რომ კიბერბულინგი აქტუალური გლობალური პრობლემაა ახალგაზრდებისთვის. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ საინტერესო იქნება იმის გარკვევა, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქართველ სტუდენტებში.

კვლევის მიზანი: ვიკვლიოთ, ქართველი სტუდენტების ცოდნა კიბერბულინგის შესახებ და მათი გამოცდილება ამ კუთხით.

საკვლევი კითხვები:

1. როგორია ქართველი სტუდენტების ინფორმირებულობის დონე კიბერბულინგის შესახებ?
2. რა დამოკიდებულებები და შეხედულებები აქვთ ქართველ სტუდენტებს კიბერბულინგთან ბრძოლის შესახებ?
3. როგორია ქართველი სტუდენტების პირადი გამოცდილება კიბერბულინგის კუთხით (მსხვერპლის როლში, მჩაგვრელის როლში)?

ლიტერატურის მიმოხილვა

კიბერბულინგი წარმოადგენს აგრესიულ, წინასწარგანზრახულ ქმედებას ჯგუფის ან ინდივიდის მიერ, რომლის დროსაც კონტაქტი განხორციელებულია ელექტრონული მოწყობილობის საშუალებით. ქმედება ხორციელდება არაერთხელ გარკვეული დროის პერიოდში, მსხვერპლის წინააღმდეგ, რომელსაც თავის დაცვა არ ძალუძს (Smith, Mahdavi, Carvalho, Fisher, Russell, & Tippett, 2008).

კიბერბულინგი შესაძლოა განხორციელდეს მობილური ტელეფონის ზარებით, მესინჯერით (Instant messaging) ან ტექსტური შეტყობინებებით, ელ. ფოსტით, ფორუმების, ბლოგების, პირადი ვებსაიტების, სათამაშო საიტების ანდა სოციალური ქსელების საშუალებით (SNS), რომელთა შორისაც Facebook ლიდერია (Kowalski, Giumetti, Schroeder & Lattanner, 2014).

კიბერბულინგის კონცეპტუალური განსაზღვრა რთულდება იმ ფაქტით, რომ ის შეიძლება შეგვხვდეს მრავალი ფორმითა და მრავალ განსხვავებულ ადგილზე. ვილარდმა (2008) განსაზღვრა კიბერბულინგის ტიპები, რომელიც მოიცავს ონლაინ ჩხუბებს, შევიწროებას (განმეორებადი, შეურაცხმყოფელი მესიჯები), მოტყუებას (პიროვნების პირადი ინფორმაციის ელექტრონულად გაზიარება ნებართვის გარეშე), გამორიცხვას (გამოკლება ადამიანთა სიიდან (Buddy list)), სხვა ადამიანად თავის გასაღება - პოსტების გავრცელება მსხვერპლის სახელით ან/და ნეგატიური ან შეუსაბამო ინფორმაციის მიწოდება სხვებისადმი, თითქოს ამას მსხვერპლი აკეთებდეს, სექსტინგი (Sexting) - სხვა პიროვნების შიშველი, სექსუალური კონტენტის შემცველი ფოტოების/ვიდეოების გავრცელება მისი ნებართვის გარეშე (Kowalski et al., 2014).

კიბერბულინგი სოციალურ ქსელებში მოიცავს: ზიანის მომტან, შეურაცხმყოფელ, დამაშინებელ მესიჯებს, კომენტარებს, სტატუსებს, ჯგუფების შექმნას, რომელიც მიმართულია სხვა ადამიანის ან ჯგუფის სიძულვილისკენ, დამამცირებელი ფოტოების გავრცელებას და ჯგუფებიდან, დისკუსიებიდან ან ღონისძიებებიდან ადამიანის გამორიცხვას (Kowalski et al., 2014).

სოციალური ქსელებიდან ყველაზე მეტად Facebook-სთვის არის დამახასიათებელი კიბერბულინგის შემთხვევები. 2013 წელს გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, Facebook-ს

მომხმარება და ბულინგის შემთხვევების გაცხადება მნიშვნელოვან კორელაციაშია ერთმანეთთან, სხვა სოციალურ ქსელებთან კორელაცია არ ფიქსირდება (Carter, 2013).

Facebook-ს მომხმარებელთა რაოდენობამ 2017 წლის პირველი ნახევრის ბოლოს 2 მილიარდს მიაღწია და ის დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე გავლენიან სოციალურ ქსელს წარმოადგენს (Forbes, 2017). 2016 წლის მონაცემებით, კომპნია Facebook-ის სამესიჯო აპლიკაცია Messenger-ს 1.3 მილიარდი მომხმარებელი ჰყავს (Statista, 2021). აღსანიშნავია, რომ 18-24 (17%) და 25-34 (25%) ასაკობრივი კატეგორია Facebook მომხმარებელთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯგუფია აშშ-ში, რომელშიც უნივერსიტეტის სტუდენტთა უდიდესი ნაწილი ხვდება (Statista, 2018). საქართველოში 2017 წლის კავკასიის ბარომეტრის მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთა 65% ინტერნეტში განხორციელებულ ყველაზე ხშირ აქტივობად Facebook-ს ასახელებს (კავკასიის ბარომეტრი: საქართველო, 2019)

კიბერბულინგის შემთხვევებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტორს წარმოადგენს დამკვირვებელი ანუ მესამე აქტორი. მესამე აქტორი უფრო ხშირად წარმოადგება, როგორც კიბერმჩაგვრელებისა და მსხვერპლების გამამართლებელი, მხარდამჭერი და დამცავი, ვიდრე ნეიტრალური აგენტი. მესამე აქტორები ხშირად თავად უკავშირდებიან ინტერნეტ პროვაიდერებს ან მსხვერპლებსა და მჩაგვრელებს მოუწოდებენ, ბულინგის შემთხვევა განაცხადონ. ასევე, მათი ერთ-ერთი ფუნქციაა, მოირგონ განმანათლებლის როლი, ისინი მსხვერპლებსა და მჩაგვრელებს უხსნიან, რომ ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენებას პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ (Carter, 2013).

კიბერბულინგი უნივერსიტეტის სტუდენტებში, ისევე როგორც სხვა სოციალურ ჯგუფებში, დიდ პრობლემასა და გამოწვევას წარმოადგენს. კვლევამ, რომელშიც ნიუ-ჰემფშირის უნივერსიტეტის 339 სტუდენტი მონაწილეობდა, აჩვენა, რომ დაახლოებით 10-დან 15%-მდე სტუდენტებისა მიუღია ელ. ფოსტა არაერთხელ, რომელიც შეიცავდა მუქარას, იყო შეურაცხმყოფელი ან შემავიწროებელი. ასევე, კვლევაში მონაწილე სტუდენტთა ნახევარზე მეტს მიუღია არასასურველი პორნოგრაფიული მასალა. დაახლოებით სტუდენტთა 7%-მა მიმართა სახელმწიფო სტრუქტურებს ამ პრობლემის გამო (Finn, 2004).

2013 წელს ჩატარდა კვლევა, რომელიც კიბერბულინგს შეისწავლის ემპირიულად სოციალურ-კოგნიტიური პერსპექტივიდან. სოციალურ-კოგნიტიური თეორია ადამიანის ფუნქციონირებას განიხილავს, როგორც პირადი, ქცევითი და გარემო ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგს. მოცემულ კვლევაში პირადი ფაქტორებიდან გამოყვეს: პიროვნების ინტერნეტ თვითეფექტურობა (Internet self-efficacy) - ადამიანთა დამოკიდებულება მათ შესაძლებლობებზე, რომ დაგეგმონ და განახორციელონ ქმედებები, მოტივაცია (ძალაუფლება, ყურადღება, მიმღებლობა), კიბერბულინგის გამოცდილება და დემოგრაფიული მახასიათებლები - ასაკი, გენდერი. რაც შეეხება გარემო ფაქტორებს, აქედან გამოყვეს სოციალური ნორმა, რომელიც სოციალურ-კოგნიტიური თეორიის მიხედვით, ქცევის ფორმირებას ახდენს. კვლევა ჩატარდა ჰონგ კონგის 288 უნივერსიტეტის სტუდენტთან სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით. კვლევის შედეგების მიხედვით, მონაწილეთა 60.4%-ს თავად განუხორციელებია კიბერბულინგი, 71.9% ყოფილა კიბერბულინგის მსხვერპლი, გამოკითხულთაგან 51.7%-ს კი ორივე როლში ჰქონია გამოცდილება. კვლევამ აჩვენა, რომ კიბერბულინგის გამოცდილებას ($b=0.338$; $r<0.01$), ინტერნეტ თვითეფექტურობას ($b=0.092$; $r<0.01$), სოციალურ ნორმას ($b=0.069$; $r<0.05$) და მოტივაციას ($b=0.530$; $r<0.01$) აქვს მნიშვნელოვნად პოზიტიური ეფექტი, ხოლო ასაკსა ($b=-0.088$; $r<0.01$) და გენდერს ($b=-0.072$; $r<0.01$) მნიშვნელოვნად ნეგატიური გავლენა კიბერბულინგზე. ნავარაუდებია, რომ უფროსი და მამრობითი სქესის სტუდენტები ნაკლებად მოსალოდნელია, რომ კიბერბულინგის ქცევაში ჩაებან (Xiao & Wong, 2013).

საინტერესოა ასევე კანადის 4 უნივერსიტეტის ბაკალავრის საფეხურის სტუდენტებში ჩატარებული კვლევა, რომელშიც გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა 24.1% გასული 12 თვის მანძილზე გამხდარა კიბერბულინგის მსხვერპლი (Faucher, Jackson & Cassidy, 2014).

ახალი კვლევები აჩვენებს, რომ კიბერმჩაგვრელები მეტად ხასიათდებიან ფსიქოპათიური თვისებებით, გააჩნიათ მაღალი ხარისხის სენსაციის გამოცდილების შეძენის სურვილი. ისინი არ ერიდებიან სიტუაციებს, სადაც სიტუაციის მართვა, კონტროლი რთულია. კიბერმსხვერპლები, მჩაგვრელებთან შედარებით, ემპათიის უფრო მაღალ ხარისხს ფლობენ. ფსიქოლოგები კიბერბულინგის გამომწვევ ფაქტორებად ვარაუდობენ დეპრესიასა და სოციალური უნარების ნაკლებობას (Kokkinos, Antoniadou & Markos, 2013).

იქიდან გამომდინარე, რომ კიბერბულინგი ხორციელდება ვირტუალურ სივრცეში (ფიზიკური კონტაქტის გარეშე), მსხვერპლები განიცდიან ორმაგ ტანჯვას და თავს უუნაროდ თვლიან. ეს გამოწვეულია იმით, რომ მათ არ შეუძლიათ შეაჩერონ მათ მიმართ განხორციელებული შევიწროება იმ მიზეზის გამო, რომ კიბერსივრცეში რთულია დაამტკიცო, თუ ვინ ძალადობს პირზე. ამდენად, მსხვერპლები მენტალური ჯანმრთელობის ზიანის საფრთხის ქვეშ დგებიან, ხშირია დაბალი თვითშეფასება და დეპრესია. რაც შეეხება კიბერმჩაგვრელებს, ისინი კიბერბულინგისას ტრადიციული ბულინგისგან განსხვავებით შეიძლება მეტად სასტიკები იყვნენ. მათ ემპათიის განცდას ამცირებს ის ფაქტი, რომ ისინი ვერ ხედავენ მათი ქმედების შედეგს (Koplewicz, 2010).

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ კიბერბულინგის წინა თავში ნახსენებ განმარტებებს ვყვრდნობით (Smith, 2008), (Donegan, 2012). საკვლევი კითხვა და ამოცანებიც სწორედ ამ ცნების ოპერაციონალიზაციას წარმოადგენენ. მეთოდოლოგია კი სწორედ საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე შევიმუშავეთ. უფრო დეტალურად ამაზე ქვევით ვისაუბრებთ.

შერჩევა

იქიდან გამომდინარე, რომ ინტერნეტის ყველაზე აქტიური მომხმარებლები 18-34 წლამდე ადამიანები არიან, მათ შორის კი სტუდენტები სოციალურად ყველაზე აქტიური ჯგუფია, ჩვენს სამიზნე აუდიტორიად სწორედ ისინი შევარჩიეთ. უფრო კონკრეტულად, კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. რესპონდენტები შევარჩიეთ თოვლის გუნდის მეთოდით. პირველი ორი ინტერვიუ ჩავატარეთ ჩვენს ორ ნაცნობთან, რომელთაც, ჩვენი აზრით, საინტერესო გამოცდილება ჰქონდათ ამ კუთხით. შემდეგ, კი მათ ვთხოვეთ დავეკავშირებინეთ ისეთ სტუდენტებთან, რომელთაც ჩვენი კვლევისთვის რელევანტური ინფორმაციის მოცემა შეეძლოთ. სულ ჩავატარეთ 14 სიღრმისეული ინტერვიუ შემდეგი უნივერსიტეტის სტუდენტებთან: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის

უნივერსიტეტი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი და დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი.

მონაცემების მოპოვების მეთოდები

მონაცემთა შესაგროვებლად შევარჩიეთ თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუ. ამის მთავარი მიზეზები ასეთია: 1) სხვადასხვა ლიტერატურაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კიბერბულინგის ცნება საკმაოდ ხშირად ყოფილა დაბნეულობის და გაურკვევლობის წყარო. მაგალითად ხშირად დაბნეულობას იწვევს ის, თუ რა განსხვავებაა უბრალოდ დაცინვასა (teasing) და კიბერბულინგს შორის. არსებობს დებატი იმის შესახებაც, თუ სად გადის ზღვარი სიტყვის თავისუფლებასა და კიბერბულინგს შორის და ხომ არ ზღუდავს ეს უკანასკნელი პირველს. აქედან გამომდინარე ჩავთვალეთ, რომ ასეთ კომპლექსურ და მრავალმხრივ საკითხზე ადამიანების აზრს უკეთ გავიგებდით სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით. 2) მეორე მიზეზი კი ისევ ჩვენი მიზნიდან გამომდინარეობს, რადგან გვინტერესებდა ადამიანების უშუალო გამოცდილება ასეთ სენსიტიურ საკითხთან დაკავშირებით, რაოდენობრივი კვლევით ამის მიღწევა შეუძლებელი იყო. თვისებრივი კვლევის მეთოდი და ამ შემთხვევაში სიღრმისეული ინტერვიუები, კი საშუალებას მოგვცემდა რესპონდენტებთან რაპორტის დამყარების შემდეგ უფრო გულახდილად და სიღრმისეულად გვესაუბრა მათ გამოცდილებებზე.

მონაცემთა შეგროვება მიმდინარეობდა წინასწარ შედგენილი სადისკუსიო გეგმის მიხედვით. სადისკუსიო გეგმაში კითხვების 3 ძირითადი ბლოკი გვქონდა და ისინი შეეხებოდა: კიბერბულინგის შესახებ ინფორმირებულობას და დამოკიდებულებას, კიბერბულინგის პირად გამოცდილებას მსხვერპლისა და მჩაგვრელის როლში. საკვლევი თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, რესპონდენტებს ასევე შევთავაზეთ ბარათები, რომელიც მოიცავდა კიბერბულინგის შემთხვევათა სხვადასხვა ტიპს იმ შემთხვევისთვის თუ ამაზე პირადად საუბარი არ სურდათ. ბარათებში კვლევის მონაწილეებს შეეძლოთ მოენიშნათ შემთხვევები, რომელშიც ისინი მსხვერპლის ან განმახორციელებლის როლში ყოფილან. ყველა ინტერვიუ ჩავწერეთ აუდიო ფორზე, რაზეც რესპონდენტების ინფორმირებული თანხმობა მივიღეთ ინტერვიუს დაწყებამდე. საშუალოდ, ინტერვიუთა ხანგრძლივობა შედგენდა 30-35

წუთს. კვლევაში მონაწილე სტუდენტთა სახელები კონფიდენციალობის დაცვის მიზნით შეცვლილია. ასევე დაცულია კვლევის ეკითური ნორმები.

მონაცემების ანალიზის მეთოდები

კვლევის ანალიზისათვის გამოვიყენეთ თვისებრივი კონტენტანალიზი და დისკურსის ანალიზი, კერძოდ კი დისკურსის ანალიზის ინტერაქციულ-სოციოლოგიური მიდგომა. დისკურსის ანალიზის ეს მიდგომა ინტერაქციული სოციოლოგიის, სოციოლინგვისტიკის და საუბრის ანალიზის მიმართულებებს აერთიანებს, რაც დაგვეხმარა საუბრების ვერბალური და არავერბალური ნიშნების გაანალიზებაში (წულაძე, 2019, 252-258). მოცემული მეთოდები შევარჩიეთ ჩვენი კვლევის მიზნისა და ამოცანების საფუძველზე. თვისებრივი კონტენტანალიზის მეშვეობით, შევძელით სიღრმისეულად გაგვეანალიზებინა ჩვენი შერჩევითი ერთობლიობის შინაარსობრივი დეტალები. დისკურსის ანალიზის ინტერაქციულ-სოციოლოგიური მიდგომა კი დაგვეხმარა, დაგვენახა წარმოდგენილ ნარატივებს მიღმა არსებული დეტალები და მოტივები და სიღრმისეულად გაგვეანალიზებინა რესპონდენტთა ინტერვიუსების როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური ელემენტები.

მას შემდეგ, რაც მონაცემების შეგროვება დავასრულეთ, მონაცემების დამუშავების ეტაპზე გადავედით. კერძოდ, ტრანსკრიპტების პირველადი ღია კოდირება გავაკეთეთ, რაც ტექსტებიდან საკვანძო სიტყვების, იდეების და შინაარსის საფუძველზე მოკლე შეჯამებების მომზადებას გულისხმობს. შემდეგ კი კატეგორიები გამოვყავით, რაც არსებულ კოდებს ერთად კრებს და მეტად ორგანიზებულად წარმოგვიდგენს. ანალიზის მომდევნო ეტაპზე მონაცემთა ლოკალური და ინკლუზიური ინტეგრაციის ეტაპები გაკეთდა, რამაც საბოლოოდ მონაცემთა ერთიან, ლოგიკურ ნარატივად წარმოდგენის საშუალება მოგვცა. ლოკალური ინტეგრაციის ეტაპზე თითოეული კოდის ქვეშ არსებული ინფორმაციის ანალიზი და ინტერპრეტაცია გავაკეთეთ, ხოლო ინკლუზიური ინტეგრაციის ეტაპზე კი ცალკეული კოდების ქვეშ არსებული ინფორმაციები, ამონარიდები, ფრაზები ერთმანეთთან მიმართებაში გავანალიზეთ.

კვლევის შედეგები და ანალიზი

ინტერნეტის მოხმარება სტუდენტებში

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ინტერნეტს ყოველდღიურად, საკმაოდ ხშირად მოიხმარს. ისინი ამბობენ, რომ დღის განმავლობაში 4-5 საათს ატარებენ ინტერნეტში. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ისინი ინტერნეტს ძირითადად სოციალურ ქსელ ფეისბუქისთვის იყენებენ. აღნიშნულ სოციალურ ქსელში განხორციელებული ძირითადი აქტივობები კი ასეთია: მუშაობა, ახლობლებთან/მეგობრებთან კომუნიკაცია, სიახლეების გაცნობა.

სტუდენტები ფიქრობენ, რომ ინტერნეტს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ბევრ რამეში ეხმარება, მაინც ბევრი უარყოფითი მახასიათებელი აქვს. ესენია: დროის ფლანგვა, ნეგატიური და ყალბი ინფორმაციები, აგრესიული ფონი, კიბერბულინგი, (რამდენიმემ ახსენა ე.წ. ლურჯი ვეშაპი), კიბერთავდასხმები და პირადი მონაცემების დაუცველობა.

ინფორმირებულობის დონე კიბერბულინგის შესახებ

ცნება კიბერბულინგის აღქმა რესპონდენტებში არაერთგვაროვანია. ისინი ამ ტერმინს ძირითადად ინტერნეტთან აკავშირებენ, ანუ ისინი ამ ცნებას მოიაზრებენ, როგორც ინტერნეტის გზით განხორციელებულ ძალადობას. თავად ცნება კიბერბულინგი მხოლოდ ინტერნეტით განხორციელებულ ძალადობას არ მოიცავს. კოვალსკის განსაზღვრებით, კიბერბულინგი შესაძლოა განხორციელდეს მობილური ტელეფონის ზარებით, სატელეფონო მესიჯებით, მესინჯერით და ა.შ. (Kowalski, 2014). ვფიქრობთ, რომ რესპონდენტთა კიბერბულინგის მხოლოდ ინტერნეტთან დაკავშირება შესაძლოა გამოწვეული იყოს თავად სიტყვის „კიბერ“ ინტერნეტთან ასოცირებით. აგრეთვე, რესპონდენტთაგან კიბერბულინგის ცნების პირდაპირ ინტერნეტთან დაკავშირება და სატელეფონო ზარებისა და მესიჯებზე ნაკლები აქცენტი შესაძლოა იმითაც აიხსნას, რომ დღესდღეობით კიბერბულინგი უფრო მეტად გავრცელებული სწორედ ინტერნეტშია. კიბერმომადლის პლატფორმად ხშირად სწორედ ის ტელეფონები ხდება, რომელიც დაკავშირებულია ინტერნეტთან.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები კიბერბულინგის მაგალითებად ხშირად განიხილავენ ინტერნეტში, სოციალურ ქსელებში დაწერილ კომენტარებს, რასაც ხშირად „ლანძღვადაც“

მოიხსენიებენ. მონაწილეები არ მიუთითებენ კიბერბულინგის დროში განმეორებადობას, ისინი გარკვეულ შემთხვევებში კიბერბულინგად მიიჩნევენ ერთჯერად შემთხვევებსაც, რაც კიბერბულინგის ბუნებას სრულყოფილად ვერ წარმოაჩენს და შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ სტუდენტთა ინფორმირებულობა კიბერბულინგის შესახებ არასრულია.

კიბერბულინგის განხორციელების ხელშემწყობ ფაქტორად სტუდენტთა დიდი ნაწილი ინტერნეტში ბულინგის განხორციელების სიმარტივეს ასახელებს პირისპირ ბულინგთან შედარებით. ასევე, სტუდენტები ინტერნეტში ანონიმურობის შესაძლებლობასაც აღნიშნავენ. ამბობენ, რომ კიბერმჩაგვრელის მიერ თავისი რეალური სახის დამალვა და ამ გზით გამბედაობის შექმნა ინტერნეტში ბევრად გამარტივებულია, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსად გამოკითხული რესპონდენტებისა, კიბერბულინგის პრობლემის სიმწვავის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს მოცუმი საკითხზე მომუშავე მეცნიერთა დიდი ნაწილი სწორედ მის სიმარტივეს ასახელებს.

მიზეზი იმისა, თუ რატომ ახორციელებს ადამიანი კიბერბულინგს, სტუდენტების აზრით, შესაძლოა იყოს პირადი ანგარიშსწორება, პირადი ინტერესები ანდა შური. პირადმა უთანხმოებამ, კონფლიქტმა შესაძლოა ადამიანებს უბიძგოს, ინტერნეტის საშუალებით იდიოს ადამიანზე შური. თუმცა, ასევე სტუდენტები აღნიშნავენ, რომ კიბერბულინგის მიზეზი შეიძლება უბრალო ხუმრობაც იყოს, შესაძლოა კიბერმჩაგვრელს არ ჰქონდეს მსხვერპლის მიმართ ზიანის მიყენების განზრახვა, თუმცა რეალურად დიდი ზიანი მიადგეს მსხვერპლს. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების მიერ ჩამოთვლილი კიბერბულინგის გამომწვევი მიზეზები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ ტოქსიკურ კიბერგარემოს, რაც დღესდღეობით ქართულ სოციალურ მედიაში გვხვდება. ცხადია, ეს დღეს არსებულ ქართულ სოციალურ კონტექსტთან არის დაკავშირებული. სოციალური მედია იქცა სივრცედ, რომელშიც ნეგატიურ დამოკიდებულებებს, უკუკავშირს დაუფარავად გამოხატავენ, რაც სავარაუდოდ ისევ საკუთარი გადაუჭრელი პრობლემებით არის გამოწვეული.

კიბერბულინგის მსხვერპლის როლში გამოცდილება რესპონდენტებში, პირველ რიგში, ემოციურ და ფსიქოლოგიურ ზიანის მოტანასთან ასოცირდება. ისინი ფიქრობენ, რომ ეს მსხვერპლის თვითაღქმასა და თვითშეფასებაზეც შეიძლება უარყოფითად აისახოს. ასევე, ისეთი სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს, როგორცაა: დეპრესია, შფოთვა და

სტრესი. შესაძლოა მსხვერპლს ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემა შეექმნას, მათ შორის მენტალური ჯანმრთელობის, სუიციდური აზრების გაჩენა და ა.შ. უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლოა ადამიანი სუიციდის მსხვერპლი გახდეს.

რესპონდენტებმა კიბერბულინგის მიმართ მოწყვლადობაზე საუბრისას, მოიხსენიეს საზოგადოების შემდეგი ჯგუფები: საზოგადოების დომინანტური მახასიათებლებისაგან განსხვავებული, მარგინალიზებული ჯგუფები, სოციალური აქტივიზმით დაკავებული პირები, ახალგაზრდები, რომელთაც განსხვავებული გარეგნობა, ჩაცმის სტილი აქვთ და ცნობადი სახეები. სტუდენტთა მიერ გამოყოფილი ჯგუფების მიმართ, ცხადია, რომ ქართული საზოგადოება არც თუ ისე ტოლერანტულია, განსაკუთრებით კი უმცირესობათა წარმომადგენლების მიმართ. TDI-ს 2017 წლის კვლევის მიხედვით რესპონდენტებს სექსუალურ, რელიგიურ, თუ ეთნიკურ უმცირესობებზე საუბარიც კი ეუბერხულებათ. მიუღებლობის მიზეზად, კი, რელიგიასა და ქართულ მენტალიტეტს ასახელებენ (TDI, 2017).

კიბერბულინგის გამოცდილება

მოცემული კვლევის ფარგლებში ჩვენს ერთ-ერთ ინტერესს და შესაბამისად, მთავარ საკვლევ კითხვას წარმოადგენდა ის, თუ როგორია სტუდენტების პირადი გამოცდილება კიბერბულინგის კუთხით. რესპონდენტებს კიბერბულინგის გამოცდილებაზეც ვესაუბრეთ როგორც პირადად, ასევე ინტერვიუს მსვლელობისას გადავეცით ბარათები, რომელშიც კიბერბულინგის სხვადასხვა ტიპი იყო ჩამოთვლილი. მათ კი უნდა მოენიშნათ, თუ რომელი ტიპის კიბერბულინგი გადახდენიათ თავს. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა თქვა, რომ კიბერბულინგის შემთხვევა არ ჰქონია, რასაც ხსნიან იმით, რომ სოციალურ ქსელებში ნაკლებად აქტიურობენ, მეგობრებში არ იმატებენ უცხოებს, საჯარო პოსტებზე კომენტარებს არ წერენ და ა.შ. ამის მიუხედავად, მათ ბარათებში მონიშნეს კიბერბულინგის სხვადასხვა ტიპი. კიბერბულინგის მსხვერპლის როლში უმეტესად შემდეგი გამოცდილება ვლინდება: „შევუწუხებივარ უცხო ადამიანს ტელეფონზე ხშირი რეკვით ან/და იმეილზე წერილებით, რამაც შეურაცხყო ან რაიმე სახის ზიანი მომაცენა.“ რაც შეეხება კიბერბულინგის განხორციელებას, აქ უმეტესად შემდეგი გამოცდილება გამოვლინდა „დამიცინია ან გამილანძღავს ვინმე სოციალურ ქსელში.“

ის ფაქტი რომ ჩვენმა რესპონდენტებმა პირისპირ საუბარს პასუხების ბარათზე მონიშვნა ამჯობინეს „სოციალურად სასურველი“ პერფორმანსით შეგვიძლია ავხსნათ, რადგან ადამიანებს უხერხულეხათ იმის გამხელა, რომ კიბერბულინგის მსხვერპლები და ბულერები ყოფილან. შესაძლოა ფიქრობენ, რომ მათმა გამოცდილებამ მსხვერპლის როლში საზოგადოების წინაშე მათ იმიჯზე ნეგატიურად იმოქმედოს. მეორე მხრივ, რა შეიძლება იყოს „უხერხულობის“ მიზეზი? საქართველოში კიბერბულინგის ყველაზე გავრცელებული და ყველასთვის ცნობილი შემთხვევებით თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ რომ კიბერბულინგის მსხვერპლები საქმის გახმაურების შემდეგ ხშირად ხელმეორედ ხდებიან აგრესიის სამიზნეები უკვე საზოგადოების მხრიდან. მოძალადეები კი დაუსჯელები რჩებიან. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ქალი პოლიტიკოსების და ჟურნალისტების წინააღმდეგ განხორციელებული კიბერბულინგის შემთხვევები, როდესაც მათ პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს უვრცელებდნენ შერცხვენის მიზნით (ჩემი პარლამენტი, 2019). შესაბამისად, კიბერბულინგის არამხოლოდ განმახორციელებლის, არამედ მსხვერპლის როლში ყოფნაც კი სტიგმასთან, მარგინალიზებასთან და სხვადასხვა სტერეოტიპებთან ასოცირდება, განსაკუთრებით ქალებისთვის. ხსენებული მითები და სტერეოტიპები ხშირად გვხვდება საჯარო დისკურსში, როგორც ინტერნეტ, ასევე სატელევიზიო სივრცეში, სადაც ცხადად ჩანს დღევანდელი სოციალური კონტექსტი და საზოგადოებრივი გულგრილობა. „გამოიწვია და იმიტომ იძალადა“ - მსგავსი ფრაზები დღეს ძალიან ხშირია. სწორედ მსგავსი წარმოდგენების გამო, ხშირად, მსხვერპლი საზოგადოების თვალში თავად იქცევა ხოლმე დამნაშავედ. ბოლო დროს გახმაურებული შემთხვევაც სწორედ ამ მოსაზრების დასტურია, როდესაც 14 წლის გოგომ 21 წლის ბიჭის განმეორებითი შანტაჟის ნიადაგზე თავი მოიკლა, მისმა ბაბუამ კი თქვა, რომ ამით შვილიშვილმა საკუთარი დანაშაული გამოსიყიდა (REGinfo, 2021).

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერითა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან თანამშრომლობით ჩატარებული კვლევის მიხედვით ქალთა 3,5% აცხადებს, რომ ცხოვრების მანძილზე, ადევნების სხვადასხვა ფორმა გამოუცდია, ხოლო 3,3%-სათვის გასული 12 თვის განმავლობაში ადევნების ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა შეურაცხმყოფელი ან მუქარის შემცველი ტექსტური შეტყობინებები ან ელექტრონული წერილები (2%), უმიზეზო ლოდინი ან ადევნება (1%) და შეურაცხმყოფელი,

მუქარანარევი ან უხმო ზარები (1%) (ჩიტაშვილი, ჯავახიშვილი, არუთინოვი, წულაძე და ჩაჩანიძე, 2010). თუმცა აღსანიშნავია, რომ მოცემული სტატისტიკა, საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, შესაძლოა რეალისტურად ვერ აღწერდეს სურათს. ჩვენს კვლევაშიც გამოვლინდა, რომ კიბერბულინგის შემთხვევების უმეტესობა კაცის მხრიდან ქალის შევიწროვებას უკავშირდება, სადაც მისი ობიექტივიზაცია და სექსუალიზება ხდება. ამას კი ისევ საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებამდე მივყავართ ქალის სექსუალობისა და სირცხვილის შესახებ. ამის მაგალითები მრავლადაა ბოლო პერიოდშიც, როდესაც არასრულწლოვან გოგოებს ბიჭები აშანტაჟებდნენ სექსუალური შინაარსის მიმოწერებისა და ვიდეო და ფოტო მასალების გავრცელებით (on.ge, 2019). დასაწყისში ვახსენეთ დაუსჯელობის სინდრომიც, რასაც ჩვენი კვლევა ეხება. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მას მობილური ტელეფონის მეშვეობით სისტემურად უკავშირდებოდა პიროვნება, რომელსაც ეუბნებოდა, რომ მასთან კონტაქტი არ სურდა. „სულ მირეკავდა და შეხვედრას მთხოვდა, უარს რომ ვეუბნებოდი აგრესიული ტონით ლაპარაკზე გადავიდა, ბოლოს შეურაცხყოფელი ფრაზებით მომმართავდა.“ (მარიამი, 23 წლის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი). აღსანიშნავია, რომ მარიამმა დასახმარებლად ძმას მიმართა. მას პოლიციის ჩარევა არ სურდა, რაც შესაძლოა იმითაც იყოს გამოწვეული, რომ არ ჰქონდა სახელმწიფოს მხრიდან დახმარების და პრობლემის გადაჭრის მოლოდინი. ესეც არსებული სოციალური კონტექსტიდან გამომდინარეობს და საქართველოში პოლიციისა და სასამართლო სისტემის ხარვეზების დასტურია. კავკასიის ბარომეტრის 2020 წლის კვლევის მიხედვით, სასამართლო სისტემას გამოკითხულთა მხოლოდ 26% ენდობა (CRRC Georgia, 2020).

კვლევაში მონაწილე სტუდენტები კიბერბულინგის საკუთარ გამოცდილებაზე საუბრისას აღნიშნავენ სექსტინგის, როგორც კიბერბულინგის შემთხვევებს. მარიამი, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტი, ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას იხსენებს, რომელიც სოციალურ ქსელ ფეისბუქში მოხდა. მას უცნობი მამაკაცი უგზავნიდა შეტყობინებებს, რომელიც შეიცავდა სექსუალურ შინაარსს, ასევე ფოტოებს. ის ამბობს, რომ მოძალადის მხრიდან მუქარაც იყო, რომ მას მოიტაცებდა. მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც უნდა აღვნიშნოთ, არის ის, რომ მარიამი საკუთარ გამოცდილებაზე საუბრისას იძაბება, ჩანს, რომ მას არ სურს მოცემულ საკითხზე დეტალურად საუბარი. თავდაპირველად, ცდილობს, რომ ამ საკითხზე საუბარი თავიდან

აირიდოს, რისთვისაც გოფმანის ე.წ „კოდის გადართვას“ მიმართავს. ამბობს, რომ ჰქონია ასეთი შემთხვევა თუმცა ისეთი სერიოზული არა, რომ მასზე საუბარი ღირდეს. თუმცა, შემდგომ საკითხზე ჩაღრმავებისას რესპონდენტი მეტად იხსენბა და ინტერვიუერისთვის შესამჩნევი ხდება, რომ ღელვა ნელ-ნელა ეხსენება რესპონდენტს. ის ფაქტი, რომ მოცემულ საკითხზე საუბარი რესპონდენტს ერთგვარ უხერხულობას უქმნის, ერთის მხრივ შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ შემთხვევა რესპონდენტისთვის ნეგატიურ, შესაძლოა ტრავმულ გამოცდილებას უკავშირდება, რის გამოც ცდილობს საუბარს თავი აარიდოს, მეორეს მხრივ კი ეს ქართულ სოციალურ კონტექსტსაც უსვამს ხაზს, რომ ქართული საზოგადოების წევრები ჯერ კიდევ არ არიან მზად იმისათვის, რომ მსგავს საკითხებზე ღიად, გამბედავად ისაუბრონ. მოცემული შემთხვევა ხაზს უსვამს იმას, რომ განსაკუთრებით რთულია მსგავს გამოცდილებაზე საუბარი ქალებისთვის, რომელთა მიმართაც ხშირად ქართული საზოგადოება არატოლერანტულია.

ანა იხსენებს ორ ასეთ შემთხვევას, ერთს სტუდენტობის პერიოდში, მეორეს კი - სკოლის პერიოდში. სტუდენტობის პერიოდში ჰქონდა შემთხვევა, როდესაც ფეისბუქში უცნობი ადამიანი სწერდა სექსუალური კონტენტის შემცველ მესიჯებს: „ერთი ადამიანი პერიოდულად მწერდა უხამსი შინაარსის მქონე ტექსტებს, დაახლოებით 1-2 წლის წინ,“ მეორე შემთხვევაზე იხსენებს - „ასევე თინეიჯერობის პერიოდში მქონდა შემთხვევა, როცა „სკაიპში“ ნათესავისგან ზარს ველოდებოდი და უცნობი ადამიანისგან შემოვიდა ზარი. ვუპასუხე, ნათესავი მეგონა და ვიღაც უცნობი ადამიანი იყო, შიშველი, ზრდასრული მამაკაცი, მაშინვე გავთიშე, ძალიან შემეშინდა.“ მისი თქმით, ამ შემთხვევამ იმდენად სერიოზული ზემოქმედება მოახდინა მასზე, რომ დღემდე სიფრთხილით მოიხმარს ამ სოციალურ ქსელს. კვლევაში მონაწილე სტუდენტების სიტყვებში ჩანს არამხოლოდ ის, თუ რამხელა ზიანი შეიძლება მიაყენოს კიბერბულინგმა მსხვერპლს, ასევე, როგორც სხვადასხვა ავტორი აღნიშნავს, ჩანს, რომ კიბერბულინგის განსაზღვრა გარკვეულ შემთხვევებში რთულდება, რადგანაც ის შესაძლოა მსხვერპლმა საკუთარი ძალებით შეაჩეროს და შესაბამისად, მოძალადემ დროში რამდენჯერმე ვერ იმოქმედოს, როგორც მაგალითად, კვლევის მონაწილე აღნიშნავს, რომ მჩაგვრელის ანგარიში დაბლოკა. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში ქმედება განხორციელდა მეორე პირის ნებართვის გარეშე, რაც სექსტინგს მოცემულ შემთხვევებში კიბერბულინგად აქცევს.

კვლევის ერთ-ერთი მონაწილე, საბა, იხსენებს შემთხვევას, რომელიც დაკავშირებულია მის ჯგუფელთან. მან სოციალურ ქსელ ფეისბუქში მეგობრებში დაიმატა ჯგუფელი გოგონა, რომელსაც საუნივერსიტეტო დავალების შესახებ რამდენჯერმე მისწერა. გარკვეული დროის შემდეგ კი უცნობი პირისგან იღებს წერილს ისევ ფეისბუქის საშუალებით, რომელიც შეიცავდა მუქარას. წერილში აღნიშნული იყო, რომ ის მისი ჯგუფელის შეყვარებული იყო, რომელიც ფეისბუქში დაიმეგობრა და რომ აღარ მიეწერა მისთვის, თორემ მასთან კონფლიქტი ექნებოდა. საბამ თქვა, რომ მისი ჯგუფელის პროფილის შემოწმებისას აღმოაჩინა, რომ მას უკვე წაშლილი ჰყავდა მეგობრებიდან. მოცემული შემთხვევა შეიძლება მივაკუთვნოთ კიბერბულინგს, რადგან მესიჯი მოიცავს მუქარას, მუქარა კი კიბერბულინგის ერთ-ერთ ძირითად გამოვლინებას წარმოადგენს. ალენს (Allen) და ოვენს (Awan) თავიანთ ნაშრომებში, რომელიც ისლამოფობიას ეხებოდა, მუქარა წარმოადგენილი აქვთ კიბერბულინგის ერთ-ერთ ყველაზე რთულ ფორმად, რადგან ვერბალური მუქარა მსხვერპლში იწვევს შიშს, რომ ეს შესაძლოა ფიზიკურად, მატერიალურად განხორციელდეს (Tornberg & Tornberg, 2016). ჩვენს რესპონდენტში ამას შესაძლოა შიში გამოეწვია, რომ ყველაფერი პირისპირ კონფლიქტში გადაიზრდებოდა და ფიზიკური ზიანი დაემუქრებოდა.

გარდა იმისა, რომ საბას მიერ მოყოლილ ამბავში საკმაოდ რთული კიბერბულინგის შემთხვევაა აღწერილი, რაც ონლაინ სივრცეში მუქარას მოიცავდა, ასევე მკაფიოდ აჩენს იმ რთულ სოციალურ კონტექსტს, რომელშიც ქალებს უწევთ ცხოვრება. პარტნიორის მხრიდან კონტროლი, მათ შორის პირადი სოციალური ქსელების გაკონტროლება, რომელიც აღწერილ შემთხვევაშიც ნათლად ჩანს, გვაჩვენებს, ქართულ საზოგადოებაში ქალთა მიმართ ჯერ კიდევ მრავალ შემზღვეველ ფაქტს ვაწყდებით.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოცემული კვლევა აჩვენებს ტენდენციას, რომ სტუდენტების ცოდნა კიბერბულინგის შესახებ არასრულია, რადგანაც ისინი კიბერბულინგად ერთჯერად შეურაცხმყოფელ კომენტარს თუ სხვა სახის კონტენტსაც მიიჩნევენ, რაც კიბერბულინგის განსაზღვრების მიხედვით ვერ ჩაითვლება ამ ტიპის დანაშაულად. რაც შეეხება კიბერბულინგის მიერ გამოწვეულ ზიანს, სტუდენტები ნათლად აანალიზებენ იმ საფრთხეებს, რაც შესაძლოა კიბერბულინგის მსხვერპლს მიადგეს, თუმცა დასახმარებლად

იშვიათად მიმართავენ პოლიციას და ამჯობინებენ თავად გამოსწორონ პრობლემა ან ოჯახის წევრს მიმართონ, რაც პოლიციის მიმართ უნდობლობით ან საზოგადოების რეაქციის შიშით შეიძლება აიხსნას. ეს უკანასკნელი იმაშიც გამოიხატება, რომ მათ პირისპირ თავიანთ გამოცდილებაზე საუბარს ურჩევენიათ ბარათებზე, ანონიმურობის დაცვით მონიშნოთ თავიანთი პირადი გამოცდილების შესაბამისი პასუხი. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ კიბერბულინგის ტრადიციული განსაზღვრება, გარკვეულ შემთხვევებს კიბერბულინგის კვალიფიკაციის გარეთ ტოვებს, რაც იმით არის განპირობებული, რომ თანამედროვე ტექნოლოგიის სწრაფი განვითარება მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, რომ ბუღერს კიბერბულინგის დროში რამდენჯერმე განხორციელება შეუზღუდონ.

სტუდენტების ნარატივებიდან იკვეთება, რომ კიბერბულინგის შემთხვევების მიმართ ეს ჯგუფი მართლაც მოწყვლადია. კვლევაში მონაწილე სტუდენტები საუბრობენ საკუთარ გამოცდილებებზე. კვლევის მონაწილეები ყოფილან კიბერბულინგის მსხვერპლები, რაც დროში განმეორებადი მუქარით, კიბერშევიწროვებით, სექსტინგის სახით გამოვლინდა. კიბერბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ უნდა ითქვას, რომ რესპონდენტების უმეტესობა ამჯობინებს თავად გადაჭრას პრობლემა და გამოყოფენ თავდაცვის შემდეგ საშუალებებს: იგნორირება, სოციალური ქსელებში მომხმარებლის დაბლოკვა/გასაჩივრება და ძალადობაზე ძალადობით პასუხი.

სასურველი იქნებოდა ქვეყნის მასშტაბით კიბერბულინგის შესახებ ცნობადობისა და მისი გამოცდილების შესწავლა სტუდენტებში. მოცემულმა კვლევამ მნიშვნელოვანი კავშირი დაგვანახა გენდერსა და კიბერვიქტიმიზაციას შორის, თუმცა მოცემული კვლევის ფარგლებში ეს საკითხი ღრმად ვერ შევისწავლეთ. ამიტომ, ვფიქრობთ, ამ საკითხს ცალკე სიღრმისეული შესწავლა სჭირდება. ამას გარდა, აუცილებელია კვლევების ჩატარება მოზარდებში, რადგან სწორედ 10-18 წლამდე პირებშია ყველაზე ხშირი კიბერბულინგის შემთხვევები.

ბიბლიოგრაფია

Akbulat, Y., Erest, B. (2011). Cyberbullying Victimization among Turkish university students. Australian journal of educational technology.

Carter, A. C., (2013). Third party observers witnessing cyber bullying on social media sites. Elsevier Ltd.

CRRC Georgia (2020). Caucasus Barometer: Georgia 2020.

CRRC Georgia (2017). Caucasus Barometer: Georgia 2017.

Donegan, R. (2012). Bullying and Cyberbullying: History, Statistics, Law, Prevention and Analysis. Elon University.

End Cyberbullying, (2017). What is the end to cyber bullying organization? Retrieved From: <http://www.endcyberbullying.org/about-us/> 14.01.2021.

Faucher, C., Jackson, M., Cassidy, W. (2014). Cyberbullying Among University Students: Gendered Experiences, Impacts, and Perspectives. Windawi Publishing Corporation.

Finn, J. (2004). A survey of online harassment at a university campus. Journal of Interpersonal Violence 19(4).

Hinduja, S. Patchin, W. J. (2007) Bullying, Cyberbullying, and Suicide. Cyberbullying Research Center.

Hinduja, S. Patchin, W. J. (2016). Cyberbullying Victimization. Cyberbullying Research Center.

Jones, R. (2012). Discourse Analysis.

Kokkinos, M., Antoniadou, N., Markos, A. (2013). Cyber-bullying: An investigation of the psychological profile of university student participants. Journal of Applied Developmental Psychology 35.

Koplewicz, H. (2010). The Psychiatric Issues Behind Cyberbullying. Huffpost. Retrieved from: https://www.huffingtonpost.com/dr-harold-koplewicz/the-psychiatric-issues-be_b_655556.html

Kowalski, R. M., Giumetti, G. W., Schroeder, A. N., Lattanner, M. R. (2014). Bullying in the Digital Age: A Critical Review and Meta-Analysis of Cyberbullying Research Among Youth. ResearchGate.

Leiner, B., Cerff, V., Clark, D., Kakh, R., Kleinrock, L., Lynch, D., Postel, J., Roberts, L., Stephen, W. (2009). A Brief History of the Internet. CCR.

Popović-Ćitić, B., Djurić, S., & Cvetković, V. (2011). The prevalence of cyberbullying among adolescents: A case study of middle schools in Serbia. *School Psychology International*

Smith, P. (2008). Cyberbullying: Another main type of bullying? *Scandinavian Journal of Psychology*. Vol. 48.

Smith, P. K., Mahdavi, J., Carvalho, M., Fisher, S., Russell, S., & Tippett, N. (2008). Cyberbullying: Its nature and impact in secondary school pupils. *Wiley Online Library*. Retrieved From: <https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1111/j.1469-7610.2007.01846.x> 13.01.2021.

Statista. (2018). Distribution of Facebook users in the United States as of January 2018, by age group and gender. Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/187041/us-user-age-distribution-on-facebook/> 07.12.2020.

Statista. (2021). *Most popular global mobile messenger apps as of July 2021, based on number of monthly active users*. Retrieved from: <https://www.statista.com/statistics/258749/most-popular-global-mobile-messenger-apps/>

Unicef. (2017). მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა: ბავშვები ციფრულ სამყაროში.

Wong, R., Cheung, C., Xiao, B. (2018). Does gender matter in cyberbullying perpetration? An empirical investigation. *Computers in Human Behavior*, vol 79 Issue C.

Xiao, B. S., Wong, Y. M. (2013). Cyber-bullying Among University Students: An Empirical Investigation from the Social Cognitive Perspective. International Journal of Business and Information, Vol 8.

World Value Survey, (2014), Wave 6: 2010-2014

Zhang, A., Land, L., Dick, G. (2010). Key Influences of Cyberbullying for University Students.

On.ge. (2019, თებერვალი, 25). არასრულწლოვნების პირადი ცხოვრების კადრების ინტერნეტში შესაძლო ატვირთვაზე გამოძიება დაიწყო.

TDI. (2017). სტუდენტების განწყობა უმცირესობებისადმი და მედიის როლი. თბილისი.

REGinfo. (2021, თებერვალი, 12). 14 წლის გოგონამ თავი გამოძიების გაჭიანურების გამო მოიკლა. ხელმისაწვდომია მისამართზე: https://reginfo.ge/people/item/21046-14-xlis-gogonam-tavi-gamowiebis-gachianurebis-gamo-moikla-axali-detalebi?fbclid=IwAR3_gvpFOjs7tDhzHhOOSEOW4CpcYlvMGnp8n1vLLn6rXfpLBXo7AzT7sIE 05.05.2021

ჩემი პარლამენტი. (2019, ნოემბერი 5). რა გამოწვევების წინაშე დგას საზოგადოებრივად აქტიური ქალი საქართველოში. ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.chemiparlamenti.ge/ka/publication/ra-gamocvevebis-cinashe-dgas-sazogadoebrivad-aktiuri-kali-sakartveloshi> 10.01.2021

ჩიტაშვილი, მ., ჯავახიშვილი ნ., არუთინოვი, ლ., წულაძე, ლ., ჩაჩანიძე, ს. (2010). ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში. თბილისი.

წულაძე, ლ. (2020). სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მიხეილ ოსიშვილი

ზერბაიჯანის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების სოციალურ-კულტურული ინტეგრაცია არსებულ საზოგადოებაში და მათი თვითიდენტობა

აბსტრაქტი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ეთნოსს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა წარმოადგენს, რომელსაც თანაცხოვრება უწევს განსხვავებული კულტურის, რელიგიისა და ტრადიციების მქონე საზოგადოებაში. ამას კი ხშირად სდევს გარკვეული სახის პრობლემები და მთელ რიგ შესაძლებლობებთან შეზღუდული წვდომის არსებობა. სწორედ ამიტომ, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის ხარისხის განსაზღვრა და მათი თვითიდენტობის კვლევა. აქედან გამომდინარე გამოიკვეთა ძირითადი ამოცანები: 1) აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების ადგილობრივ კულტურასთან ადაპტაციის ხარისხის შეფასება, 2) მათი ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათება, 3) ქართველების კულტურული თვითიდენტობის ძირითადი ასპექტების გამოვლენა, 4) ქართველების პოლიტიკური და სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობა, 5) „ქართველების თვალთ დახახული“ აზერბაიჯანელთა განწყობების შეფასება მათ მიმართ, 6) გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის საჭირო სტრატეგიების განსაზღვრა სამიზნე ჯგუფის მიერ. კვლევა ჩატარდა თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. შერჩევამ მოიცვა 249 რესპონდენტი. რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა პროგრამა SPSS-ში. გამოვლენილ შედეგებს შორის აღსანიშნავია: 1) კახის რაიონში მცხოვრები ეთნიკურად ქართველები დღემდე ინარჩუნებ ქართულ ტრადიციებს, კულტურასა და რელიგიას. 2) მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა თითქმის აზერბაიჯანელების მსგავსია. 3) პოლიტიკურ და სამოქალაქო საქმიანობაში ჩართვისას გარკვეულ პრობლემებს აწყდებიან. 4) გარკვეულ პრობლემებს აწყდებიან სწავლების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობები, აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველები, კულტურული ინტეგრაცია, სოციალური ინტეგრაცია, დისკრიმინაცია.

შესავალი

ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, წარსულიდან მოყოლებული ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო საკუთარი ტერიტორიებისა და მოქალაქეების შენარჩუნება. სხვადასხვა მიზეზის გამო, ისტორიის გარკვეულ ეტაპზე რამდენიმე რეგიონი ჩამოშორდა ჩვენი ქვეყნის შემადგენლობას და ძირითადად მეზობელ სახელმწიფოთა საზღვრების ფარგლებში შევიდა. ერთ-ერთ ასეთ დიდ ქართულ ეთნოსს წარმოადგენენ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, საინგილოში, მცხოვრები ქართველები.

საინგილო ეწოდება მხარეს, რომელიც საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და დღესდღეობით კახის, ზაქათალასა და ბელაქანის რაიონებით აზერბაიჯანის ფარგლებშია მოქცეული. ის საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა 1921 წლამდე, მაგრამ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლის შემდგომ, აზერბაიჯანს გადაეცა.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, 14 877 ქართველი ცხოვრობს, მათ შორის: ქ. ბაქოში – 2340, კახის რაიონში – 7450, ბელაქანის რაიონში – 1731, ზაქათალის რაიონში – 3071 და სხვა რეგიონში – 285. არაოფიციალური მონაცემებით კი აზერბაიჯანში მცხოვრები თანამემამულეების რაოდენობა გაცილებით მეტია. რეგიონში ქართველები, ძირითადად, ცხოვრობენ შემდეგ სოფლებში: კახის რაიონი – კახინგილო, ქოთოქლო, ალიბეგლო, მეშაბაში, ალათემური; ზაქათალის რაიონი – მოსული და ალიაბადი; ბელაქანის რაიონი – ითითალა. ქართველები ასევე ცხოვრობენ სხვა სოფლებშიც (დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2015).

საინგილოში მცხოვრები ქართველები განსხვავდებიან რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით. ქრისტიანი ინგილოები ცხოვრობენ კახის რაიონის სოფლებში, მუსლიმები კი ზაქათალასა და ბელაქანში. კახის რაიონში არსებობს 2 ქართული მოქმედი ეკლესია: კახის წმინდა გიორგის სახელობის და ალიბეგლოს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიები. აგრეთვე, არის რამდენიმე ტაძარი, რომლებიც არაა მოქმედი. მათგან აღსანიშნავია, ქურმუხის წმინდა

გიორგის სახელობის ეკლესია, სადაც მხოლოდ წელიწადში ორჯერ, გიორგობის დღესასწაულზე, აღევლინება ლოცვა.

საყურადღებოა, ფაქტი იმის შესახებ, რომ მუსლიმ ინგილოთა რიგ სოფლებში ქართულად აღარ მეტყველებენ. გარდა ამისა, ქართული სახელები და გვარები შეცვლილი აქვთ. თუმცა, ის მუსლიმი ინგილოები, რომლებმაც დღემდე შემოინახეს ქართული ენა, უფრო სალიტერატურო ქართულს ლაპარაკობენ, ვიდრე ქრისტიანი ინგილოები. ეს გამოწვეული იმით, რომ მუსლიმ ინგილოთა სოფლები, ქვემოთ, ალაზნის მახლობლად მდებარეობს, რის გამოც საქართველოსთან, წითელწყაროს რაიონის ქართველებთან უფრო მჭიდრო და ხშირი ურთიერთობა აქვთ.

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ყოფა და მათი პრობლემები დღემდე არ არის საფუძვლიანად შესწავლილი, არც საქართველოს და არც აზერბაიჯანის მიერ. მათდამი ინტერესი სახელმწიფოსა და სხვა კერძო ორგანიზაციების მხრიდან არც თუ ისე მაღალია. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ არ მოიძებნება არანაირი კვლევა, რომელიც შეეხება აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების ყოფა-ცხოვრებას, მათ საჭიროებებს, პრობლემებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სწორედ ამიტომ, გამომდინარე იქიდან, რომ ისინიც ჩვენი ეთნოსის წარმომადგენლები არიან და საკუთარ თავს ქართველებად მოიხსენიებენ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება აზერბაიჯანულ საზოგადოებაში მათი სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის ხარისხისა და თვითიდენტობის კვლევა. ეს საშუალებას მოგვცემს დავინახოთ, თუ რა სახის ბარიერებს აწყდებიან მოცემულ საზოგადოებაში და როგორია მათი ყოფა საქართველოს მიღმა, ისევე „საქართველოში“.

ლიტერატურის მიმოხილვა

ინდივიდებისათვის საკუთარ თავში გარკვევა და გარემოში ორიენტირება იმაზე გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს საუკუნეების წინ იყო შესაძლებელი. ადამიანები მუდმივად ინფორმაციული ნაკადების ძლიერ შემოტევებს ექვემდებარებიან და იდენტობის ძიებაში არიან. ცხოვრება მრავალფეროვანი და წინააღმდეგობრივი კულტურული ელემენტების გარემოცვაში მიმდინარეობს. რაც დრო გადის, მით უფრო მეტად რთულდება ამ სამყაროში საკუთარი ადგილისა და იდენტობის პოვნა (Linger, 2007).

აღსანიშნავია, რომ ერიკ ერიქსონის თვალსაზრისით, იდენტობა ყალიბდება სოციალურ ინტერაქციაში და ის განსაზღვრულია სოციალურ-კულტურული კონტექსტით. პოსტმოდერნისტები კი იდენტობას პიროვნების მოძრავ სიტუაციურ ასპექტად განიხილავენ, მაგალითად რომელიმე სოციალური ერთობის კუთვნილებით. თანამედროვე სოციალურ სამეცნიერო დისკურსში იდენტობის ამგვარი მნიშვნელობები ნაწილობრივ კვლავაც ნარჩუნდება, თუმცა, მისი მნიშვნელობა დღეს უფრო დახვეწილი და შინაგანად დატვირთულია (Orlova, 2010).

კოლექტიური კუთვნილებისა და იდენტობის ცნება საკმაოდ ახალია. ის უახლეს წარსულში შემოიტანა იტალიელმა მკვლევარმა, ანტონიო მელუჩიმ. მისი აზრით, კოლექტიური იდენტობა სოციალური იდენტობისაგან იმით განსხვავდება, რომ ის აღნიშნავს არა ინდივიდის ადგილს ჯგუფში, არამედ მთლიანად ჯგუფის (თავად ჯგუფის) იდენტობას. კოლექტიური იდენტობა ვლინდება ჯგუფურ/სოციალურ მოქმედებაში. მელუჩი მიუთითებს, რომ კოლექტიური იდენტობა ინდივიდთა კოლექტიური აქტივობისა და საზიარო აქტივობის რეპრეზენტაციას წარმოადგენს. ის გამყარებულია ჯგუფის წევრებს შორის ინტენსიური კომუნიკაციით. ჯგუფს შიგნით (in-group) ინტენსიური კომუნიკაციის გარეშე კოლექტიური იდენტობა ქრება. კოლექტიური იდენტობის ცნება ჯგუფური/სოციალური მოქმედების საინტერპრეტაციო კონცეპტუალური ინსტრუმენტია მაშინ, როცა სოციალური იდენტობა მხოლოდ ინდივიდუალური თვითკატეგორიზაციის პროცესს აღწერს (Meluci, 1996).

არსებული საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ჯონ ბერის მიერ შემუშავებული აკულტურაციისა და ადაპტაციის თეორია, რომელშიც აღნიშნავს რომ, ახალ გარემოში მოხვედრილ ჯგუფებს უწევთ, გაიარონ ფსიქოლოგიური, სოციოკულტურული და ეკონომიკური ადაპტაციის ეტაპები. იგი საუბრობს აკულტურაციაზე და განსაზღვრავს მას, როგორც ფენომენს, რომელიც ასახავს ურთიერთობის პროცესში ჯგუფთა კულტურული პატერნების ცვლილებას. (Berry, 1997).

ამის საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს ფრანგი მკვლევარი, კამილერი საკუთარ თეორიაში „სოციალიზაცია და თვითიდენტობის სტრატეგიები“, რომელშიც იგი წერს ინკულტურაციაზე, რაც გულისხმობს ადაპტაციისას მიმდინარე განსხვავებული ჯგუფების კულტურული ღირებულებების ათვისებას. ჯონ ბერი კი აღნიშნავს, რომ ინკულტურაცია და აკულტურაცია

თითქმის ერთმანეთის მსგავსი ცნებებია, თუმცა გამოყოფს ერთ-ერთ მნიშვნელოვან განსხვავებას, რაც ინკულტურაციას ახალი კულტურის ჩამოყალიბების მიმართ მეტი ინტერესით გამოარჩევს (Berry, 1997).

კამილერი თავის თანაავტორ მალევსკა-პიერთან ერთად ხაზს უსვამს ახალ კულტურასთან ადაპტაციის პროცესში ინტეგრაციის მნიშვნელობას. ინკულტურაცია არ განსხვავდება სოციალიზაციისა და განათლების მიღებისაგან. როგორც ავტორები აღნიშნავენ, ინდივიდი მზად უნდა იყოს დესოციალიზაციისა და რესოციალიზაციისთვის. მათ ყველანაირი კულტურული წესებისა და ღირებულებების დაცვით უნდა მოახერხონ, საზოგადოებაში პატივსაცემი წევრები გახდნენ. კულტურა მთავარი მაინტეგრირებელი სისტემაა, ინტეგრაცია კი კულტურულ ცვლილებათა შედეგების საუკეთესო გზაა. ინდივიდებმა უნდა მოახერხონ საკუთარი იდენტობის დაცვა და ამავდროულად ყოველგვარი წინააღმდეგობების გადალახვით ახალ კულტურასთან ინტეგრაცია, რათა არ მოხდეს მათი დისკრიმინაცია.

კამილერი და მალევსკა-პიერი იდენტობის კოჰერენტულობის შენარჩუნების ორ ძირითად, ონტოლოგიურსა და პრაგმატულ სტრატეგიებს გამოყოფენ, რომლის მიხედვით, ინდივიდმა უნდა დაიცვას საკუთარი და ამავდროულად უნდა გაიზიაროს მიმღები კულტურული ღირებულებები. როგორც ავტორები ხსნიან, ონტოლოგიური სტრატეგია გულისხმობს საკუთარი კულტურის ერთგულებას, ხოლო პრაგმატული - დომინანტურ კულტურასთან შეგუებას და მისი ღირებულებების გაზიარებას. ინდივიდმა შეიძლება სტრატეგიები მარტივ და რთულ დონეზე გამოიყენოს, რის მიხედვითაც იგი ირჩევს ორი სტრატეგიიდან ერთ-ერთს, ან ახდენს მის სინთეზს. მარტივ დონეზე, ინტეგრაციის პროცესში კონფლიქტისა და სტიგმატიზაციის თავიდან არიდების სამი სტრატეგია გამოიყოფა. პირველი ონტოლოგიურია და საკუთარ კულტურულ ღირებულებებს ებღაუჭება. მეორე სტრატეგია პრაგმატულია და ინდივიდები მაშინ მიმართავენ, როდესაც სტრესულ სიტუაციაში იმყოფებიან და შესაძლოა გააკეთონ ის, რასაც სხვა დროს არ გააკეთებდნენ. ხოლო მესამე სტრატეგიას „ქამელეონის იდენტობას“ უწოდებენ, რომლის ქმედებებსაც გარემოებები განაპირობებენ (Malewska-Peyre, H., & Camilleri, C., 1997).

ამგვარად, ჩანს, რომ განსხვავებულ კულტურასთან ინტეგრაციის სხვადასხვა გზა არსებობს, რომელიც, რა თქმა უნდა, აისახება ინდივიდის თუ კოლექტივის იდენტობაზე. საინტერესოა,

ამ მხრივ, როგორი მდგომარეობაა აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველებთან და ისინი დღემდე არიან საკუთარი იდენტობის მატარებლები თუ მოუწიათ დომინანტურ კულტურასთან შეგუება.

მეთოდოლოგია

საკვლევ მიზანს წარმოადგენდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის ხარისხის განსაზღვრა აზერბაიჯანულ საზოგადოებაში და მათი თვითიდენტობის კვლევა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- ისტორიული ჰერეთის რეგიონში მცხოვრები ქართველების ადგილობრივ აზერბაიჯანელთა კულტურასთან ადაპტაციის ხარისხის შეფასება.
- ისტორიული ჰერეთის რეგიონში მცხოვრები ქართველების ზოგადი სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათება და ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირება.
- ისტორიული ჰერეთის რეგიონში მცხოვრები ქართველების კულტურული თვითიდენტობის ძირითადი ასპექტების გამოვლენა.
- ისტორიული ჰერეთის რეგიონში მცხოვრები ქართველების პოლიტიკურ და სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობის ხარისხის იდენტიფიცირება.
- ისტორიული ჰერეთის რეგიონში მცხოვრები „ქართველების თვალთ დასახული“ აზერბაიჯანელთა განწყობების შეფასება მათ მიმართ.
- გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის საჭირო სტრატეგიების განსაზღვრა სამიზნე ჯგუფის მიერ.

აღნიშნული თემის შესასწავლად, შეირჩა თვისებრივი და რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. თვისებრივი მეთოდის ფარგლებში ჩატარდა ფოკუს ჯგუფი. მისი დადებითი მხარე მდგომარეობდა იმაში, რომ მცირე დროში არსებული თემის შესახებ, ერთდროულად რამდენიმე რესპონდენტის გამოკითხვისა და სიღრმისეული ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლეოდა. საკვლევ თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, კითხვა-პასუხის დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რესპონდენტთა გულახდილობა, რაც

მაგალითად, სიღრმისეული ინტერვიუსთან შედარებით, ფოკუს-ჯგუფის პირობებში უფრო მარტივი მისაღწევია, რადგან ერთი წევრის გულწრფელობა, გარკვეულ ეფექტს სხვებზეც ახდენს. აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა ფოკუს ჯგუფის გზამკვლევი, რომელმაც ფაქტობრივად, საკითხის შესასწავლად საჭირო ყველა მინიშნელოვანი შეკითხვა მოიცვა.

ვინაიდან კვლევის სამიზნე ჯგუფს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური ქართველები წარმოადგენდნენ, ფოკუს ჯგუფების ჩატარება დაიგეგმა ეროვნული უმცირესობებით ყველაზე კომპაქტურად დასახლებული რეგიონის მთავარ ქალაქში-კახში და სოფელ ალიბეგლოში. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი და საბოლოო ჯამში გამოიკითხა 24 რესპონდენტი, აქედან 13 მდედრობითი, ხოლო 11 მამრობითი სქესის წარმომადგენელი, რომელთა ასაკიც მერყეობდა 19 წლიდან 83 წლამდე. რესპონდენტთა შერჩევის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული იყო მათი გათვითცნობიერებულობა ამ საკითხის მიმართ და თითოეული მათგანი შესასწავლი სოციუმის წევრი იყო. იმისათვის, რომ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა ჰომოგენურობა დაცული ყოფილიყო, ასაკობრივი კატეგორიების გამოყოფასთან ერთად, მონაწილეები შეირჩნენ განათლებისა (საშუალო, პროფესიული და უმაღლესი) და დასაქმების სტატუსის (დასაქმებული და დაუსაქმებელი) მიხედვითაც.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა აზერბაიჯანში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა, შერჩევით ერთობლიობას კი, ქალაქ კახსა და მის მდებარე ქართულ სოფლებში მცხოვრები ქართველები, რომელთა გამოსაკითხად გამოვიყენეთ რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდი სტრუქტურირებული ინტერვიუ. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა კითხვარი, რომელიც შედგებოდა რამდენიმე ბლოკისგან. გამოკითხულ რესპონდენტთა რაოდენობამ შეადგენა 249 კაცი, რომელთა ასაკიც 18 წლიდან 85 წლამდე მერყეობდა. რესპონდენტთა შერჩევის ჩარჩომ მოიცვა სოფელ ალიბეგლოს 200 კომლი. იმის გათვალისწინებით, რომ სოფელში კომლების რაოდენობა ბევრი არ იყო, გადაწყდა ყოველი მათგანი მოხვედრილიყო შერჩევაში. ამრიგად, ეს რიცხვი ალიბეგლოში არსებულ მთლიან კომლთა რაოდენობას წარმოადგენს. თითოეული მათგანიდან გამოკითხულ იქნა ოჯახის ის წევრი, რომელსაც ყველაზე ბოლოს ჰქონდა

დაბადების დღე. დანარჩენი 49 რესპონდენტი კი შეირჩა ქალაქ კახში, ქართველებით დასახლებულ უბნებში, ყოველ მესამე ოჯახში ზემოთ ნახსენები იმავე პრინციპით.

რაოდენობრივი მონაცემების დასამუშავებლად გამოვიყენეთ სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამა SPSS. დამუშავებისას და ანალიზისას გამოვიყენეთ უნივარიაციული და ბივარიაციული ანალიზის მეთოდები, როგორცაა სინშირული (ერთგანზომილებიანი) განაწილება, ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები, კროსტაბოლაციური ანალიზი, რეგრესია, ფაქტორული ანალიზი და სხვა. რაც შეეხება თვისებრივი მონაცემების დამუშავებას, ამისთვის გამოვიყენებულ იქნა პროგრამა NVivo. მისი მეშვეობით, დაკოდირდა და დაჯგუფდა დისკუსიის შედეგად მიღებული მონაცემები, რის შემდეგაც გამოიყო ცალკეული კატეგორიები.

თვისებრივი კვლევის შედეგები

1. აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველები - საგანმანათლებლო გარემო

განათლება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებისათვის. ისინი აღნიშნავენ, რომ ცოდნის მიღების პროცესში არაერთი პრობლემა ექმნებათ. ქალაქ კახსა და მის შემოგარენში არსებულ ქართულ სოფლებში, მთლიანობაში, არის 7 ქართულენოვანი სკოლა, სადაც მოსწავლეები და პედაგოგები აწყდებიან მრავალ დაბრკოლებას. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ არსებული სირთულეები ძირითადად უკავშირდება სკოლებში საჭირო ინვენტარის არქონას, ქართული ლიტერატურის სიმწირესა და რაც ყველაზე მთავარია, ინფრასტრუქტურას, რომელიც არის მოძველებული და ზოგჯერ ადამიანის სიცოცხლისათვის საშიშიც კი. როგორც კვლევის მონაწილეებმა მიუთითეს, სკოლაში ხშირად ყოფილა ბათქაშის ჩამოყრის ან იატაკის ჩავარდნის ფაქტები, რასაც საბედნიეროდ მსხვერპლი არ მოყვლია.

განათლების სისტემაზე საუბრისას, რომლის ფარგლებშიც იღებენ განათლებას აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველები, რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს სახელმძღვანელოებზე. მათი თქმით, სულ რამდენიმე წელია, რაც ქართულენოვანი წიგნებით სწავლობენ მოსწავლეები, იქამდე კი აზერბაიჯანულად მიეწოდებოდათ სასკოლო მასალა.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც დისკუსიის შედეგად გამოვლინდა, ეხება ისტორიისა და გეოგრაფიის სასწავლო პროგრამას. კვლევაში მონაწილეთა უმეტესობა გამოთქვამს წუხილს იმის შესახებ, რომ ეთნიკურად ქართველ მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება მიიღონ ცოდნა საქართველოს ისტორიისა და ასევე, გეოგრაფიის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, ფოკუს-ჯგუფის ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფოში გამოცემული სახელმძღვანელოები მხოლოდ მსოფლიოსა და საკუთარი ქვეყნის წარსულზე მოგვითხრობს და საქართველოს შესახებ არასწორი ინფორმაციაა მოცემული. მისი თქმით:

„ისტორიის წიგნში ქართველები ალბანელებად არიან მოხსენიებულნი, რომლებმაც საუკუნეების წინ დაიპყრეს აზერბაიჯანის გარკვეული ტერიტორიები და დასახლდნენ. სწორედ მათი შთამომავლები არიან დღესდღეობით ბელაქანში, ზაქათალასა და კახში მცხოვრები ქართველები“ (კ.ბ., მდედრ., 40წ.).

გარდა ამ საკითხებისა, კვლევაში მონაწილეებმა ისაუბრეს სკოლაში არსებულ საჭირო ინვენტარსა და ინფრასტრუქტურაზე. როგორც ისინი ამბობენ, სკოლებში არ არის ელემენტარული პირობები, იმისთვის, რომ მოსწავლემ მიიღოს საჭირო განათლება და თავი უსაფრთხოდ იგრძნოს საგაკვეთილო პროცესის მსვლელობისას. ქართულენოვანი სკოლები არ არის ტექნიკურად აღჭურვილი, რაშიც იგულისხმება თუნდაც კომპიუტერების არსებობა. ეს ყველაფერი კი დაბრკოლებას ქმნის ცოდნის მიღების გზაზე.

სკოლების ინფრასტრუქტურაზე საუბრისას, რესპონდენტებმა აღწერეს ის პირობები, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს სწავლების პროცესი. მათი თქმით, არცერთი ქართულენოვანი სკოლა არ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებსაც კი. შენობები არის ძალიან ძველი და ზოგიერთ მათგანს დანგრევის საფრთხეც კი ემუქრება. რაც შეეხება აზერბაიჯანულ სკოლებს, ისინი აღჭურვილია სწავლისათვის აუცილებელი ყველა საჭირო ინვენტარით და თითოეული მათგანი უმაღლეს დონეზეა გარემონტებული. თუმცა არსებული განსხვავებების მიუხედავად, კვლევაში მონაწილენი აღნიშნავენ, რომ აზერბაიჯანული განათლების ხარისხი მნიშვნელოვანწილად ჩამორჩება ქართულს.

საბოლოოდ, კვლევამ დაადგინა, რომ აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველები განათლების მიღების პროცესში აწყდებიან სხვადასხვა სახის პრობლემას. მათ არ აქვთ შესაძლებლობა

აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში. გარდა ამისა, იქ არსებულ ქართულენოვან სკოლებში მოსწავლეებს უწევთ შეგუება რთულ გარემო-პირობებთან.

2. აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების დასაქმების შესაძლებლობები

კვლევაში მონაწილეთა თქმით, აზერბაიჯანული სახელმწიფო დასაქმების ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა, განსაკუთრებით კი პატარა ქალაქებსა და სოფლებში. ქართველებით დასახლებულ რეგიონებში თითქმის არ არის სამუშაო ადგილები. თუმცა, რესპონდენტებმა აღნიშნეს ისიც, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვისაც რთულია სამსახურის პოვნა და ისინი ძირითადად ვაჭრობას მისდევენ.

კვლევის პროცესში გამოვლინდა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ქართველები სოფელში ძირითადად სკოლებში, ან სამედიცინო პუნქტებში მუშაობენ, რადგან დასაქმების სხვა არეალი ფაქტობრივად არ მოიძებნება. ექიმის პროფესია ძალიან მაღალანაზღაურებადია და ქართველი ექიმები დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ეთნიკურად აზერბაიჯანელებიც საჭიროების შემთხვევაში ქართველ ექიმებს მიმართავენ, რადგან დარწმუნებულები არიან მათ კვალიფიკაციაში.

დასაქმების კიდევ ერთ შესაძლებლობას წარმოადგენს სოფელ ალიბეგლოში არსებული ქართული თეატრი, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს, საჭირო ფინანსებისა და პირობების არქონის მიუხედავად. ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, „იმის გამო, რომ დასაქმების სექტორი ძალიან ვიწროა, ახალგაზრდები ძირითადად ირჩევენ ისეთ პროფესიებს, რომლებიც აქ სამსახურის დაწყებაში გამოადგება. ასეთია, მედიცინა და პედაგოგობა“ (ნ.ო., მდედრ., 22წ.).

ამის გარდა, ქართველი მოსახლეობის შემოსავლისა და დასაქმების ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, ისინი დაკავებულნი არიან მეცხოველეობით, მებოსტნეობითა და მებაღეობით, საიდანაც მიღებულ პროდუქციას ადგილობრივ ბაზარზე ყიდიან. ამ მხრივ, ქართველები უპირატესობას ფლობენ აზერბაიჯანელებთან შედარებით, რადგან მათ აქვთ დიდი მიწის ნაკვეთები, სადაც სხვადასხვა სახეობის ბოსტნეული და ხილი მოჰყავთ. „კიდევ კარგი ბუნება მაინც გვიწყობს

ხელს და ამ დალოცვილი მიწის წყალობით გვიადვილდება ოჯახისათვის ლუკმა-პურის შოვნა“ (პ.ბ., მამრ., 83წ.).

ეთნიკურად ქართველებმა, ასევე, ისაუბრეს დასაქმებისა და თვითდასაქმების იმ შესაძლებლობებზე, რომლებიც მათ განასხვავებთ აზერბაიჯანელებისაგან. არსებულ საკითხზე მსჯელობისას გამოვლინდა, რომ დასაქმებისას არსებობს განსხვავებები ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის.

რესპონდენტთა აზრით, დასაქმების ყველაზე დიდი შანსი აქვთ იმ ადამიანებს, რომლებმაც უმაღლესი განათლება აზერბაიჯანში მიიღეს. ვინაიდან მათ კარგად იციან სახელმწიფო ენა, კანონმდებლობა და ყველაფერი ის, რაც დაეხმარებათ მაღალი თანამდებობების დაკავებაში, ქართველი ახალგაზრდები კი ცოდნის გასადრმაველად საქართველოს უნივერსიტეტებს ირჩევენ, რასაც შემდგომში თან ახლავს გარკვეული დაბრკოლებები. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ერთ-ერთი კვლევაში მონაწილის შეხედულება:

„საქართველოში რომ მიდიან ჩვენი ახალგაზრდები და მაგალითად, იურიდიულზე სწავლობენ ისინი ეუფლებიან საქართველოს კანონმდებლობას აქ კი მოგეხსენებათ სხვა კანონებია, ეს სხვა სახელმწიფოა. ამიტომ იქმენება თუნდაც სამუშაოს პრობლემა“ (ნ.ო., მდედრ., 22წ.).

გარდა ამისა, აზერბაიჯანელებს ჰყავთ გავლენიანი სანათესაო/სანაცნობო წრე, რომელთა ხელშეწყობაც დასაქმების შედარებით მეტ შესაძლებლობას იძლევა. ეს უკანასკნელი ხშირად კარიერული წინსვლის განმსაზღვრელია. ამგვარად, ნეპოტიზმი და პროტექციონიზმი სახელდება, როგორც დასაქმებისათვის აუცილებელი ფაქტორი.

დასაქმების სფეროში ქართველებისა და აზერბაიჯანელებს შორის არსებული არათანაბარი მდგომარეობა გარკვეულწილად იწვევს ეკონომიკურ განსხვავებასაც. თუმცა, როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს არსებული განსხვავება უფრო მეტად თვალსაჩინოა ქალაქში, ვიდრე სოფლებში. „რიგით მოსახლეობას შორის დიდი განსხვავება არაა. სოფლებში როგორც ქართველები, არიან ჩართული სოფლის მეურნეობაში, ასევე არიან აზერბაიჯანელებიც“ (თ.ყ., მდედრ., 49წ.). ამისგან განსხვავებით, ზოგიერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ სოფლებში

მცხოვრები ქართველი მოსახლეობა, ეკონომიკური თვალსაზრისით, პრივილეგირებულია, რადგან უფრო მეტ მიწას ფლობს და მეურნეობაც განვითარებული აქვს.

საბოლოოდ, რესპონდენტებისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კარგად გამოჩნდა თუ რა შესაძლებლობები და ხელის შემშლელი ფაქტორები არსებობს აზერბაიჯანში ქართველების დასაქმების საკითხში. როგორც გაირკვა, დასაქმების სფეროში მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს არამხოლოდ ქართველებისთვის, არამედ აზერბაიჯანელებისთვისაც, რაც ძირითადად განპირობებულია კორუფციითა და სამუშაო ადგილების სიმცირით. ქართველების შემთხვევაში კი ამას თან ერთვის ენობრივი ბარიერიც.

3. აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების პოლიტიკური და სამოქალაქო ჩართულობა

პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება, გამოკითხული რესპონდენტების გადმოსახედიდან, ძალიან მნიშვნელოვანია. პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივიზმი მათი აზრით, გადამწყვეტია, რადგან თვლიან, რომ ამ გზით უკეთ შეძლებენ არსებულ საზოგადოებაში ინტეგრაციასა და მის სრულფასოვან წევრებად გახდომას. ამავდროულად, საჭიროა ეთნიკურ ქართველთა წარმომადგენლობა საჯარო და სახელმწიფო ორგანოებში, რათა მოგვარდეს ის პრობლემები, რომლებიც ამ თემის წინაშე ჯერ კიდევ მწვავედ დგას. თუმცა, ამის პარალელურად აღნიშნავენ, რომ მსგავს საქმიანობაში ჩართვა ზოგადად ძალიან რთულია რიგითი მოქალაქისთვის, მაგრამ ეთნიკურად ქართველის სტატუსი კიდევ უფრო აძნელებს მონაწილეობის მიღებას გარკვეულ პოლიტიკური თუ სამოქალაქო აქტივიზმში. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ე.წ „კლანური მართველობები“, როგორც ადგილობრივ ასევე სახელმწიფო დონეზე, რაშიც იგულისხმება თანამდებობების მემკვიდრეობით გადაცემა და ნეპოტიზმით ან კორუფციის გზით დაკავება. ამ სიტუაციის მიუხედავად, ქართველები ვალდებულებად მიიჩნევენ თავიანთ ჩართულობას მსგავს საქმიანობაში, რადგან ისინიც აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან და ქვეყანაზე ზრუნვა გარკვეულწილად მათი მოვალეობაცაა. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა:

„მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ მაინც შორს ვართ ასეთი საქმისგან. ამის ძირითადი მიზეზი ისევ და ისევ ჩვენი ეროვნებაა. აი, მაგალითად ევროპაში ხომ არ ექცევა ადამიანის წარმომავლობას

მნიშვნელობა და ყველას თავისუფლად შეუძლია პოლიტიკაში ყოფნა. თუნდაც გერმანიის ბუნდესტაგში რამდენი ეთნიკურად თურქი წევრია და ყველა საერთო საქმისთვის მიიღწვის. აქ კი ვგრე არაა“ (თ.ბ., მამრ., 52წ.).

პოლიტიკური თვალსაზრისით ჩართულობა, კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობისათვის მხოლოდ არჩევნებზე სიარულით შემოიფარგლება. თუმცა, მათი უმეტესობა ამ პროცესის მიმართ სკეპტიკურადაა განწყობილი და საკუთარ როლს მეორეხარისხოვნად აღიქვამს, რაც შეიძლება არა რაიმე ეთნიკური ნიშნით, არამედ ზოგადად, ქვეყანაში არსებული ვითარებით აიხსნას.

პოლიტიკაში ჩართულობის მსგავსად, სამოქალაქო აქტივობებშიც ეთნიკურად ქართველები მონაწილეობას ნაკლებად იღებენ, რადგან თითქმის არ ხორციელდება მსგავსი საქმიანობები. თუმცა, აღნიშნავენ იმასაც, რომ ეს არა მხოლოდ ქართველების, არამედ აზერბაიჯანელების პრობლემასაც წარმოადგენს, ვინაიდან ქვეყნის ზოგადი მდგომარეობა საგანგაშო მოსახლეობის სამოქალაქო ჩართულობის მხრივ. აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ხელისუფლება არ ცდილობს საკუთარი მოქალაქეების სრულ ინტეგრაციასა და არ სურს მათი გარკვეული ჩარევა ქვეყანაში არსებულ სისტემაში. ამის გამოვლინება სახელმწიფოს მიერ საზოგადოებაში არსებული ნებისმიერი სახის პროტესტის ჩახშობა და აზრის დაფიქსირების უფლების შეზღუდვა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აზერბაიჯანულ სახელმწიფოს თითოეულ რეგიონსა და სოფელში არსებობს ოცი ადამიანისგან შემდგარი საბჭო, რომელიც ადგილობრივ პრობლემებს აგვარებს, ჩართულია გარკვეულ საზოგადოებრივ აქტივობაში და ასევე, სასულიერო საქმიანობას უძღვება. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი ქართული სოფლის ოცმეთაურმა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანში ეკლესიას საერო პირი უდგას სათავეში და სწორედ არსებული საბჭო ირჩევს მოძღვარსაც. გარდა, ამისა ისინი ეწევიან გარკვეული სახის სამოქალაქო საქმიანობას. როგორცაა მაგალითად, ეკლესიის ეზოს დალაგება, რომელშიც ცდილობენ ჩართონ ადგილობრივი ახალგაზრდობა.

არსებულ საკითხზე მსჯელობისას, გამოიკვეთა გენდერული უთანასწორობის პრობლემა სამოქალაქო საქმიანობაში ჩართვის პროცესში. ქალები მონაწილეობას ნაკლებად იღებენ

მსგავს აქტივობებში, მაგალითად, ისინი არ მონაწილეობენ მათ დასახლებაში არსებულ საბჭოში და ოცივე წევრი მამრობითი სქესის წარმომადგენელია, რაც კანონმდებლობითაა განსაზღვრული.

საბოლოოდ, ჩვენი კვლევიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველი მოსახლეობა თითქმის არ არის ჩართული ადგილობრივ პოლიტიკურ და სამოქალაქო საქმიანობაში. ამას, ერთი მხრივ, განსაზღვრავს მათი პირადი სურვილის არ არსებობა, ხოლო, მეორე მხრივ, არსებული პოლიტიკური გარემო და სოციუმი.

4. აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების კულტურული და რელიგიური ტრადიციები

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების ტრადიციები თითქმის არ განსხვავდება ქართული ტრადიციებისგან, უბრალოდ აქვთ განსხვავებული ელემენტები, ისევე, როგორც, მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეს. არსებული ტრადიციებიდან კვლევის მონაწილეებმა გამოყვეს რამდენიმე მათგანი, ქორწილის ტრადიცია, გასვენება, ახალი წლისა და აღდგომის დღესასწაულების აღნიშვნის წესები.

ერთად საუკუნოვანი თანაცხოვრების მიუხედავად, ქართველთა და აზერბაიჯანელთა კულტურული ტრადიციები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება, რაც, ხშირ შემთხვევაში, ხდება გარკვეული დაპირისპირების მიზეზი ეთნოსებს შორის, თუმცა მას მასშტაბური ხასიათი არ აქვს. კონფლიქტები ძირითადად რელიგიურ დღესასწაულებზე ვლინდება, როდესაც აზერბაიჯანელები ცდილობენ ქართველებს საშუალება არ მისცენ შეასრულონ თავიანთი ტრადიციები. შესაბამისად, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ჰქონია პრობლემა საკუთარი რელიგიის, კულტურისა და ეთნიკურობის გამო. თუმცა, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კახის რაიონში და მის მიმდებარე ქართულ სოფლებში იშვიათად ხდება მსგავსი შემთხვევები, ხოლო რაც შეეხება ზაქათალასა და ბელაქნის რაიონებს, იქ უფრო რთული სიტუაციაა. ქართული მოსახლეობის უმეტესობამ ვერ შეინარჩუნა საკუთარი რელიგია და კულტურა. ისინი გარემო პირობებმა აიძულა, რომ მიეღოთ ისლამი, რის შედეგადაც წინაპრების დატოვებული ტრადიციებიც ნელ-ნელა დაკარგეს. ქალები, რომლებიც ამ რეგიონებიდან კახის რაიონში თხოვდებიან, ახერხებენ და ინათლებიან ქრისტიანულად. ამის გარდა, ზაქათალასა და ბელაქანში არსებულ პრობლემებს თან დაერთო,

აზერბაიჯანელების მხრიდან მათი იძულება, რომ ქართული სახელი და გვარები შეეცვალათ. ერთადერთი რისი შენარჩუნებაც მოახერხეს, არის ქართული ენა.

„ძველ სალიტერატურო ქართულთან ძალიან ახლოა მათი ენა. თქვენ ყველაფრის გაგება გაგიადვილდებათ. ჩვენთან ხომ არის რაღაც სიტყვები რასაც ვერ იგებთ, იმათ გამართული ქართული აქვთ. მაგრამ საჯაროდ ვერ საუბრობენ, მხოლოდ ერთმანეთში. თან ახალგაზრდობამ აღარ იცის უკვე და მარტო მოხუცებს აქვთ შემონახული, რადგან იქ ქართული სკოლები გაუქმებულია, აღარც ეკლესიებია“ (თ.ყ., მდედრ., 49წ.).

რაც შეეხება კახს, იმის მიუხედავად, რომ ის ყველაზე შორსაა საქართველოდან და ძირითადად აზერბაიჯანელი მოსახლეობით დასახლებული ქალაქები ესაზღვრება, დღემდე შენარჩუნებულია როგორც ქართული ტრადიციები, ისე ენა, რელიგია და ეროვნული იდენტობა. ამის მიზეზი იქ მცხოვრები ქართველებისთვისაც გაურკვეველია. მათი აზრით, ის პრობლემები, რომლებიც ზაქათალასა და ბელაქანშია წესით კახიდან უნდა დაწყებულიყო გეოგრაფიული მდებარეობის გამო.

მართალია, მთელი რიგი პრობლემები არსებობს, თუმცა აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანელებისა და ქართველების რიგით ურთიერთობებში ის დიდ მნიშვნელობას არ თამაშობს. მათ ერთმანეთთან ნორმალური დამოკიდებულება აქვთ. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა: „ვინც განათლებულია კარგად ესმის, ის რომ ღმერთი ერთია და რელიგიის გამო არ ქმნის პრობლემებს“ (რ.ბ., მდედრ., 77წ.). იმის გათვალისწინებით, რომ კახში, ქართულ სოფლებთან შედარებით, ეთნოსები შერეულია, მოსახლეობა ტოლერანტულადაა განწყობილი სხვისი ტრადიციების მიმართ. „მე აზერი ნაცნობები მყავს და ხშირად დავდივართ ერთმანეთის ქორწილებსა და გასვენებებში“ (თ.ბ., მამრ., 52წ.). მოსახლეობას შორის ცივილიზებული ურთიერთობის მიუხედავად, გარკვეულ საკითხებში რესპონდენტებმა რადიკალური პოზიცია გამოამჟღავნეს. განსაკუთრებით უარყოფითად უყურებენ ქართველი გოგოს აზერბაიჯანელზე გათხოვების ფაქტს. ამას არსებულ საზოგადოებაში მამაკაცის დომინანტური მდგომარეობით ხსნიან. ეს ნიშნავს, რომ ცოლს მოუწევს უარი თქვას თავის კულტურასა და რელიგიაზე და რაც ყველაზე მთავარია, შთამომავლობაც მამის ხაზს გაყვება. თუმცა ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად,

გამონაკლისების მიმართ საზოგადოება ლოიალურია და ცდილობს გაგებით მოეკიდოს მოცემულობას.

მიუხედავად ამგვარი პირობებისა და აზერბაიჯანული საზოგადოების მხრიდან გარკვეული წინააღმდეგობებისა, რაც განპირობებულია მათი რელიგიური განსხვავებულობით, ეთნიკურად ქართველები უფროთხილდებიან თავიანთ რელიგიასა და ტრადიციებს. ძალიან დიდია მათთვის ეროვნულობისა და ქართველად იდენტიფიცირების განცდა.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

კვლევაში მონაწილეთა ასაკობრივი მაჩვენებლები 4 კატეგორიად დავყავით. რესპონდენტების 18% არის 15-დან 25-მდე შუალედში, ხოლო 24% - 26-35 წლის. მესამე კატეგორიაში თავი მოიყარა 31%-მა, რომელთა ასაკიც 36-დან 50-მდე მერყეობს. ხოლო ასაკობრივ ზედა ზღვარს წარმოადგენდნენ 51 ან უფრო მეტი წლის რესპონდენტები, რომელთა საერთო რაოდენობაც 26%-ს შეადგენს.

საინტერესოა, რესპონდენტთა პროცენტული განაწილება განათლების საფეხურის მიხედვით. როგორც აღმოჩნდა, უმეტესობას: 61%-ს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, 16%-ს სრული საშუალო განათლება, ხოლო 8%-ს არასრული საშუალო განათლება. რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, გამოკითხულთა 13%-ს გარკვეული სპეციალობაში პროფესიული განათლება აქვთ.

იმის გასაზომად, თუ განათლების მიღების რა შესაძლებლობები გააჩნიათ აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველებს, კითხვარში შეტანილი იყო გარკვეული შეფასებითი ხასიათის შეკითხვები, რომლის საშუალებითაც გამოვლინდა რესპონდენტთა დამოკიდებულება ქართულენოვანი სკოლების მდგომარეობისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელისუფლების საქმიანობის მიმართ განათლების სფეროში. გამოკითხულთა 90% იქ არსებულ სკოლების ხარისხს აფასებს, როგორც „ცუდს“ ან არადადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს, რაზეც პასუხისმგებლობას ძირითადად ადგილობრივ ხელისუფლებას აკისრებს. ასევე, გამოვლინდა, რომ კვლევაში მონაწილეთა 93%-ის ძირითად პრობლემას წარმოადგენს საჭირო სასწავლო ინვენტარის არქონა იქ არსებულ ქართულენოვან სკოლებში. 89%-მა დააფიქსირა

ქართულ ენაზე კლასგარეშე ლიტერატურის ნაკლებობაც. გამოკითხულთა 15% მიიჩნევს, რომ სკოლაში სწავლების პროცესში, მათთვის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი აზერბაიჯანული ენის არცოდნაა, ხოლო რაც შეეხება ქართული ენის არ ცოდნას, მხოლოდ 7% განიხილავს, მას როგორც პრობლემას.

რაოდენობრივი კვლევის შედეგების გასაანალიზებლად გამოვიყენე ფაქტორული ანალიზი. მისი საშუალებით გამოიყო 2 ფაქტორი. თითოეულმა მათგანმა გააერთიანა ის პრობლემები, რომლებიც ექმნებათ ეთნიკურად ქართველ ბავშვებს, სკოლაში სწავლისას. პირველი ფაქტორი ეხება საცხოვრებელ გარემოს, რომელიც მოიცავს ქართული ენის არცოდნის საკითხს, სასწავლო ინვენტარის არქონასა და აზერბაიჯანულ თანატოლებთან უთანხმოებას. მეორე ფაქტორმა მოიცვა სწავლის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია და გამოიყო შემდეგი ჯგუფები: ქართულ ენაზე კლასგარეშე ლიტერატურის ნაკლებობა, აზერბაიჯანული ენის არცოდნა და პედაგოგების მხრიდან ცუდი დამოკიდებულება.

აღსანიშნავია, რომ პირველი ფაქტორი მხოლოდ რესპონდენტთა 7%-სთვის წარმოადგენს პრობლემას. აქედან გამომდინარე კი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასში გაერთიანებული ჯგუფები ნაკლებად მნიშვნელოვანია აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველებისთვის. რაც შეეხება, მეორე ფაქტორს, როგორც გაირკვა, მეტად აქტუალური აღმოჩნდა გამოკითხულთათვის და მონაცემების 89% ახსნა. თუმცა, საინტერესოა, რომ მასში შემავალი ცვლადების პროცენტული წილი საკმაოდ არათანაბრად გადანაწილდა და უმთავრეს საკითხად სკოლებში ქართულ ენაზე კლასგარეშე ლიტერატურის ნაკლებობა დაფიქსირდა. სასკოლო გარემოს შეფასებისას აზერბაიჯანული ენის არცოდნა მხოლოდ რესპონდენტების 14%-სთვის წარმოადგენს პრობლემას, ხოლო პედაგოგების მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება 4%-მა დაასახელა.

ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოვლენილი პრობლემები ერთმანეთს შევადარეთ რეგრესიული ანალიზის გამოყენებით, რომლებიც უკავშირდება სკოლაში სწავლის პროცესს, და ქართველი მოსწავლეების ჩართულობის ხარისხი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში. აღმოჩნდა, რომ ამ ორ ცვლადს შორის არსებობს დამოკიდებულება და რეგრესიულობის ხარისხი (Beta-ბეტა კოეფიციენტი) არის -0,3, ხოლო სტატისტიკური მნიშვნელოვნების კოეფიციენტი 0-ს უახლოვდება (Sig=0,00). არსებული სურათი მიუთითებს,

რომ დაბალია იმ ადამიანების ჩართულობის ხარისხი საგანმანათლებლო პროექტებში, რომლებისთვისაც ორივე ფაქტორში არსებული საკითხები პრობლემურია. შესაბამისად ფაქტორებში თავმოყრილი პრობლემების ხარისხი თუ მაღალია, მაშინ ჩართულობის მაჩვენებელი მასთან უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია. მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პირველი და მეორე ფაქტორი უარყოფით გავლენას ახდენს საგანმანათლებლო პროექტებში ქართველი მოსწავლეების ჩართულობაზე.

კარგი განათლება და დასაქმება ლოგიკურად ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში უნდა იყოს, თუმცა როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტების აზრი ამასთან დაკავშირებით განსხვავებულია იმ პოლიტიკური და სოციალური გარემოს გათვალისწინებით, სადაც ისინი ცხოვრობენ. მათი 54% თვლის, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დასაქმებისთვის აუცილებელია გავლენიანი სანაცნობო წრე და ასევე ადგილობრივ ხელისუფლებასთან ახლო ურთიერთობა (37%). განათლება და პროფესიონალიზმი კი უკანა პლანზეა და მხოლოდ 6% მიიჩნევს მას აზერბაიჯანის რესპუბლიკაში კარგი სამსახურის დაწყების უმთავრეს პირობად. ზოგიერთი მათგანისთვის (4%) კი დასაქმების პროცესში ეთნიკურ წარმომავლობასაც ექცევა ყურადღება. დასაქმების პრობლემის არსებობის პირობებში, ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით, ეთნიკურად ქართველების ზოგადი სურათი ასეთია: გამოკითხულთა 76%-ს ფული ჰყოფნის საკვებსა და ტანსაცმელზე, თუმცა არ აქვთ შესაძლებლობა ყოველთვის სასურველი ძვირადღირებული ნივთები შეიძინონ, ხოლო 22%-სთვის ამის შესაძლებლობაც არსებობს. მხოლოდ 2%-ია ისეთი, რომელს შემოსავალიც საკვებს ჰყოფნის.

დასაქმების გარდა, საინტერესოა, ეთნიკურად ქართველები ჩართულები არიან თუ არა სამოქალაქო და პოლიტიკურ საქმიანობაში. ამის შესაფასებლად, მათ უპასუხეს შემდეგ შეკითხვების: ყოფილან თუ არა რომელიმე არასამთავრობო ან სათემო ორგანიზაციის, პოლიტიკური პარტიის წევრი. როგორც გაირკვა, არცერთი რესპონდენტი არ ყოფილა რომელიმე მათგანის წევრი. რაც შეეხება საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობას, გამოკითხულთა 59%-ს არასდროს მიუღია მონაწილეობა მსგავსი სახის აქტივობაში, ხოლო 41% მეტნაკლებად ცდილობს ჩართვას. პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა კი მხოლოდ არჩევნებზე სიარულში გამოიხატება, რაც დასტურდება რესპონდენტთა 87%-ის პასუხით.

კროსტაბულაციური ანალიზის გამოყენებით ერთმანეთს შევადარე ორი ცვლადი: რესპონდენტებს ეთნიკური წარმომავლობის გამო ჰქონიათ თუ არა პრობლემა პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობისას და რამდენად თანაბარი პოლიტიკური უფლებები აქვთ მათ და აზერბაიჯანელებს, რათა დამედგინა გარკვეული სახის პოლიტიკურ დისკრიმინაციას ხომ არ აქვს ადგილი. ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ არსებულ ცვლადებს შორის კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და მნიშვნელოვნების დონე 0-ს უახლოვდება (Sig=0.00). გამოვლენილი შედეგი კი შემდეგნაირად შეიძლება ინტერპრეტირდეს: იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებსაც ჰქონიათ პრობლემა პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვის პროცესში და ამავე დროს მიიჩნევენ, რომ აზერბაიჯანელებს და ქართველებს ერთნაირი პოლიტიკური უფლებები აქვთ, არის 9%. ხოლო ვინც ფიქრობს, რომ აზერბაიჯანელებს უფრო მეტი უფლება აქვთ ამ მხრივ, არის 18%. დანარჩენი 31%-ის აზრით, ორივე ეთნიკური ჯგუფი თანაბარი უფლებებით სარგებლობს. ამის საპირისპიროდ, გამოკითხულთა 91% არასდროს ყოფილა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისას და ამავე დროს მიიჩნევენ, რომ აზერბაიჯანელებს და ქართველებს თანაბარი უფლებები აქვთ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკურად ქართველებს აქვთ შესაძლებლობა შეინარჩუნონ საკუთარი აღმსარებლობა, კულტურა და ტრადიციები იმ გარემოში, სადაც ისინი თანაცხოვრობენ განსხვავებულ საზოგადოებასთან ერთად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ისინი ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი სხვადასხვა ნიშნით, როგორც ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

დასკვნა

მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა, რომ გვეპასუხა კვლევის დასაწყისში წამოჭრილ ამოცანებზე. როგორც გამოვლინდა, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების სოციალურ-კულტურული ინტეგრაცია არც თუ ისე რთულად მიმდინარეობს, თუმცა ამის მიუხედავად, არაერთი პრობლემისა თუ საჭიროების წინაშე დგანან. პირველ რიგში, აღსანიშნავია განათლების მიღების ის შესაძლებლობები, რომლებიც გააჩნიათ ეთნიკურად ქართველებს. შეიძლება ითქვას, რომ მათ არ აქვთ ელემენტარული პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე სასკოლო საგანმანათლებლო სისტემა. ამაზე მეტყველებს კახის რაიონში არსებული ქართულენოვანი სკოლები, სადაც

მოსწავლეები მოკლებულნი არიან ყოველგვარ საშუალებას, იმისთვის რომ მიიღონ ხარისხიანი განათლება. მათ არ მიუწვდებათ ხელი თანამედროვე ან უცხოენოვან ლიტერატურაზე, არ აქვთ საჭირო ინვენტარი, ვერ ერთვებიან სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროექტში. თავის მხრივ, ასეთ პირობებში პედაგოგებსაც არ ეძლევათ საშუალება სწავლებისას გამოიყენონ განათლების სფეროში არსებული ინოვაციური მიდგომები.

გარდა ამისა, სირთულეების დიდი ნაწილი უკავშირდება აზერბაიჯანის სახელმწიფო ენის არცოდნას, რაც იწვევს სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს, ასევე, არსებულ საზოგადოებაში პოლიტიკური თუ სამოქალაქო ჩართულობის ნაკლებობას. სწორედ ამ მიზეზით, ეთნიკურად ქართველები ვერ იღებენ უმაღლეს განათლებას აზერბაიჯანში, რის გამოც საქართველოში უწყვეტ წასვლა. ასევე, ენის არცოდნის გამო აქვთ საჯარო სამსახურში დასაქმების პრობლემებიც. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის უმეტესობა თვითდასაქმებულია სასოფლო-სამეურნეო სფეროში. ამას, ერთი მხრივ, თან სდევს განსხვავებული ეკონომიკური მდგომარეობა, აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან შედარებით. კერძოდ, როგორც გაირკვა, აზერბაიჯანელების უმეტესობას უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობა აქვს.

ეთნიკურად ქართველებს არ აქვთ შესაძლებლობა აზერბაიჯანელების მსგავსად აქტიურად ჩაერთონ სახელმწიფოს პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ეს ორი მიზეზით არის განპირობებული: 1. ქვეყნის ზოგადი პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც საშუალებას არ აძლევს საკუთარ მოქალაქეებს გახდნენ პოლიტიკურად აქტიურები და 2. ქართველთა არასაკმარისი კვალიფიკაცია და მათი ცოდნის აზერბაიჯანული განათლების სისტემის მოთხოვნებთან შეუსაბამობა.

თავის მხრივ, სამოქალაქო აქტივიზმის დაბალ ხარისხს განაპირობებს ქართველთა კომპაქტურად ცხოვრება. ისინი თითქმის არ ერთვებიან სხვადასხვა სახის სოციალურ საქმიანობაში, აზერბაიჯანელ მოქალაქეებთან ერთად და მათი სოციალური გარემო შემოფარგლულია მხოლოდ ქართული საზოგადოებით. ასეთ პირობებში, ეთნიკურად ქართველები იჩენენ პასიურობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამ ყველაფრის ფონზე, ეთნიკურად ქართველები დღემდე ინარჩუნებენ საკუთარ ტრადიციებს, კულტურასა და რელიგიას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ, მრავალფეროვან საზოგადოებაში უწევთ ცხოვრება, წინაპრებისგან მიღებულ წესჩვეულებებს ახალ თაობასაც გადასცემენ და ქართული იდენტობით ზრდიან. ამის კვადაკვალ, რა თქმა უნდა, ხშირად ყოფილან აზერბაიჯანელი მოსახლეობის მხრიდან რელიგიური დისკრიმინაციის მსხვერპლნი, თუმცა ეს არ აძლევს მათ იმის მიზეზს, რომ უარი თქვან ქრისტიანობაზე. როგორც, რესპონდენტებმა აღნიშნეს, აზერბაიჯანელები ხშირად იჩენენ უპატივცემულობას ქართული რელიგიური ძეგლების მიმართ, რაც გამოიხატება მათ ვანდალურ ქმედებაში. გარდა ამისა, მათი ეს დამოკიდებულება უშუალოდ პიროვნულ ურთიერთობებზეც აისახება და ზოგიერთ, ქართველებით დასახლებულ, რეგიონში უმძიმესი სიტუაციაა. კერძოდ, ისინი იძულებულები არიან უარი თქვან ქრისტიანულ აღმსარებლობაზე და მიიღონ ისლამი. ასევე, უწევთ ქართული სახელებისა და გვარების გადაკეთება. ხელისუფლების მხრიდანაც, ჩანს გარკვეული რელიგიური დისკრიმინაციის შემცველი ქმედებები, რაც გამოიხატება ეკლესიების დახურვასა და რელიგიური მსახურების აკრძალვაში. ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ ქართველებს რთულ პირობებში უწევთ აღმსარებლობის შენარჩუნება.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მყოფი ქართველები პრობლემურ გარემოში ცხოვრებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული ზემოთ ნახსენები საკითხი პროგრესირებადია და თუ მაგალითად, რომელიმე მათგანი, რამდენიმე ათეული წლის წინ მწვავე არ იყო, დღეს ის მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წარმოადგენს და მომავალშიც შეიძლება უფრო მეტი საფრთხისმომტანი აღმოჩნდეს ქართველთათვის იდენტობის შენარჩუნებისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. <http://diaspora.gov.ge>

2. ჩანგაშვილი, გ., (1970). *საინგილო*. თბილისი: მეცნიერება

3. Berry, J. W. (1997). *Immigration, Acculturation and Adaptation*. UK: International Association of Applied Psychology.
4. Linger, D. T. (2007). Identity. In C. Casey, & Robert B. Edgerton, *A Companion to psychological anthropology: modernity and psychocultural change*. New Jersey: Blackwell Publishing.
5. Malewska-Peyre, H., & Camilleri, C. (1997). Socialization and Identity Strategies. In J. W. Berry, P. R. Dosen, & T. Saraswathi, *Handbook of Cross-cultural Psychology: Basic processes and human development*.
6. Meluci, A. (1996). *Challenging codes: Collective action in the information age*. Cambridge: Cambridge University Press.
7. Орлова, Э. А. (2010). *ВОПРОСЫ СОЦИАЛЬНОЙ ТЕОРИИ*. Москва: Институт философии РАН.